ეროვნული
ბიბლიოთეკა



619
1968

# დროშა

№ 4 აპრილი 1968

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოსკოვი, ლენინის მუზეუმი. ქართველი ახალგაზრდები ათვალიერებენ გამოფენას.

ფოტო ი. მაღალაშვილისა



მოსკოვი, უცნობი ჯარისკაცის საფლავთან.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 4 (377) აპრილი, 1968 წ.

გამოცემის წელი 46-ე.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

# წიგნი ლენინის პირადი ბიბლიოთეკიდან

10.706

მრავალრიცხოვანი მემუარების ავტორებს და დიდი ლენინის ბიოგრაფიის მკვლევარებს არა ერთგზის აღნიშნული აქვთ, რომ ლენინი, სადაც არ უნდა ყოფილიყო, რა პირობებშიც არ უნდა ეცხოვრა — ციხეში, გადასახლებაში თუ ემიგრაციაში, ფილოსოფიისა და პოლიტიკური ეკონომიის, საკითხებისადმი მიძღვნილ ნაშრომებთან ერთად, გატაცებით კითხულობდა დანტესა და შექსპირს, ბაირონსა და ვოლტერს, გოეთესა და ჰაინეს, შილერსა და იბსენს, პუშკინსა და ლერმონტოვს. ლენინის ნაშრომებში მოცემულია ლიტერატურის მთელი განვითარების ბრძნული შეფასება, და ამის გარდა, დადგენილი და დასახულია პრინციპები ახალი სოციალისტური ესთეტიკისა, ხელოვნების თეორიისა, რომელზედაც აიგო საბჭოთა ეპოქის ახალი კულტურა, ახალი ხელოვნება და ლიტერატურა. ლენინმა განავითარა და ახალ სიმაღლეზე აიყვანა მარქსისტული ესთეტიკა.

მემუარების ავტორები მოგვითხრობენ, რომ ლენინის საწერ მაგიდაზე, სხვა წიგნებთან ერთად, მუდამ იდო ამა თუ იმ პოეტის ლირიკული თუ ეპიკური ნაწარმოებების კრებული.

არის თუმცა მცირე, მაგრამ საყურადღებო მონაცემები, რომლებიც შესაძლებლობას გვაძლევენ ვივარაუდოთ, რომ ლენინი კითხულობდა რუსთაველის გენიალურ ქმნილებას — „ვეფხისტყაოსანს"; საქმე იმაშია, რომ მის პირად ბიბლიოთეკაში ჩვენ წავაწყდით წიგნს, რომელშიაც ერთად არიან წარმოდგენილნი რუსთაველი, დანტე, გოეთე, ბაირონი, შელი, ჰაინე, ედგარ პო, უოლტ უიტმენი და სხვა ავტორები. ამ წიგნს ეწოდება „მსოფლიო პოეზიიდან".

* * *

ახლა უფრო დაწვრილებით: ცნობილი ფაქტია, რომ ლენინი რუსი მწერლებიდან და მთარგმნელებიდან დიდად აფასებდა კონსტანტინე ბალმონტსაც (1867-1942 წ.); აღსანიშნავია, რომ პოეტი, რომელიც შემდგომში რუსული სიმბოლიზმის ერთ-ერთ თვალსაჩინო მეთაურად იქცა, თავისი შემოქმედების ადრინდელ ეტაპზე გულწრფელად თანაუგრძნობდა ხალხთა მასების რევოლუციურ მოძრაობას. მისი ერთი ლექსი „ეს იყო თურქეთში" (1901 წ.) ხელიდან ხელში გადადიოდა, ეს ლექსი კარგად გამოხატავდა ხალხის განწყობილებას იმ დროისათვის და მას ლენინმა მაღალი შეფასება მისცა (იხ. „ისტორიჩესკიი არხივ", № 6. 1955 წ. გვ. 9).

აღსანიშნავია, რომ 1905 წლის რევოლუციის დროს კ. ბალმონტის ლექსები იბეჭდებოდა გაზეთ „ნოვაია ჟიზნის" ფურცლებზე, ეს გაზეთი გამოდიოდა ლენინის უშუალო ხელმძღვანელობით. პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ ბალმონტი გაიქცა საზღვარგარეთ; 1907 წელს პარიზში მან გამოსცა წიგნი „შურისძიების სიმღერები", ამ წიგნში პოეტმა ნიკოლოზ მეორეს უწოდა „მეფე-ჯალათი", და მოუწოდა ხალხს დაემხო მისი ტახტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდგომში პოეტმა სხვა გზა აირჩია. მაგრამ ეს უკვე სხვა არის ჩვენი წერილის თემა.

ახლა ორიოდე სიტყვა ბალმონტის მთარგმნელობითს მუშაობაზე. დასავლეთ ევროპის კლასიკოსების გარდა, მან რუს მკითხველს გააცნო რუსთაველის გენიალური ქმნილება. ვიდრე „ვეფხისტყაოსანს" მთლიანად თარგმნიდა და გამოაქვეყნებდა, იგი ახდენდა პოემის ნაწილ-ნაწილ თარგმნას და ბეჭდავდა ცალკე კრებულებსა თუ ალმანახებში. ამ მხრივ ჩვენს ყურადღებას იპყრობს კ. ბალმონტის ერთი კრებული სათაურით „მსოფლიო პოეზიიდან", რომელიც 1921 წელს გამომცემლობა „სლოვომ" გამოსცა ბერლინში. ეს წიგნი ჰქონდა ვ. ი. ლენინს და იგი კიდეც მოთავსებულია საცნობარო ხასიათის ფუნდამენტურ ბიბლიოგრაფიაში — „ვ. ი. ლენინის ბიბლიოთეკა კრემლში"; ეს არის ვ. ი. ლენინის პირადი ბიბლიოთეკის კატალოგი, რომელიც საკავშირო წიგნის პალატამ გამოსცა მოსკოვში, 1961 წელს. მასში შესულია 8.400 სახელწოდების წიგნი, ჟურნალი და გაზეთი, ცხრამეტ სხვადასხვა ენაზე. ამ ბიბლიოგრაფიაში არის ასეთი განყოფილება: „რუსული ლიტერატურა და საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხთა ლიტერატურა", სადაც რიგითი ნომრით 6.001 ნომრით ფიქსირებულია: Бальмонт, К. Д. Из мировой поэзии (сборник). Берлин «Слово», 212 стр.

ჩვენ დაგვაინტერესა ამ კრებულმა, განსაკუთრებით კი იმან, თუ მსოფლიოს რომელი ქვეყნის პოეტები მოხვდნენ კ. ბალმონტის თარგმანთა კრებულში, იმ წიგნში, რომელიც ამჟამად კრემლში, ვ. ი. ლენინის პირად ბიბლიოთეკაშია დაცული.

მაგრამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტას აძნელებდა ის, რომ არც თბილისში, არც ქუთაისში, ერთი სიტყვით, საქართველოში არ აღმოჩნდა კ. ბალმონტის თარგმანთა კრებული სათაურით „მსოფლიო პოეზიიდან". მაშინ გადავწყვიტე წავსულიყავ მოსკოვს. მართლაც, მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში დაცულია კ. ბალმონტის თარგმანთა კრებული „მსოფლიო პოეზიიდან", რომელშიც აღმოჩნდა „ვეფხისტყაოსნის" დასაწყისი. კრებულს ახლავს მთარგმნელის პატარა, მაგრამ მშვენიერი, პოეტური მღელვარებით დაწერილი წინასიტყვაობა, რომელშიც აღნიშნულია: „პოეზია ნათელი და ახალი ემბაზია და როდესაც სული შეეხება ამ წყაროს, იგი ხდება ჭაბუკური... ცხოვრობდე მსოფლიო პოეზიის სუფთა ჰაერზე, ნიშნავს იცხოვრო ორმაგად და გულში ჩაგწვდეს ციურ ფრინველთა გალობა... მსოფლიო პოეზიის შესანიშნავი ქმნილებებიდან ამ წიგნში შევიდნენ მხოლოდ ისინი, რომლებიც მე განსაკუთრებით შემიყვარდნენ და რომელთა სურნელება ჩვენს დროშიც გვხიბლავს". ამის შემდეგ კრებულში უშუალოდ წარმოდგენილია მსოფლიოს პოეზიის ნიმუშები (სულ თვრამეტი ავტორი).

კრებული იხსნება ნაწყვეტით „ძველ ედადან", შემდეგ კი უშუალოდ წარმოდგენილია პროლოგი რუსთაველის „ვეფხისტყაოსნიდან". იგი თარგმნილია მთლიანად.

პროლოგის ბალმონტისეულ თარგმანს კრებულში უჭირავს რვა გვერდი (19-26). რუსთაველის დიდი სახელი აქ წინ მიუძღვის და სათავეში უდგას მომდევნო საუკუნეების პოეტებს: დანტეს, გოეთეს, ბაირონს, შელის, ჰაინეს, ედგარ პოს, უოლტ უიტმენს, ვერლენს, ბოდლერს...

კ. ბალმონტის თარგმანთა ამ კრებულს „მსოფლიო პოეზიიდან", სამწუხაროდ, სპეციალურ ლიტერატურაში ნაკლებად ეხებიან. ამის მიზეზი, ალბათ, ისიც არის, რომ ეს წიგნი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს.

ბუნებრივად იბადება კითხვა: კრემლის ვ. ი. ლენინის პირად ბიბლიოთეკაში აღნიშნული კრებული შემთხვევით ხომ არ მოხვედრილა? ჩვენი აზრით, ასეთი კითხვის დასმა მაშინ იქნებოდა მიზანშეწონილი და მართებული, თუ კრემლში, ვ. ი. ლენინის ბიბლიოთეკაში აღმოჩნდებოდა კ. ბალმონტის მხოლოდ ეს ერთადერთი ნაშრომი. მაგრამ ეს ასე არ არის. ვ. ი. ლენინის პირად ბიბლიოთეკაში გვხვდება კ. ბალმონტის ორი სხვა წიგნიც (იხ. „ვ. ი. ლენინის ბიბლიოთეკა კრემლში", 1961, გვ. 491).

**რ. ზამელაშვილი,**
**დოცენტი, ფილოლოგიურ მეცნ. კანდიდატი.**



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა



# რა უბრალოა ამგვარი ჰეროიზმის

ბუბა შეყრილაძე.

ღამე იყო. ეძინა რუსთავ-ქალაქს.

ელექტროზარის გაბმულმა წკრიალმა შეაკრთო ღრმა ძილში გახვეული ოჯახი.

ბავშვებმა ძილს თავი ვეღარ წაართვეს, გვერდი იცვალეს მხოლოდ, ბუბამ და კატომ კი ერთდროულად წამოიხედეს.

— მომესმა, თუ მართლა ჩვენთან რეკავს ვინმე? — უჩურჩულა ნახევრად მძინარე კატომ მეუღლეს.

ზარმა ისევ დაიწკრიალა.

— ვინ უნდა იყოს ამ შუაღამისას! — უფრო თავისთავს ჩაეკითხა ბუბა და საწოლიდან წამოდგა, — რომელი ხარ?

— ვიქტორი ვარ, ბუბა!

მასპინძელმა იმწამსვე იცნო თავისი ოსტატის — ვიქტორ ჩიკვილაძის ხმა, საჩქაროდ გაალო კარი.

— შემოდი, ვიქტორ!

— არა, ბუბა, შემოსასვლელად არ მცალია. ძალიან გთხოვ, შენც მალე გადაიცვი. ქვემოთ გელოდებით მანქანით. საჩქარო დაკვეთაა საამქროში. უშენოდ არაფერი გამოდის.

პირველი შემთხვევა არ იყო, საამქროში სასწრაფო საქმეზე რომ ეძახდნენ ბუბა შეყრილაძეს. უბრალო საქმისათვის ამ შუაღამისას არ მოვიდოდა ოსტატი. ახლავეო, უთხრა მოსულს და წასვლის სამზადისს შეუდგა.

საქმე მართლაც სერიოზული იყო. რაც შეიძლება ჩქარა უნდა დამზადებულიყო მარტენის საამქროს ხიდური ამწის ერთი დეტალი, რომლის მწყობრიდან გამოსვლის გამო ღუმელის ჩატვირთვის საქმე ფერხდებოდა.

შემკეთებელ-მექანიკური საამქროს თავკაცები ქარხანაში დახვდნენ ბუბას, მჩარხავი მიშა ქავთარაძეც გამოეძახნათ ბინიდან.

დიდი ახსნა-განმარტება არ დასჭირვებიათ საამქროს ხელმძღვანელებს ბუბასათვის, თუ რა საჩქარო საქმისათვის გამოიძახეს. მარტენის ღუმელის ხიდური ამწე დგასო, უთხრეს მას და ეს საკმარისი იყო. მშვენივრად იცის ბუბამ, ყოველი წუთით ამწის დადგომა ტონობით ფოლადის დაკარგვას ნიშნავს.

მუშაობაში გართულს არც შეუნიშნავს, როდის შემოიპარა ფანჯარაში აისის მკრთალი შუქი.

დილით, როცა ქარხნის დირექტორი სოლომონ შარაძენიძე და მთავარი მექანიკოსი პეტრიაშვილი საამქროში მოვიდნენ, დეტალი უკვე მზად იყო. ეს უკვე მერამდენედ დაიმსახურა მადლობა დაუზარელმა და ოქროსხელიანმა ბუბა შეყრილაძემ.

ბუბა-ქაქუჩელა! ასე ეძახიან ბუბა შეყრილაძეს ამხანაგები.

— ხომ არ გწყინს, ბუბა, ასე რომ გეძახიან ამხანაგები-მეთქი, ვკითხე ერთხელ.

— რატომ უნდა მეწყინოს, სიყვარულით მეძახიან, — თქვა ბუბამ და გაიღიმა. გულწრფელი, ალალი იყო ეს ღიმილი.

მაგრამ მარტო ქაქუჩელას კი არა, გაჭირვების ტალკვესსაც ეძახიან, უნივერსალსაც, კაცურ კაცსაც და ყველაფერს, რაც კი შეიძლება ადამიანმა ადამიანის შესამკობად იხმაროს.

თვითონ ბუბა კი ერთი ტანმორჩილი კაცია, მუდამ სახემომღიმარე.

— აი, ბუბა, ეს დეტალი უნდა გამორანდო! — ეუბნებიან მას. ბუბა დახედავს ნახაზს და უმალ დაზგას მიაშურებს.

— ბუბა, სარანდავი ჩარხი გააჩერე! ეს დეტალია სასწრაფოდ დასამზადებელი. სალარავ დაზგაზედ მოგიხდება მუშაობა.

ბუბა სარანდავ ჩარხს გამორთავს და სალარავ ჩარხთან მიდის.

— ბუბა, დღეს საჭრელ ჩარხთან უნდა იმუშაო. სპეციალური კბილანებია დასამზადებელი. — აცნობს ოსტატი დილით დღევანდელ სამუშაო გეგმას.

— დავამზადოთ! — ამბობს ბუბა.

— რა ჰქვია, ბუბა. თქვენს სპეციალობას? — ვკითხე მას.

— რა ვიცი რა ჰქვია, — ამბობს იგი, — ზეინკალი, მრანდავი, მჭრელი, მღარავი, ერთი სიტყვით, რკინა ჩამივარდეს ხელში და საითაც მეტყვიან, იქით გამოვაბამ ყურს.

ამიტომაცაა, რომ საამქროში ხშირად გაიგონებთ ასეთ ხუმრობას:

— არა, ძმაო, არა, ასეთი ცხრა ნომრით ჩვენი გუნდი შორს ვერ წავა.

— მიდი აგერ, ბუბასთან, ისეთ ცხრა ნომერს გამოგიჩარხავს, მსოფლიოს ვარსკვლავებთან შეეძლება თამაში.

— ეს საქმეა? ჩემი სარგო ფეხსაცმელი ვერ მიშოვნია მაღაზიაში!

— შე კაცო, თხოვე ბუბას, გამოგიჭრის.

ბუბა მეტალურგიული ქარხნის კადრის მუშაა. ჯერ კიდევ სრულიად ყმაწვილი იყო, თერჯოლის რაიონის სოფელ ვარდიგორიდან თბილისში რომ გაგზავნეს სპეციალობის შესასწავლად. აქ იგი სამი წელი ეუფლებოდა მრანდავის საინტერესო პროფესიას.

1947 წლიდან ბუბას რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობაზე უხმობენ, შემკეთებელ-მექანიკურ საამქროში იწყებს მუშაობას.

ოცდამესამე წელია, რაც იგი ჩარხებს დაუმეგობრდა. რაკი ერთხელვე იგრძნეს მზრუნველი ხელი, ჩარხებმაც გადაუშალეს თავიანთი საიდუმლოება ბუბას.

არა მარტო ლითონს, აქ იგი თავის ბედსაც სჭედს და ჩარხავს.

თენგიზ ლეკვეიშვილი

ბუბა თავის მეგობრებთან.



# ტალინის ფლიუგერები



ხალხის მხატვრული შემოქმედება ვიღაცამ ხატოვანად შეადარა ზღვას; ამ შედარებაში ბევრი სიმართლეა. იგი ხომ ნამდვილად ზღვასავით უსაზღვრო და მრავალსახოვანია. მასშია ფანტაზიის დაუშრეტელობაც, პოეტური აზრის თამამი აღმაფრენაც და ჯადოქრული ხელების ოსტატობაც. მსგავსად კრისტალისა, რომლის წახნაგებიც მოულოდნელად აციაგდებიან ხოლმე ზღაპრული ელვარებით, იგი თავის სულ ახალ და ახალ თვისებებს გვიშლის თვალწინ და განუწყვეტლივ გვაოცებს სიმდიდრეთა მრავალფეროვნებით.

ყოველ ქვეყანას ამშვენებს თავისი საგანძური. თავისი შეუდარებელი, განუმეორებელი შედევრები. საქართველოში თვალს მოგტაცებთ კერამიკა და ჰედური ხელოვნება, შუა აზიაში — ხალიჩები, რუსეთში — ხეზე მოხატვა და მოჩუქურთმება. ესტონეთში კი ფლიუგერები.

ჩვენს წარმოდგენაში ფლიუგერი — ლითონის უბრალო ფირფიტაა, რომელიც ქარის მიმართულებას უჩვენებს; რა საერთო უნდა ჰქონდეს მას ხელოვნებასთან! მაგრამ რომ ნახოთ ტალინის სახელგანთქმული ფლიუგერები, მიხვდებით, რომ შთაგონებას და ოსტატობას შეუძლიათ გააცოცხლონ უბრალო, ცივი ლითონი.

ტალინის ძველ შენობათა წვეტიან სახურავებს. ეკლესიათა წერწეტა შპილებს ამშვენებენ ყველაზე მოულოდნელი, საოცარი ფორმების ფლიუგერები. ისინი ზემოდან დაფარფატებენ ქალაქს, როგორც უცნობი, ზღაპრული ფრინველები.

ვერაფერი სხვა ისე ვერ შეძლებდა ძველი ციხესიმაგრეებისა და შენობების დიდებულ მოხაზულობათა ასე გამომხატველად დაბოლოვებას, ქალაქისათვის განუმეორებელი არქიტექტურული სახის მიცემას, როგორც ეს ცაში მოლივლივე ფლიუგერები. მათ შესაქმნელად საუკუნეების მანძილზე შრომობდნენ მჭედელთა, მესპილენძეთა. ქვისმთლელთა და მხატვართა მთელი თაობები.

ყველაზე პოპულარული და ორიგინალური ამ ფლიუგერთა შორის „მოხუცი ტოომასია". იგი აგვირგვინებს ქალაქის უძველესი რატუშის სამოცმეტრიან შპილს. 1530 წელს დადგმული ეს ფლიუგერი წარმოადგენს ხმლით შეიარაღებულ მეომარს, რომელსაც ხელში ალამი უჭირავს. მოხუცი ტოომასის სახით გადმოცემულია ქალაქის დამცველთა ვაჟკაცობა და სიმამაცე; თავბრუდამხვევ სიმაღლეზე ატანილი მოხუცი ტოომასი დგას როგორც ტალინის შეუცვლელი, ფხიზელი გუშაგი. ეს ფლიუგერი ქალაქის ემბლემად იქცა. ტალინელებისათვის მოხუცი ტოომასი იგივეა, რაც თბილისელებისათვის ქართლის დედა.

ესტონური ფლიუგერები ლითონში გაცოცხლებული პოეზიაა. ისინი მოგვითხრობენ ადამიანის ლტოლვაზე მშვენიერებისაკენ; შემთხვევითი როდია, რომ ამ ხელოვნებას ესოდენ დიდ დროს ანდომებდნენ ქანდაკებისა და ფერწერის მთელს ევროპაში ცნობილი ესტონელი ოსტატები, მამა-შვილი — კლოუზ და მაიკლ სიტოუები. ამათგან უმცროსი ფერმწერლად მუშაობდა ესპანეთის დედოფლის იზაბელას კარზე. 1452 წელს კლოუზ სიტოუმ მოაოქროვა ტალინის ერთ დიდ შენობაზე ამართული ფლიუგერი.

ფლიუგერების მოოქროვება რთული საქმე იყო. ისე უნდა დამაგრებულიყო ლითონზე ოქროს თხელი ფურცელი, რომ მრავალი ასეული წლის მანძილზე მისთვის ვერაფერი დაეკლო მზისა და წვიმის გამანადგურებელ ზემოქმედებას. დიდხანს გრძელდებოდა ეს საკირკიტო და ძნელი სამუშაო. მაგრამ სამაგიეროდ რა ლამაზად ელავდნენ მოოქროვილი ფლიუგერები ცისა და ზღვის სივრცის ლურჯ ფონზე!

ოსტატის ჩანაფიქრს ასაზრდოებდა მის ირგვლივ არსებული სინამდვილე, ხალხში შემონახული თქმულებები და ლეგენდები, მოთხრობები შორეულ უცნობ ქვეყანათა მცხოვრებლებზე. სიუჟეტს ხშირად კარნახობდა ზღვაც რომელიც თავის კვალს ასვამდა ქალაქის ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს. მხატვარს უნდა ჰქონოდა უნარი ხორცი შეესხა მისთვის ლითონზე, ნახატის დახვეწილ ხაზებში. ერთ-ერთ შენობაზე ფლიუგერი გაკეთებულია ფანტასტიკური თევზის სახით, რომელსაც საკუთარი ზურგით მიაქვს საჰაერო ფრეგატი. მისი ყველა იალქანი ქარისგან არის დაბერილი. ასე გგონია, ხომალდი სწრაფად. შეუკავებლად მიქრის ტალღებზეო.

მშვენიერი ყოველთვის ნიშანდებულია შინაგანი ჰარმონიით. არ შეიძლება ამის შესახებ არ გაიფიქრო, როცა შეხედავ ტალინის რატუშის დასავლეთი ფრონტონის დამამშვენებელ ფლიუგერს. იგი XVII საუკუნის დასაწყისის ესტონური მხატვრული ხელობის ერთ-ერთი შესანიშნავი ნაწარმოებია. ფლიუგერის თხელზე თხელი, ქსოვილივით აჟურულ ფირფიტაზე ამოტვიფრულია ჩუქურთმული ორნამენტი და გამოსახულია ქალაქის ღერბი. გრძელი ღერო მორთულია ლითონის სპირალებით, რომლებიც ქმნიან ყვავილთა ფურცლების ყურძნის მტევნების. უცნაური ხაზებისა და მათზე დამაგრებული ნიღბების მშვენიერ ქარგას. ძნელი დასაჯერებელია. რომ ყველაფერი ეს გამოჭედილია რკინის უბრალო ღეროებისა და სპილენძის ფურცლებიდან.

ფლიუგერის რთულ აგებულებაში ზოგჯერ ჩართულია ქანდაკების ელემენტი. ადამიანებს, რომლებსაც ლითონის უხეში ნაჭრებიდან საუცხოო ნაწარმოებების შექმნის უნარი ჰქონდათ, უყვარდათ სიმბოლიკისა და ალეგორიების ენა. ალბათ ამიტომაც ასე ხშირად შეიძლება შეხვდეთ ფლიუგერებს. რომლებიც გამოხატავენ ზღაპრულ მარტორქებს. ავადმყოფობისა და უბედურობებისაგან რომ იცავენ ადამიანებს, ან ფრთიან ფასკუნჯებს. უკვდავება და ბედნიერება რომ მოაქვთ.

მაგრამ შენობებისა და კოშკების ფრონტონების დამამშვენებლად ყველაზე უფრო გავრცელებულ პერსონაჟს წარმოადგენდა ხალხური ლეგენდებისა და თქმულებების საყვარელი გმირი — მოუსვენარი და მოჩხუბარი მამალი. მუდამ საგუშაგოზე მდგომი. იგი აფრთხობს ბნელ ღამეს და სიხარულით ხვდება გათენებას. დღემდე შემორჩენილია მამლიანი ფლიუგერი იანის ეკლესიის თავზე, სადაც იგი სამასზე მეტი წლის წინათ დადგეს. ხალხის იუმორმა და მოხერხებულობამ საფლიუგერო მამლები „მომღერლებად" აქცია. მათი სპილენძის სხეულები ისე მზადდებოდა. რომ შიგ ატანდენ სპეციალურ სასტვენ მილებს. ქარში ასეთი ფლიუგერები გამოსცემდნენ მსტვენავ ხმებს. რომლებიც რაღაცით წააგავდნენ ფრინველების გალობას.

ფლიუგერები მოგვითხრობენ ისტორიულ მოვლენებზე... ეპოქას ეპოქა მისდევდა. დრო იცვლებოდა. მასთან ერთად იცვლებოდა ადამიანთა ზნეჩვეულება და ცხოვრების პირობები. ამის შესახებ ბევრი რამის მოყოლა შეუძლიათ ფლიუგერებზე ამოქარგულ ალბეჭდილ თარიღებსა და ინიციალებს. მაგალითად. ტალინის ისტორიულ მუზეუმებში დაცულია ძველებური ფლიუგერი. რომელიც გაკეთებულია XVI საუკუნის ბოლოს — აღორძინების ეპოქაში; მის ფირფიტაზე ამოტვიფრულია ინიციალები „ჰ.ვ.ლ.". ეს პირველი ასოებია მდიდარი მოქალაქის. ე. წ. „შავთავიანების სავაჭრო ძმობის" წევრის ჰაინრიხ ვან ლოუნისა.

როცა თავის ნაწარმოებს ქმნიდა. ოსტატი არც ფლიუგერის ტექნიკურ დანიშნულებას — ქარის მიმართულების ჩვენებას ივიწყებდა. ამიტომ ფლიუგერის აუცილებელ კუთვნილებას. ორგანიულად ჩაქსოვილს საერთო ნახატში, წარმოადგენდა ძირითადი რუმბების მაჩვენებელი. იგი კეთდებოდა ლამაზად მოღუნული ღეროებისაგან. რომლის მიხედვით ადვილად განსაზღვრავდნენ ქარის მიმართულებას.

ძნელია იმის თქმა. თუ რამ მისცა დასაბამი ფლიუგერების წარმოშობას. ზოგნი თვლიან. რომ იგი პირველად შექმნილ იქნა ჯერ კიდევ ძველი რომის იმპერიაში, როცა საბრძოლო შტანდარტებსა და შუბებს სხვადასხვა ნიშნებით რთავდნენ; სხვები ფიქრობენ. რომ ფლიუგერი დაიბადა ძველ მეზღვაურთა შორის. რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ ამინდსა და ქარებს. ვინ იცის, ნამდვილად ასეა თუ არა, ან რა უნდა ითქვას გარკვეულად დროის შორეთში გამქრალ საუკუნეებზე?

ფლიუგერი რაღაცით მოგვაგონებს ლეგენდარულ უკვდავ ფრინველს ფენიქსს. რახან მან საუკუნეები გამოიარა, თავი შეაყვარა ხალხს და მისთვის ტრადიციად იქცა, მაშასადამე, მას დიდი ხნის სიცოცხლეც უწერია. კეთილი ტრადიცია და მასთან შერწყმული დიდებული ხელოვნება კი არასოდეს არ ქრება.

ეს ხელოვნება კვლავ აღორძინდა ტალინში. ქალაქის ძველი ციხეების კედლებსა და კოშკებზე. ისევე, როგორც მრავალი ასეული წლის წინათ, ლამაზად და საზეიმოდ ლივლივებენ აჟურული ფლიუგერები, დამზადებულნი ბოლო წლების მანძილზე.

მხატვრები, არქიტექტორები. ავითარებენ რა წარსულის მემკვიდრეობას, ბრმად კი არ იმეორებენ ძველ სახეებს, არამედ შეაქვთ მათში ახალი — ის, რასაც მათ თანამედროვეობა უკარნახებს. ძველებურად ერთგულნი არიან ამ დარგისა სახალხო ოსტატებიც. ზეინკალმა ჰარალდ კაარემ 1959 წელს სიმბოლური მოტივების მიხედვით. რკინისა და სპილენძისაგან დაამზადა საუცხოო ფლიუგერი. მაგრამ მის ცენტრში მოათავსა არა ფასკუნჯი ან მარტორქა, არამედ მშვიდობისა და მეგობრობის ემბლემა — მტრედი.

გაივლიან წლები და მოხუცი ტოომასის გვერდით. შენობების თავზე აღიმართებიან ჩვენი ეპოქის შესანიშნავი ფლიუგერები, რომლებიც გამოსახავენ საბჭოთა ადამიანების გმირულ შრომასა და ისტორიულ წარმატებებს.

**გორის შატბერაშვილი**

# - თავმჯდომარის დაბრუნება




სოფელში ახალი თვითმავალი კომბაინი მოიტანეს.

ის დღე არასოდეს არ დაავიწყდება ალფეზ ბუდალაშვილს.

მზიანი თებერვალი იდგა, ხეში წყალი ჩამდგარიყო და კვირტებს გარეთ გამოეხედათ; იმ ნიშანდობლივ დღეს კანტორაში ხალხს საერთო კრებაზე მოეყარა თავი და ზოგი სიტყვის ღრუბელივით მოქურუხებული, ზოგი დამცინავად თვალმოწკურული, ზოგიც ულვაშებში მომღიმარი უგდებდა ყურს პრეზიდიუმის მაგიდასთან აწურულ ალფეზს, რომელსაც წინ ტრიბუნასავით დაედგა სკამი, ორივე ხელით ჩასჭიდებოდა საზურგეს და სირცხვილისაგან სახეშეფაკლული ძლივს იმორჩილებდა ათრთოლებულ ხმას.

— მაპატიეთ, ამხანაგებო... მართლა ძალიან... ცუდად გამომივიდა. თვითონაც არ ვიცი რა ღმერთი გამიწყრა... შევკრთი... დღეიდან სიტყვას გაძლევთ...

ლამის ატირებულიყო ალფეზი. ნეტა მიწა გამისკდეს და თან ჩამიტანოსო, ნატრობდა და დარბაზში გატრუნულ კოლმეურნეებს თვალს ველარ უსწორებდა.

საქმე კი შემდეგში იყო.

სამთავისელები კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ირჩევდნენ. ძველებმა თავიანთი ბედოვლათობით ლამის წელში გატეხეს სოფელი. ახლა უნდოდათ ერთი ისეთი ვინმე გამოეძებნათ თავკაცად, სოფელს რომ მტლად დაედებოდა და კოლმეურნეობას მუხლს გაუმაგრებდა. წელში გამართავდა.

ასეთი კაცი იქვე მეზობლად, ქვემო ჭალაში ეგულებოდათ, იქაური კოლმეურნეობის აგრონომი ალფეზ ბუდალაშვილი. სამთავისში კარგად იცნობდნენ ამ ახალგაზრდას, იცნობდნენ რაიონშიც. წყნარი, თავმდაბალი, ენერგიული, მცოდნე და, რაც მთავარია, საქმისთვის გულდადებული იყო. ის მოითხოვეს თავმჯდომარედ. უკვირდა ალფეზს, ნეტა რა ნახეს ჩემშიო. მაგრამ სამთავისელებს უკვე გადაეწყვიტათ, ამას ლარი და ხაზი ალარ სჭირდებაო, არც ალფეზს დასჭირებია დიდი ხვეწნა, დაიყოლიეს და ორიოდე დღის შემდეგ კოლმეურნეობის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე მიიწვიეს. არჩევის შემდეგ სიტყვით გამოსვლაც სთხოვეს, გვითხარი რამეო. კარგ ხელმძღვანელს მონატრებულ ხალხს, უნდოდა რალაც საიმედო გაეგონა ახალი თავმჯდომარისაგან და ბუდალაშვილმაც თქვა: გავამართლებ თქვენს ნდობასო, ძალღონეს არ დავიშურებო. ერთი სიტყვით, თქვა, რაც სათქმელი იყო, რასაც ასეთ დროს ამბობენ ხოლმე.

მერე კი, როცა საკუთარი თვალით დაინახა აქა-იქ გაფანტული წვრილწვრილი, ნახევრად დაქცეული ფერმები, ადგილ-ადგილ კი კერძო ბოსლებში შეკედლებული საკოლმეურნეო საქონელი, ღია ცის ქვეშ, ტალახში დაყრილი მანქანა-იარაღები, გამოცარიელებული ბეღლები, მიხვდა რა საქმის აღებაც მოუხდა კისრად და დაფრთხა ახლად არჩეული თავმჯდომარე. გამოიქცა უკან ქვემო ჭალაში. დაწერა განცხადება და, თვითონ რომ ვერ გაბედა, პარტიის რაიკომის მაშინდელ მდივანს დურმიშხან მალალაშვილს ცოლის ხელით გაუგზავნა. ცოლს მდივანი ვერ ენახა და განცხადება საერთო განყოფილების გამგის ზიზო სიდამონიძისათვის გადაეცა. ეს განცხადება ზიზოს არ უჩვენებია მდივნისათვის, გაუგონარი რამ იყო, ეფიქრა, დღეს-ხვალ ალფეზი თვითონ მოისურვებს მის დახევასო, მაგრამ მალალაშვილს მაინც რალაც მანქანებით გაეგო ყველაფერი. თვითონ წასულიყო ქვემო ჭალაში და სამთავისელთა ახლად გამომცხვარი თავმჯდომარე სასხლავი მაკრატლით ხელში ეპოვა ვენახში.

მიხვდა ბუდალაშვილი, ვიწროში რომ მოატანეს, თანაც სინდისიც ქეჯნიდა უკვე. მდივანსაც დიდი საყვედურები არ დაუწყია, ჩაისვა ალფეზი მანქანაში და პატარძალივით მიჰგვარა უკან სამთავისელებს.

გადმოდიოდა მანქანიდან ახალგაზრდა თავმჯდომარე და გული ხელთ აღარა ჰქონდა. თავჩაქინდრული აჰყვა კანტორის კიბეს.

მოიწვიეს ხელმეორედ კრება და, აი, სწორედ მაშინ იყო, ალფეზ ბუდალაშვილს სირცხვილისა და სინანულისაგან ხმა რომ შეეცვალა.

— შე კაი კაცო, — უთხრა გიორგი ხატისკაცმა, სამოცდაათს მიტანებულმა, მხრებში ლაღად გაშლილმა გლეხმა, — კამეჩის რქაში ხომ არ ვზივართ, მხარს მოგცემთ, დაგეხმარებით. შენ ოღონდ რაიმე კარგის გაკეთება მოინდომე და მგლის მუხლს გამოვიბამთ, ნემსის ყუნწში გავძვრებით, რას ითაკილე ჩვენთან მუშაობა, დალოცვილო!

გონიერი, ენამახვილი კაცია გიორგი, საქმეც კარგად ეხერხება და გამტკიცული ქართულით ლაპარაკიც.

მას შემდეგ ცხრა წელი გავიდა და ეს ცხრა წელი ძილითაც სულ კლდის ფხაზე ეძინა ალფეზ ბუდალაშვილს.

— თუ რამე ახალი გინდა, ოღონდ აუხსენი ხალხს, გააგებინე და ყველაფერს გააკეთებენ! — იცის ხოლმე თქმა ალფეზმა. სამთავისელებმა ათქმევინეს. თავმჯდომარისათვის მიცემული სიტყვა კაცს არ გაუტეხავს, იმ წელსვე შეუდგნენ ახალი ბაღ-ვენახების ჩაყრას, ყამირის გატეხვას. მაგრამ ამაგს რომ ნაყოფი გამოეღო, სამი-ოთხი წელი მაინც უნდა გასულიყო. მაშინ ბუდალაშვილის წინადადებით, გადაწყვიტეს, სანამ ხეხილი და ვაზი გაიხარებდა, მეურნეობის წამოსაწევად, დიდ ფართობებზე დაეთესათ ერთწლიანი კულტურები: ბოსტნეული, სიმინდი... აი თუნდაც სიმინდისთვის ორასამდე ჰექტარი დაეთმოთ. მაშინვე გამოჩნდნენ ურწმუნო თომებიც — ეგ ყველაფერი კარგია, მაგრამ ამხელა ფართობების დამუშავებას რითილა გვიბრძანებო.

გაჯავრდა თავმჯდომარე:

ეს კულტივატორები ხომ გაქვთო. გვაქვსო. მერე, ასე უპატრონოდ რომ გიყრიათ ტალახში, მოხმარება არ უნდაო.

მოწინავე კოლმეურნე ცაალა გამხიტაშვილი.





ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსი ნიკა გამხიტაშვილი.

ეს სილოსის ასაღები კომბაინი ხომ გაქვთო. გვაქვსო. ჰოდა, თქვე დალოცვილებო, ასე უქმად რომ გდია და თქვენ კი სიმინდს ხელით ეზიდებით და წალდებით კუწავთ, სად გაგონილაო.

და წლების მანძილზე უქმად დარჩენილმა ტექნიკამ გუგუნ-გრიალით შეუტია ველ-მინდვრებსა და ბაღჩა-ბაღებს.

იმ წელსვე მარტო სიმინდში 100 ათასი მანეთი აიღეს. შრომადღეზე კი ერთი მანეთი და ცხრა კილოგრამი მარცვლეული გაანაწილეს. წელში გასწორდნენ სამთავისელები, ახლა კი ნამდვილად დაუჯერეს თავიანთ თავმჯდომარეს და მიჰყვნენ კვალში.

ამ ცხრა წლის წინათ ხეხილი 42 ჰექტარზე ჰქონდათ გაშენებული, ახლა 128 ჰექტარი ბაღი აქვთ, ვაზი 13 ჰექტარზე ჰქონდათ ჩაყრილი, ახლა 50 ჰექტარი ვენახი აქვთ. სახნავ-სათესი 550 ჰექტარი იყო, ახლა 600-ზე მეტ ჰექტარზეა გაჭიმული. შემოსავალი 60 ათას მანეთს არ აღემატებოდა, ახლა 368 ათასი მანეთი აქვთ, თანაც ბაღსა და ვენახს, ჯერ როგორც წესია, კიდევ ისე არ მოუსხავს. გამრავლდა სამთავისელთა ოჯახებში ტელევიზორები, მაცივრები, სარეცხი მანქანები, პიანინოები, ახალი ავეჯი და მოწყობილობა. ამას კი სულ აღარ უხდებოდა ტალახიანი ორღობეები და შეუდგნენ ქუჩების მოასფალტებასაც, ერთი სიტყვით, სოფელი ნელ-ნელა სოფელს დაემსგავსა.

ხალხმაც დაუფასა ამაგი თავმჯდომარეს. შარშანწინ ალფეზ ბუდალაშვილი ლენინის ორდენით დააჯილდოვეს. შარშან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. ამას წინათ კი პარტიის რაიკომში დაუპირეს მდივნად გადაყვანა, მაგრამ ხალხმა არ გაუშვა, არც თვითონ მოიწადინა ალფეზმა — ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელიო.

ერთი უბის წიგნაკი აქვს ბუდალაშვილს. რაც კი მოეწონება, ან არ მოეწონება, შიგ იწერს, რასაც კი მოისაზრებს ან იანგარიშებს, იქ გადაიტანს. აქ ჩემი საკუთარი ხუთწლედიაო, გაიცინებს ხოლმე, როცა ამ უბის წიგნაკითა და კალმით ხელში დაფიქრებულს წააწყდებიან.

ფიქრი უყვარს თავმჯდომარეს, ფიქრობს დღევანდელ საქმეზე, ფიქრობს ხვალინდელ დღეზე. ხალხის სამსახურში ჩამდგარ კაცს საფიქრებელს რა გამოულევს!

* * *

ოცდათერთმეტი წლისაა ალექსანდრე ხასიევი, ოთხი შვილის მამაა. თვრამეტი წელია მიწას ებრძვის; ცოცხალი, საზრიანი, დაუზარელი და დაუღალავი კაცია.

გახურებული ხვნა-თესვა იყო. ალექსანდრე „დტ-74"-ს მართავდა. შეჯიბრებული იყო თანასოფლელებთან და უხაროდა, სამუშაოს კაი პირი უჩანდა, მაგრამ სწორედ იმ დღეს, როგორც კი გაიფიქრა, ხვნის ვადას ორი დღით შევამცირებო, ტრაქტორს რედუქტორი გაუფუჭდა.

გულგახეთქილი მივარდა კანტორაში, მაგრამ რედუქტორს ასე იოლად სად მონახავდა. დარეკეს რაიონში, არა გვაქვსო, უთხრეს. მიმართეს „სოფლტექნიკას", იქიდანაც უარი შემოუთვალეს.

დაღონდა ტრაქტორისტი და აი მაშინ იყო, რომ ძველმა კოლმეურნემ ვასილ ზოზრაშვილმა ხუმრობით უთხრა:

— რას წვალობ, ბიჭო, ადექი შენცა და წადი იმ ქარხანაში, სადაც მაგ ტრაქტორებს აკეთებენ, რედუქტორსაც მოგცემენ და იქნებ სულ ახალი მანქანაც გამოგატანონ.

ხუმრობით თქვა ვასილმა, ამ ტრაქტორს ვოლგოგრადში ამზადებენ და ამ ერთი ნაწილისთვის იქ ვინ გაგზავნიდა. რა წაიყვანს ამ სიშორეს!

მაგრამ ალფეზი რის ალფეზი იყო, რომ მაშინვე დასტური არ მიეცა გაოცებული ტრაქტორისტისათვის. უფრო მეტიც, თვითონ წავიდა თბილისში, იქიდან „სოფლტექნიკის" თავმჯდომარის მიმართვა ჩამოიტანა და ალექსანდრე ვოლგისპირა ქალაქის გზას გაუყენა.

ორ დღეში დაბრუნდა უკან ალექსანდრე. საგანგებოდ გამოჭედილი რედუქ-

საფიქრალი ბევრი აქვს თავმჯდომარეს.



ტორი გამოატანეს ვოლგოგრადელებმა. ისევ ააგუგუნა თავისი ტრაქტორი და სულ რაღაც ერთ დღე-ღამეში აანაზღაურა დაკარგული დრო.

ტრაქტორისტის ასეთი სიმარჯვე და საზრიანობა კარგი და მოსაწონი რამ არის, მაგრამ აქ ერთი კითხვაც იბადება: რატომ უნდა სჭირდებოდეს კაცს ერთი დეტალისათვის ასე შორს წასვლა, რატომ არ უნდა ჰქონდეს ჩვენს „სოფლტექნიკას" დეტალების სათანადო მარაგი?

* * *

ლამაზი სოფელია სამთავისი. ლამაზად ჩარიგებულან ღელის პირას კოპწია სახლები, ამწვანებული ბაღჩა-ბაღები, ვენახები, შუა სოფელში კი ამაყად წამომართულა ლურჯი მთების ფონზე თეთრად მოელვარე სამთავისის ტაძარი. ლამაზია სოფელი და ალბათ ამიტომაც არის, რომ ცხვრის ყოველ გარეკვაზე ძალაუნებურად ფეხს ითრევს ხოლმე ნიკა გამხიტაშვილი.

ნიკა ძველი მწყემსია. რვა წლის ბიჭი იყო, რომ მეზობელმა თედო ბალხამიშვილმა ცხვარში წაიყვანა და მას აქეთ ცხვარს შეალია თავისი დღე და მოსწრება.

რა არ გადახდენია ამ ხნის მანძილზე ნიკას, რა არ განუცდია. ასეთი რამის მომსწრეც კი გამხდარა: ერთხელ დათვი დაეცა ფარას. დატორა ერთი ჭედილა, აიტაცა და წაიღო. გამოუდგა ნიკა და კიდევ სამი მწყემსი, გამოუდგნენ ძაღლებიც. ხუთი ძაღლი მაინც... დათვი მიწაზე დადებდა ცხვარს, მოუბრუნდებოდა მდევრებს და გარბოდნენ უკან მწყემსებიც და ძაღლებიც — თოფი არა ჰქონდათ. ისევ წაიღებდა დათვი ცხვარს, ისევ დააფრთხობდა გამოდევნებულებს... ისე წაიღო ის ჭედილა. ნიკას მთელ თვეს დარდად ეყო. ვერა და ვერ ეპატიებინა ვერც იმ ოხერი დათვისათვის, ვერც საკუთარი თავისათვის იმ ჭედილას დაკარგვა.

მიუხედავად ცხვრისადმი ასეთი სიყვარულისა, ერთ რამეში მაინც ეთანხმება ნიკა თავიანთ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.

ალფეზ ბუდალაშვილის აზრით, მეცხვარეობა წამგებიანი დარგია სამთავისელებისათვის.

— საძოვრები არა გვაქვს, — ამბობს ბუდალაშვილი, — და რაცა გვაქვს, არ გვყოფნის. ათასი სული ცხვარი გვყავს და ძლივს ავუდივართ. ზოგჯერ შეესევა ბაღებს და არავინ აღრიცხავს ზარალს, რასაც ისინი აყენებენ მეურნეობას, შეიჭრებიან ხეხილის ბაღში, გადაკორტნიან ნარგავებს, ხოლო ხეებს ქერქს აცლიან და ბაღი ხმება...

ნამდვილად დასაფიქრებელი საქმეა, რაკი-ღა თავმჯდომარეც და მწყემსიც ასე ფიქრობენ.

ამირან კუსრაშვილი

# ერთი თავი დიდი წიგნიდან

„რუსთაველის პროსპექტი და მოედანი“, ასე ეწოდება რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინრის გიორგი ბეჟანიშვილის წიგნს, რომელშიაც მრავალი საინტერესო ცნობაა მოცემული თბილისის მთავარი მაგისტრალის, ჩვენი დედაქალაქის მშვენების — რუსთაველის პროსპექტისა და მოედნის ისტორიიდან.

პოეტი-აკადემიკოსი იოსებ გრიშაშვილი თავის ერთ წერილში აღნიშნავდა: „ყოველ ქუჩას თავისი ისტორია აქვს, ქუჩაც ადამიანივით ცოცხლობს, იცვლის ფერს, სახეს და ადამიანივით კვდება.

არც ქუჩის სახელწოდებაა შემთხვევითი მოვლენა. ეს სახელწოდება ადამიანს აგონებს იმ დროს, იმ ვითარებას, თუ „რანი ვიყავით გუშინ“ და რა საბაბით დაერქვა ესა თუ ის სახელი ქუჩას, შუკას, ჩიხს, ფოლორცს. ჩვენი თბილისის ქუჩები თავისი განცდით სხვადასხვა დასტებად შეიძლება დაიყოს: არის ჯეელი ქუჩა, ბებერი ქუჩა, ფეოდალური ქუჩა, ქუჩა რევოლუციური, ქუჩა სურნელოვანი, ქუჩა სისხლით შეღებილი და სხვა. ყოველ ქუჩას თავისი შთაგონება აქვს...

ქუჩის ისტორიული სახელწოდება ხშირად ისპობა ქუჩასთან ერთად. რამდენი ქუჩა აღიგავა „პირისაგან ქვეყნისა“. რამდენმა დაჰკარგა თავისი პირვანდელი სახე და მათი წარსულის შესახებ კი არაფერი არ ვიცით...

რატომ არ შეიძლება დაიწეროს წიგნი: „თბილისის ქუჩები ისტორიული თვალსაზრისით“?

გიორგი ბეჟანიშვილის ზემოთ დასახელებული წიგნი, შეიძლება ჩვენი პოეტის მიერ მონატრებულ ამ დიდი წიგნის ერთ თავად ჩაითვალოს.

რა არ ახსოვს რუსთაველის პროსპექტს? შეიძლება აქ თვითონ რუსთაველსაც გაუვლია, ვინაიდან, როგორც ცნობილია, ძველი ქაშუეთის ეკლესია და ლურჯი მონასტერი ვერაზე რუსთაველის ეპოქაშიც არსებობდნენ.

ამ ქუჩაზე იყო ვაჟთა პირველი გიმნაზია, სადაც ნიკოლოზ ბარათაშვილი და ილია ჭავჭავაძე სწავლობდნენ...

ვინ მოსთვლის რა არ ახსოვს ამ ქუჩას?

მე-19 საუკუნის დასაწყისში აქ იდგა უგეგმოდ აშენებული სალოდავი და უბადრუკი ქოხმახები, მაგრამ პროსპექტი თანდათანობით ფართოვდებოდა და მას ახალი, ლამაზი სახლები ემატებოდა. ავტორი იძლევა საინტერესო ცნობებს პროსპექტის გაფართოების ისტორიიდან. 1833-35 წლებში მიწის მზომელთა მიერ ჩატარებული ტოპოგრაფიული სამუშაოების საფუძველზე პროსპექტის გასწვრივ დაიწყო მიწების განაწილება დიდ მოხელეებზე, თავადებზე და სამხედრო პირებზე. უკვე ამ დროიდან პროსპექტს მთავარი მაგისტრალის მნიშვნელობა ენიჭებოდა.

1845-47 წლებში აქ აშენდა მეფისნაცვლის სასახლე. ამჟამად ეს სახლი, ძირითადად გადაკეთებული არქიტექტორ არჩილ ქურდიანის ხელმძღვანელობით, გადაქცეულია პიონერებისა და ახალგაზრდობის მხატვრული აღზრდის კერად.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში რუსთაველის პროსპექტმა დიდი რეკონსტრუქცია განიცადა: 1934 წელს აღებული იქნა თამამშევის უშნო ქარვასლა, რომელიც პოეტ იოსებ გრიშაშვილის სიტყვით რომ ვთქვათ, „მურმანის ეკალივით ამოსულიყო დედაქალაქის შუაგულში და ჰკუმშავდა თბილისის ირგვლივ გაფენილ წარმტაც სანახებს“, მის ადგილზე აქ გადაიჭიმა ლენინის ულამაზესი მოედანი.

ამჟამად თბილისის მშვენებას წარმოადგენს მთავრობის სასახლე, მარქსიზმ- ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობა, საქართველოს ქვანახშირის კომბინატის ადმინისტრაციული სახლი, სასტუმრო „ივერია“ და მრავალი ახალი ნაგებობანი, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების დროს აშენდა და რომლებიც რუსთაველის პროსპექტს უაღრესად წარმტაცსა და მიმზიდველს ხდიან. ჩვენ ვეღარ წარმოგვიდგენია თბილისი რუსთაველის პროსპექტის გარეშე, ეს პროსპექტი ისე პოპულარულია არა მარტო ქართველ ხალხში, არამედ მთელ მსოფლიოში, როგორც სახელი იმ გენიოსისა, რომელსაც ეს პროსპექტი ღირსეულად ატარებს.

გ. ბეჟანიშვილის წიგნი „რუსთაველის პროსპექტი და მოედანი“, არა მარტო ცნობარია რუსთაველის პროსპექტის და მისი მოედნისა, არამედ ეს არის ისტორია იმ გიგანტური მშენებლობისა და რეკონსტრუქციისა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დროს ჩატარდა რუსთაველის პროსპექტისა და მისი მოედნის გამშვენიერებისა და გალამაზებისათვის.

**თინა ჩიგოგიძე**

# ლესორის მთის გულიდან

ქალაქ ონიდან ოცდაათი კილომეტრის მანძილზე, მდინარე ჭეჭორის ხეობაში, არის ერთი მაღალი მთა, რომელსაც ლესორას ეძახიან.

ლესორის საცალფეხო ბილიკებზე წინათ სოფელ ჩორდიდან წასული მონადირეები თუ გაივლიდნენ. იმ ხეობიდან მონადირე ხელცარიელი იშვიათად ბრუნდებოდა, ამიტომ ემადლიერებოდნენ ჩორდელები იმ მიდამოებს. მაგრამ რა იცოდნენ იქაურმა გლეხებმა, თუ ლესორა სხვა საგანძურსაც ინახავდა თავის გულში, ინახავდა იშვიათ სიმდიდრეს, რომელსაც შეეძლო უხვი და კულტურული ცხოვრების წყარო გამხდარიყო.

1935 წელი... თბილისიდან სტუმრები ჩამოვიდნენ ონში და ლესორასაკენ აიღეს გეზი. მაგრამ ისინი მონადირეები როდი იყვნენ, არამედ გეოლოგები...

სულ მალე ისინი მთებში გაეშურნენ და ისეთი „ნანადირევით“, ისეთი ნადავლით დაბრუნდნენ, რომ იქაურები ამას ოცნებაშიც ვერ წარმოიდგენდნენ. მათ აქ აღმოაჩინეს მინერალი, რომელიც თურმე აუცილებელი ყოფილა ქაღალდისა თუ რეზინის წარმოებისათვის და კიდევ სხვა დარგებშიც. ეს იყო ბარიტი, რომელიც ძველად უცხოეთიდან შემოჰქონდათ ჩვენი მრეწველობის საჭიროებისათვის და რომელიც მრავალი მილიონობით მანეთი ჯდებოდა.

თურმე ეს მილიონები აქ ეწყო, ჭეჭორის ხეობაში. მაგრამ ამ წიაღისეულის ამოღება მიუვალი მთის გულიდან ადვილი საქმე როდი იყო; წარმატებით გადაიჭრა პირველი რიგის ამოცანა — საავტომობილო გზის გაყვანა მთაზე. ამის შემდეგ აშენდა მუშათა საცხოვრებელი ბინები, დამხმარე ნაგებობანი, ბარიტის გამაუხვებელი ფაბრიკა, აღჭურვილი უახლესი ტექნიკით, აიგო ლესორიდან სოფელ ირამდე საჰაერო-საბაგირო გზა და კეთილმოწყობილი გახდა ახალი მუშათა დაბა ირი.

ბარიტის ამოღება აქ 1954 წლიდან დაიწყეს. მას შემდეგ ისე გაიზარდა ეს ახალგაზრდა საწარმო, რომ მთელი საბჭოთა კავშირის ბარიტის საწარმოთა შორის მოწინავეთა რიგებში ჩადგა. ახლა, ლესორის მთის გულიდან საჰაერო-საბაგირო გზით უწყვეტ ნაკადად მოედინება ბარიტით სავსე ვაგონები ირის ბარიტის გამაუხვებელ ფაბრიკაში, საიდანაც ეს ძვირფასი ნედლეული იგზავნება ჩვენი ქვეყნის ლითოფონის ქარხნებში.

მკაცრი და ხანგრძლივი ზამთარი იცის ლესორას მთაზე, მაგრამ მაღაროელებს იგი ვერ აფერხებს. აქ განუწყვეტლივ წარმოებს ბარიტის ამოღება.

გარდა მაღაროელებისა, აქ განუწყვეტლივ მუშაობენ ბუნების წიაღის მზვერავები — გეოლოგები, რომლებიც ეძებენ ბარიტის ახალ საბადოებს და გადასცემენ სამთო მშენებლებს ახალი მაღაროების აგებისა და მათი შემდგომი ექსპლოატაციისათვის.

ახალი ხუთწლედის მეორე წელი ჩორდის ბარიტის მაღაროთა სამმართველოს კოლექტივმა კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა და ახლა მაღაროელები ერთი ფიქრით არიან გამსჭვალულნი — ვადაზე ადრე და წარმატებით შეასრულონ ახალი ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანები, რაც შეიძლება მეტი და მაღალხარისხოვანი ბარიტი მისცენ დედასამშობლოს.

გატაცებით შრომობენ პატრიოტები; მრავალთაგან აქ მხოლოდ რამდენიმე მუშას დავასახელებთ: ესენი არიან ზურაბ აბრამიშვილი — კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, მის მხარდამხარ სამაგალითოდ იღწვიან პეტრე რეხვიაშვილი, ვლადიმერ ჩიტაძე, გიორგი ბიჭაშვილი, გალაქტიონ ჩიხრაძე, მათე ხუბეჟოვი, ძმები გიორგი და ბიკენტი აბრამიშვილები, ხაზგი ბატიევი, შოთა კობერიძე, ზაურ კოკოევი, ნოე ბერიშვილი და სხვები.

აქ იზრდება შესანიშნავი ცვლა კადრის მუშებისა. ასზე მეტი კომკავშირელი იბრძვის მთის გულის მაღაროებში, რათა რაც შეიძლება მეტი ბარიტი მისცენ საბჭოთა ქვეყანას. სად არ შეხვდებით ამ ახალგაზრდებს — სამთო საამქროებში და ბარიტის გამაუხვებელ ფაბრიკაში, საჰაერო-საბაგირო გზაზე და მექანიკურ საამქროებში.

კომკავშირელი ლევან ლობჟანიძე, რომელიც ახლახან მიიღეს პარტიაში, უკვე ცვლის უფროსია; მისი ცვლა საწარმოო დავალებას მუდამ გადაჭარბებით ასრულებს. კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრმა ომარ გოგრიჭიანმა გასული საიუბილეო წლის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა და სამშობლოს მისცა ათეული ტონობით ზეგეგმითი ბარიტი. კომკავშირელი ზაქარია დვალაძე კარგად ათავსებს მუშაობასა და სწავლას. იგი ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტია.

კომკავშირის კომიტეტის მდივანი დალოსტი გაგნიძე, მეელსმენე ზაირა მაისურაძე, მუშები პავლე და აკაკი გაგნიძეები არიან არა მარტო წარმოების მოწინავენი, არამედ საუკეთესო სპორტსმენებიც.

აქ ცხოვრობს და მუშაობს შესანიშნავი ახალგაზრდობა, რომელმაც საქმით დაამტკიცა, რომ დღეს ჩვენს ქვეყანაში აღარ შეიძლება იყოს მივარდნილი კუთხე, რომ რაც არ უნდა შორს იყოს ცენტრიდან დაბა, სოფელი თუ ქალაქი, ყველგან შეიძლება ჩქეფდეს ხალისიანი შემოქმედებითი ცხოვრება და ყველგან შეიძლება ეუფლებოდე კულტურის მწვერვალებს.

ოღონდ ერთი რამ უნდა აღვნიშნოთ: ამ ახალგაზრდობას მეტი ხელშეწყობა და დახმარება სჭირდება, უფრო ფართო გასაქანი და ასპარეზი უნდა მიეცეს მათს თაოსნობას როგორც წარმოების, ისე კულტურული ცხოვრების სფეროში.

**არჩილ ბერუჩევი**
ქ. ონი.



# ფესვები — ცოცხალი ადამიანები არიან

თავისებურება იმ გადატრიალებისა, რომელიც მაო ძე-დუნის ჯგუფმა მოახდინა ჩინეთში, ის იყო, რომ ყურადღების ცენტრში აქ კულტურის პრობლემები აღმოჩნდა. მაო ძე-დუნის მომხრეებმა კულტურის წინააღმდეგ ბრძოლას ფარისევლურად უწოდეს „კულტურული რევოლუცია".

მაო ძე-დუნის მომხრეები სასტიკად გაუსწორდნენ, პირველ რიგში, შემოქმედებით ინტელიგენციას, მათ შორის, მწერალთა საზოგადოებრიობასაც. აბუჩად აგდება, ცემა-ტყეპა, წამება, მკვლელობა — აი ასეთია მათთვის ხელმისაწვდომი საშუალებანი სხვაგვარად მოაზროვნეებზე ზეგავლენის მოსახდენად. მაგრამ, მიუხედავად ამისა, „მონანიებულთა" რიცხვი ჩინეთში მეტად მცირეა. მათი ჩამოთვლა ერთი ხელის თითებზეც შეიძლება.

პირველი გამოვიდა განცხადებით გო მო-ჟო. წარსულში პოეტმა და მეცნიერმა, მან გამოთქვა სურვილი დაეწვა ყველაფერი, რაც კი ოდესმე მის მიერ იყო დაწერილი. გო მო-ჟო აპირებდა სიცოცხლის დარჩენილი დრო მიეძღვნა მაო ძე-დუნის თხზულებების შესწავლისათვის. მისი სიტყვა მორალურ თვითგანადგურებას უდრიდა. ეს სიტყვა მრავალჯერ იქნა ტრანსლირებული რადიოთი მთელს ჩინეთში და გამოქვეყნებული იყო ცენტრალურ გაზეთებში. რას ნიშნავდა გო მო-ჟოს სამარცხვინო სიტყვის ასეთი ფართო პოპულარიზაცია? ექსტრემისტებს, მაო ძე-დუნის მომხრეებს, იმედი ჰქონდათ, რომ თავის მხარეზე გადაიბირებდნენ სხვებსაც, მაგრამ მათი ვარაუდი ამაო გამოდგა. გო მო-ჟოს არავინ არ გაჰყვა.

მაგრამ დროთა განმავლობაში გამოჩნდა მეორე რენეგატიც. ეს გახლდათ სიუი გუან-პინი, დიდი ჩინელი მწერლის ლუ სინის ქვრივი. ამ ქალმა აქტიური მონაწილეობა მიიღო „კულტურულ რევოლუციაში"; იგი თავისი განსვენებული ქმრის ნაწერების გაყალბებასაც კი არ მოერიდა და დაიწყო მტკიცება, თითქოს ლუ სინს გატაცებით უყვარდა მაო ძე-დუნი. მაგრამ ლუ სინის თხზულებათა თერთმეტივე ტომში მაო ძე-დუნის სახელი არც ერთხელ არ არის ნახსენები! სიუი გუან-პინმა შეურაცხჰყო განსვენებული მწერლის სახელი, როცა განაცხადა, თითქოს ლუ სინმა „თავმჯდომარე მაოს" „უსაზღვრო სიყვარულის" გამომხატველი დეპეშა გაუგზავნა. სინამდვილეში ლუ სინმა დეპეშა გაუგზავნა ჩინეთის წითელი არმიის გმირებს, რომლებმაც იმ ხანებში განახორციელეს „დიდი ლაშქრობა". ლუ სინი გამარჯვებას ულოცავდა ყველა რევოლუციონერსა და წითელი არმიის ყველა მეომარს. სიუი გუან-პინი კი ცდილობდა ისე შემოეტრიალებინა საქმე, თითქოს ლუ სინს მხედველობაში ჰყავდა მხოლოდ ერთი კაცი — „საყვარელი თავმჯდომარე მაო", რომლის სახელი მისალოც დეპეშაში მოხსენებულიც არ იყო.

მესამე რენეგატი, სულ ახლახანს გამოჩნდა. იგი გახლავთ შანხაელი მწერალი ხუ ვან-ჩუნი. იგი წარმოშობით მუშაა, პირველი ნაწარმოებები გამოაქვეყნა ორმოცდაათიან წლებში; მისივე სიტყვით, ადრე მის მოთხრობებში ბევრი რამ იყო უცხო „კულტურული რევოლუციის" იდეებისათვის. ახლა კი იგი ყველაფერს ინანიებს და აცხადებს, რომ „მოწამლული იყო ფეოდალიზმის, კაპიტალიზმისა და რევიზიონიზმის იდეების შხამით". ამას წინათ „ჟენმინჟიბაომ" გამოაქვეყნა მისი სტატია „ყოველმხრივ განვამტკიცოთ მაო ძე-დუნის იდეების აბსოლუტური ავტორიტეტი ლიტერატურასა და ხელოვნებაში".

ამ სტატიას ხუ ვან-ჩუნი იწყებს ზოგადი დეკლარაციით:

„თავმჯდომარე მაოს „გამოსვლისათვის" მხარის დაჭერა, ან მის წინააღმდეგ გალაშქრება — არის ის კრიტერიუმი, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ გაარჩიო რევოლუციური კონტრრევოლუციურისაგან, ჭეშმარიტად რევოლუციური ცრურევოლუციურისაგან".

აქ ლაპარაკია მაოს გამოსვლაზე ოცდახუთი წლის წინ, იანიანში. ეს გამოსვლა მიძღვნილი იყო ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებისადმი. შემდეგ ხუ ვან-ჩუნი განაგრძობს:

„ცენტრსა და ადგილებზე ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროში ატარებდნენ შავ ხაზს, პირდაპირ საწინააღმდეგოს იმ პროლეტარული რევოლუციური ხაზისა, რომელიც წარმოადგინა თავმჯდომარე მაომ. ეს შავი ხაზი ემსახურებოდა კაპიტალიზმის აღორძინების საქმეს, მას ახორციელებდნენ ერთი მუჭა კონტრრევოლუციური რევიზიონისტული ელემენტები — ლუ დინ-ი, ჯოუ იანი, სია იანი და სხვები. ხოლო მათი მთავარი ფარული საყრდენი იყო პარტიის შიგნით ხელისუფლების მქონეთა და კაპიტალისტური გზით მიმავალთა მოთავე".

რენეგატი ხუ ვან-ჩუნი ერთგულად იმეორებს ხუნვეიბინთა ფორმულებს. აქ საჭიროა ერთგვარი ახსნა-განმარტება:

ლუ დინ-ი, ჯოუ იანი და სია იანი, ვისაც ავტორი კონტრრევოლუციონერებად ნათლავს, სინამდვილეში ძველი კომუნისტები არიან. ყველა ისინი მონაწილეობას იღებდნენ განმათავისუფლებელ ბრძოლებში. 1949 წლის შემდეგ, ჩვიდმეტი წლის მანძილზე, ისინი აშენებდნენ ახალ ჩინეთს. ლუ დინ-ი ხელმძღვანელობდა ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილებას, ჯოუ იანი იყო მისი მოადგილე. სია იანი იყო ჩინეთის კულტურის მინისტრის მოადგილე და ხელმძღვანელობდა ჩინურ კინემატოგრაფიას. „მოთავე", რომელიც წერილში ნახსენებია გვარის დაუსახელებლად, არის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე ლიუ შაო-ცი. ხუნვეიბინები მას ასე, გვარის დაუსახელებლად აგინებენ და ხუ ვან-ჩუნიც გულმოდგინედ იცავს ამ წესს. შემდეგ იგი იტყობინება, რომ 1962 წელს შანხაიში „შავმა ქარმა დაუბერა". რა აქვს მას მხედველობაში? ამას ნათელყოფს მისი წერილის შემდეგი ადგილი:

„ისინი ყოველნაირად გზას უხსნიდნენ რეაქციულ ფეოდალურ, ბურჟუაზიულ და რევიზიონისტულ საქონელს. სცენაზე გამოჰყავდათ იმპერატორები, დიდკაცები და სარდლები... პიესები სავსე იყო სულებითა და ზებუნებრივ არსებებით. პრესაში ბევრს ლაპარაკობდნენ პოლიტიკისაგან დაშორებულ საგნებზე, კერძოდ „ლიტერატურულ მიმართულებებზე", „ლიტერატურულ ოსტატობაზე" და „სტილზე", ფართოდ ახდენდნენ ციტირებას „ლიტერატურული აზრის ჩუქურთმიანი დრაკონისა" და არც ერთი სიტყვით არ მოიხსენიებდნენ თავმჯდომარე მაოს „გამოსვლას", ქმნიდნენ იაფფასიან ბურჟუაზიულ ნაწარმოებებს, კლასთა შერიგებისა და ზეკლასიური ადამიანურობის სულისკვეთებით გამსჭვალულ რევიზიონისტულ ნაწარმოებებს; იყო დრო, როცა ისტორიული მაგალითების მეშვეობით დასცინოდნენ თანამედროვეობას".

გადავთარგმნოთ ხუ ვან-ჩუნის ხუნვეიბინური ჟარგონი ყველასათვის გასაგებ ენაზე. ისინი, ვისაც ეს რენეგატი ებრძვის, პოპულარიზაციას უკეთებდნენ სამამულო და უცხოურ კლასიკას, თეატრში ისინი აფუძნებდნენ ჩინელი ხალხის საყვარელ რეპერტუარს, რომელიც უპასუხებდა ეროვნულ ტრადიციებს. პრესაში პროპაგანდას უწევდნენ უძველეს ესთეტიკურ ტრაქტატს „ლიტერატურული აზრის ჩუქურთმიან დრაკონს". რომელიც შეიძლება შევადაროთ არისტოტელის „პოეტიკას". განა მის გვერდით შეიძლება დააყენო მაო ძე-დუნის „გამოსვლა"!

ხუ ვან-ჩუნი ჰგმობს და ჰკიცხავს ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა შანხაის ასოციაციის მესვეურებს იმისათვის, რომ სესიის დროს ისინი უჩვენებდნენ საბჭოთა ფილმებს; ხუ ვან-ჩუნი ამ ფილმებს „რევიზიონისტულს" უწოდებს.

რენეგატი ხუ ვან-ჩუნი მოითხოვს „მაო ძე-დუნის იდეების აბსოლუტური ავტორიტეტის დამკვიდრებას ყოველი ჩვენგანის სულის სიღრმეში". მაგრამ იქვე აღიარებს, რომ ამ ავტორიტეტის დამკვიდრების საქმეში ყველაფერი რიგზე როდია. იგი წერს:

„ჩვენ უნდა ფხიზლად შევიგნოთ: ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკების სულის სიღრმეში, აგრეთვე ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ მაო ძე-დუნის იდეების აბსოლუტური ავტორიტეტი ჯერ კიდევ მთლიანად არ დამკვიდრებულა.

ჩვენ უნდა ფხიზლად შევიგნოთ: ჯოუ იანისა და სია იანის მსგავსი კონტრრევოლუციურ-რევიზიონისტული ელემენტები იმდენად დიდხანს ბატონობდნენ ლიტერატურულ-მხატვრულ წრეებში, რომ მრავალ ადგილას გაიდგეს თავიანთი შხამიანი ფესვები... ამ ფესვების ნაწილი ამოვძირკვეთ, ნაწილი არა, ნაწილიც მიიმალა. ჩვენ უნდა ფხიზლად შევიგნოთ: ლიტერატურისა და ხელოვნების რიგებში არეულობაა. მემარცხენეების, ცენტრისა და მემარჯვენეების გარკვევა არც ისე ადვილია. მემარცხენეების გარშემო მხოლოდ ახლა მჭიდროვდებიან კლასობრივი რიგები; რევიზიონისტული ხაზი ლიტერატურასა და ხელოვნებაში ჯერ კიდევ მთლიანად როდია მხილებული".

მართლაც, მაო ძე-დუნის იდეების „სრული გამარჯვების" საქმე ვერ არის კარგად. „არეულობა", რომლის თაოსნებმა თვითონაც არ იციან „სად არის მარჯვენა და სად მარცხენა", ფართო გზას ხსნის პირადი ანგარიშსწორებისა და დაუსრულებელი ბოროტმოქმედებისათვის. „ფესვები", რომლებსაც ისინი ძირკვავენ, ეს ხომ ცოცხალი ადამიანები არიან! მაო ძე-დუნის მომხრეები ებრძვიან მათ, ვინც ჩვიდმეტი წლის მანძილზე, პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, აშენებდა ახალ ჩინეთს, ებრძვიან რევოლუციური წარსულის მქონე ადამიანებს, მათ, ვინც არ დრკებოდა გომინდანელთა რეპრესიების წინაშე და იბრძოდა სახალხო რევოლუციისათვის. რენეგატები ჩინეთში ცოტაა, მაგრამ ყველა ისინი ლაპარაკობენ ერთნაირ ყაიდაზე, მათი გამოსვლები მოასწავებენ ახალ რეპრესიებს, მათი სიტყვით რომ ვთქვათ, ახალი „შხამიანი ფესვების" ამოძირკვას.

ასეთია ის ყალბი და შემცდარი გზა, რომლითაც მიემართება ე. წ. „კულტურული რევოლუცია".

თ. ლვინეფაძე

გამოჩენილ დაღესტნელ პოეტს რასულ გამზატოვს ქართველი მკითხველი კარგად იცნობს, მისი ლექსები არაერთგზის ითარგმნა ქართულ ენაზე. ამ ბოლო ხანებში პოეტმა გამოაქვეყნა ვრცელი წიგნი „ჩემი დაღესტანი", რომელიც დოკუმენტური პროზის ჟანრს განეკუთვნება. ესაა მწერლის დღიური, მისი ფიქრები, ნახული და გაგონილი, მოგონებანი იმ ადამიანებზე, ვინც მას ცხოვრების გზაზე შეხვედრია.

ქვემოთ ჩვენ ვბეჭდავთ ადგილებს ამ წიგნიდან. ტექსტში მოხსენებული აბუთალიბი — ეს არის დაღესტნის სახალხო პოეტი აბუთალიბ გაფუროვი (დაიბადა 1882 წელს); აბუთალიბი წერს ლაკურ ენაზე, მას თავის დროზე უცხოვრია საქართველოშიც. დაღესტანში მისი ლექსები დიდი პოპულარობით სარგებლობენ.

აქვე მოხსენებულია დიდი ლეკი აშუღი, დაღესტნის სახალხო პოეტი სულეიმან სტალსკი (1869-1937).

რასულ გამზატოვის ახალი ნაშრომი „ჩემი დაღესტანი" გამოირჩევა პოეტისათვის ჩვეული ღრმა ლირიზმით, შეუდარებელი იუმორითა და გონებამახვილობით; მაგრამ დაე, მკითხველი თვითონ დარწმუნდეს...

# ჩემი დაღესტანი

რასულ გამზატოვი



## აბუთალიბი

ერთხელ აბუთალიბი მოსკოვში ჩავიდა. ქუჩაში რომელიღაც გამვლელი შეაჩერა და შეეკითხა, ბაზარი სად არისო. თურმე ნუ იტყვით, იგი ვიღაც ინგლისელს გადაეყროდა. ეს არც არის გასაკვირი — მოსკოვის ქუჩებში ცოტა უცხოელები როდი დადიან.

ინგლისელმა ვერ გაუგო აბუთალიბს და რა გნებავთო, შეეკითხა ჯერ ინგლისურად, შემდეგ ფრანგულად, შემდეგ ესპანურად და შემდეგ ემბაკმა უწყის რანაირად.

აბუთალიბი შეეცადა თავისი შეკითხვა ინგლისელისათვის აეხსნა ჯერ რუსულად, შემდეგ ლაკურად, შემდეგ ავარიულად, შემდეგ ლეკურად, შემდეგ დარღულად, შემდეგ ყუმიხურად.

მოსაუბრეები ისე დაშორდნენ ერთმანეთს, რომ ვერაფერი ვერ გაუგეს. ერთი მეტად კულტურული დაღესტნელი, რომელმაც ორნახევარი ინგლისური სიტყვა იცოდა, შემდგომ ასე არიგებდა აბუთალიბს:

— აი, ხედავ, რას ნიშნავს კულტურა. შენ რომ უფრო განათლებული ყოფილიყავი, ინგლისელთან შესძლებდი საუბარს, გესმის?

— მესმის, — პასუხობდა აბუთალიბი, — მაგრამ რატომ უნდა ჩაითვალოს ინგლისელი ჩემზე უფრო კულტურულად, იმანაც ხომ არ იცოდა არც ერთი ენა, რომელზეც შევეცადე გავსაუბრებოდი მას.

ხალხების ენები ჩემთვის — ცაზე მოკამკამე ვარსკვლავებია. მე არ მინდა, რომ ყველა ვარსკვლავი შეერთდეს ერთ უზარმაზარ, ნახევარი ცის დამფარავ ვარსკვლავად. ამისათვის არსებობს მზე. მაგრამ დაე იკამკამონ ვარსკვლავებმაც. დაე, ყველა ადამიანს ჰქონდეს თავისი ვარსკვლავი.

მე მიყვარს ჩემი ვარსკვლავი — ჩემი ძვირფასი ავარიული ენა. მე მჯამს იმ გეოლოგებისა, რომლებიც ამბობენ, პატარა მთის გულშიც შეიძლება იყოს ოქროს უამრავი ზოდები.

## წყევლაზე

როცა პოემა „მთიელ ქალს" ვწერდი, მე დამჭირდა წყევლა, რომელიც უნდა წარმომეთქმევინებინა ამ პოემის პერსონაჟისათვის — კაპასი ქალისათვის. მითხრეს, რომ ერთ შორეულ აულში ცხოვრობს ხანში შესული მთიელი ქალი, რომელსაც ვერც ერთი მეზობელი ვერ სჯობნის ლანძღვა-გინებაში. მაშინვე გავემგზავრე უცნაური ქალის მოსანახულებლად.

გაზაფხულის ერთ მშვენიერ დილას, როცა არ გინდა წყევლა-კრულვა და გინდა მხოლოდ იმხიარულო და იმღერო, მე ჩემთვის საჭირო ქოხის კარის ზღურბლს გადავაბიჯე. მოხუც ქალს გულუბრყვილოდ გავანდე ჩემი მისვლის მიზეზი. ასე და ასე



მეთქი, მინდა მოვისმინო თქვენგან რაც შეიძლება მაგარი წყევლა, რომელსაც ჩავიწერ და შემდეგ პოემაში ჩავურთავ-მეთქი.

— აგრემც გაგიხმეს ეგ ენა, აგრემც დაგავიწყდეს იმისი სახელი, ვინც გიყვარს, აგრემც უკუღმა გაუგია შენი სიტყვა იმ ადამიანს, ვისთანაც საქმეზე გაგგზავნეს, აგრემც დაგვიწყებია სალამი გეთქვას მშობლიური აულისათვის, როცა შორეული მგზავრობიდან მობრუნდები, აგრემც ქარმა დაუსტვინოს შენს პირში, როცა უკბილოდ დარჩები... ტურის შვილო, განა შემიძლია ვიცინო (დაე, ალაჰმა მოგაკლოს ეგ სიამოვნებაც), როცა მხიარულად არა ვარ? განა რა ფასი აქვს ტირილს იმ ოჯახში, სადაც არავინ მომკვდარა? აბა როგორ შემიძლია წარმოვთქვა წყევლა, თუ კი არავინ მაწყენინა, და არც არავინ შეურაცხმყო? წამავდი და მეორედ აღარ მოხვიდე ჩემთან ასეთი ყეყეჩური თხოვნით.

— გმადლობთ, კეთილო ქალო.

ვუთხარი და გავეცალე მისი სახლის ზღურბლს.

გზაზე ვფიქრობდი: „თუ ამ ქალმა, ყოველგვარი გაბრაზების გარეშე, ასე ვთქვათ, დაუფიქრებლად, ნიაღვარივით დამაყარა ვირტუოზული წყევლა, მაშინ სახეში რაღას მიახლის იმას, ვინც მას ნამდვილად გააბრაზებს".

მე ვფიქრობ, რომ მომავალში დაღესტნელი ფოლკლორისტებიდან ვინმე შეადგენს მთიელთა წყევლის წიგნს და მაშინ ხალხი გაიგებს როგორია მთიელთა გამომგონებლობა, როგორია მათი ფანტაზია, როგორია ჩვენი ენის გამომსახველობითი უნარი.

ყველა აულში თავისი წყევლა აქვთ. უფრთხილდით ცეცხლოვან საშინელებას წყევლისა! ერთი წყევლის მიხედვით თქვენ უკვე ხელ-ფეხ შებორკილი ხართ უხილავი ხუნდებით, მეორეთი — თქვენ უკვე კუბოში წევხართ; ყველაზე საშინელი კი — თვალების დაწყევლაა. ეს წყევლათა წყევლაა. მაგრამ არის მასზე საშინელიც. ერთ აულში მე გავიგონე როგორ იწყევლებოდა ორი ქალი.

— დაე ალაჰმა წაართვას შენს შვილებს ის, ვისაც შეეძლო ენა ესწავლებინა მათთვის, — ამბობდა ერთი.

— დაე, ალაჰმა წაართვას შენს შვილებს ის, ვისთვისაც მათ შეეძლოთ ენა ესწავლებინათ, — პასუხობდა მეორე.

აი ასეთი საშინელი წყევლაც არსებობს. მაგრამ ყოველგვარი წყევლის გარეშე, მთაში პატივისცემას ჰკარგავს ის კაცი, რომელიც პატივს არ სცემს მშობლიურ ენას. მთიელი დედა შვილს არ წაუკითხავს ლექსებს, თუ ისინი ჩიქორთული ენით არიან დაწერილი.



## მოგონება

ერთხელ, დაღესტნის მწერალთა კავშირში აბუთალიბის წერილი მოვიდა. პოეტი ერთთვიან შემოქმედებით მივლინებას თხოულობდა დაღესტნის შორეულ მთიან აულებში წასასვლელად. გამგეობის სხდომაზე აბუთალიბს შეეკითხნენ, თუ სახელდობრ ვისზე და რა თემაზე უნდოდა ნაწარმოების დაწერა. პოეტი გაბრაზდა:

— განა მონადირემ იცის, რა შეხვდება მას — კურდღელი, ბატი, მგელი თუ წითელი მელა. განა მებრძოლისათვის წინასწარ ცნობილია, თუ რა გმირობას ჩაიდენს ომში?

მეც ვიყავი ამ სხდომაზე და აბუთალიბის სიტყვები გულში ჩამეჭდო.

მე ყოველთვის მაოცებენ ის ადამიანები, რომლებიც მწერალს თავს აბეზრებენ თხოვნით, მოუთხროს მათ თავისი შემოქმედებითი გეგმის შესახებ უახლოეს წლებში. რა თქმა უნდა, თავისი მუშაობის საერთო მიმართულებას მწერალი გონებაში ინახავს. ალბათ შეიძლება წინასწარ დაგეგმო რომანის, ანდა ტეტროლოგიის დაწერა, მაგრამ ლექსი... ლექსი მოულოდნელად მოდის, როგორც საჩუქარი. პოეტის მეურნეობა არ ემორჩილება მკაცრ გეგმას. შეუძლებელია წინასწარ დაგეგმო: დღეს, დილით 10 საათზე ქუჩაში შემხვედრ ქალიშვილს შევიყვარებ, ანდა ხვალ საღამოს 5 საათზე მე შემძულდება რომელიმე გათახსირებული პიროვნება.

ლექსები არ ჰგვანან საყვავილეში გახარებულ ყვავილებს — იქ ისინი ყველანი შენს წინ არიან, მათ არ უნდა ძებნა. ლექსები ველებზე და ალპიურ მინდვრებზე მოხასხასე ყვავილებს ჰგვანან, ამ ადგილებში ყოველი ნაბიჯი ახალ, უფრო მეტად მშვენიერ ყვავილს გპირდება.

გრძნობა ბადებს მუსიკას, მუსიკა ბადებს გრძნობას. რომელი დავაყენოთ პირველ ადგილზე? დღემდე გადაუჭრელია საკითხი, რომელი ჩნდება ადრე — კვერცხი თუ ქათამი. ზუსტად ასევე: მწერალი ჰქმნის თემას, თუ თემა ბადებს მწერალს.

თემა — ეს მწერლის მთელი სამყაროა, ეს მთელი მწერალია. თემის გარეშე იგი არ არსებობს. ყველა მწერალს იგი თავისი აქვს.

აზრები და გრძნობები — ფრინველები არიან, ხოლო თემა — ზეცაა. აზრები და გრძნობები ირემია, ხოლო თემა — ტყე, აზრები და გრძნობები — არჩვია, ხოლო თემა — მთები; აზრები და გრძნობები — გზებია, ხოლო თემა ქალაქი, სადაც გზები მიემართებიან და ერთმანეთს უერთდებიან.

ჩემი თემაა — სამშობლო. მე არ მჭირდება იგი ვეძებო და აღმოვაჩინო. ჩვენ კი არ ვირჩევთ ჩვენთვის სამშობლოს, არამედ სამშობლომ თავიდანვე აგვირჩია ჩვენ. არ შეიძლება არწივი ცის გარეშე, მთის ჯიხვი — კლდეების გარეშე, კალმახი — ჩქარი და სუფთა მდინარის გარეშე, თვითმფრინავი — აეროპორტის გარეშე. ასევე არ შეუძლია მწერალს ყოფნა სამშობლოს გარეშე.

არწივი, ზანტად მოარული ქათმებს შორის ეზოში — უკვე არწივი არ არის, ჯიხვი — მობალახე კოლმეურნეობის ჯოგში — უკვე ჯიხვი არ არის, კალმახი მოცურავე აქვარიუმში — უკვე კალმახი არაა, თვითმფრინავი, რომელიც მუზეუმში დგას, უკვე თვითმფრინავი არაა.

ზუსტად, ისევე არ შეიძლება იყოს ბულბული თავისი სიმღერის გარეშე.

## წარწერა ჯოხზე

მოსკოველი ლიტერატორი ვლადლენ ბახნოვი მოიკოჭლებს და ჯოხით დადის. როცა არდადეგებზე დაღესტანში მივდიოდი, მე მას შევპირდი, უნსუქულის განთქმული ოსტატის ნახელავ ჯოხს ჩამოგიტან-მეთქი. შინ რომ ჩავედი, უპირველეს ყოვლისა, ჩემი თხოვნის შესახებ მივწერე უნსუქულში მცხოვრებ ერთ ნაცნობ ოსტატს. ოსტატი, მამაჩემის ძმობილი, კარგ ხელოსნად ითვლებოდა და იმედი მქონდა, რომ ისეთ ჯოხს გამიმზადებდა, როგორიც საჭირო იყო.



მაგრამ ის კი არ ვიცოდი, რა წარწერა გამეკეთებინა ამ ჯოხზე.

ამ დროს ცენტრალურ გაზეთში გამოქვეყნდა დიდი წერილი ლიტერატურულ თემაზე, რომელსაც სათაურად ჰქონდა „ხელკეტი კრიტიკის ნაცვლად".

„აჰა, — გავიფიქრე მე, — აი რა წარწერა ექნება ჯოხს, რომელსაც მე მოსკოველ ლიტერატორს მივართმევ საჩუქრად".

ორი კვირის შემდეგ ჯოხი მზად იყო. ეს იყო უნსუქულურ ჯოხთა შორის ყველაზე საუკეთესო. საჩინო ადგილზე ბრწყინავდა შემდეგი სიტყვები: „ვლ. ბახნოვს. ხელკეტი კრიტიკის ნაცვლად. რასულ გამზატოვისაგან".

საერთოდ, უნსუქულის ჯოხები იყიდება სუვენირების მაღაზიებში მახაჩყალაში, კისლოვოდსკში, პიატიგორსკში და აგრეთვე მთის აულების ბაზრებში.

რამდენიმე თვის შემდეგ ყველა ამ ადგილებში უცებ გამოჩნდა ჯოხები ერთნაირი უცნაური წარწერით: „ვლ. ბახნოვს. ხელკეტი კრიტიკის ნაცვლად. რასულ გამზატოვისაგან". მოაგარაკენი განცვიფრებულნი იყვნენ, როცა ჯოხებს ასეთი წარწერით ყიდულობდნენ, ყველაზე მეტად მაინც მე ვიყავი გაოცებული.

თურმე მოხუცმა ოსტატმა, რომელმაც ჯოხი გამომითალა, არც ერთი სიტყვა არ იცოდა რუსულად. მან მექანიკურად გადაიტანა ჯოხზე ის, რაც მე ქაღალდზე დავუწერე. მოხუცმა იფიქრა, თუ პოეტმა მოისურვა, რომ ჯოხზე ეს სიტყვები ყოფილიყო ამოჭრილი, მაშასადამე, მასში ჩაქსოვილია რაღაც სიბრძნე. მაშ რატომ არ უნდა შემკო ამ სიტყვებით სხვა ჯოხებიც?

მოხუც ოსტატს ვერ გავამტყუნებ. იგი გულუბრყვილოდ მიენდო პოეტს და თავისი ამ ნდობით კეთილი და გულწრფელი იყო, მაგრამ ვართ თუ არა ხანდახან მისი მსგავსნი ჩვენ — გამოცდილი ლიტერატორები?

## უბის წიგნაკიდან

რომელ დაღესტნელს არ ახსოვს სულეიმან სტალსკის უზარმაზარი ფაფახი, მისი მძიმე ქურქი, შეკერილი ცხვრის ტყავისაგან, ხბოს ტყავისაგან შეკერილი მისი მსუბუქი წაღები! მე ვფიქრობ, რომ არა მარტო დაღესტნელებს, სხვებსაც არ შეეძლოთ სულეიმანის წარმოდგენა ფაფახისა და წაღების გარეშე.

და აი, სულეიმან სტალსკი ორდენით დააჯილდოვეს და მაქსიმ გორკიმ მას XX საუკუნის ჰომეროსი უწოდა. სულეიმანი მოსკოვში გამოიძახეს. აქ მას ერთი დაღესტნელი მინისტრი შეხვდა.

— ეროჰაა, ძვირფასო სულეიმან, — უთხრა მინისტრმა პოეტს, — როგორ შეიძლება ასე, მოსკოვში ხარ, განა აულში? აქ შენ ფორმის გამოცვლა მოგიხდება.

დაღესტნის მთავრობის დავალებით სულეიმან სტალსკისთვის შეკერეს ბოსტონის კოსტუმი. მას მიუტანეს აგრეთვე ახალი ტუფლები, ყურებიანი ქუდი და საზამთრო პალტო კრაველის საყელოთი. სულეიმანმა ყველაფერი ცალ-ცალკე გადაათვალიერა, პალტო შეატრიალ-შემოატრიალა და მკლავზე გადაიკიდა, ტუფლები ძირებით მიუკაკუნა ერთმანეთს, შემდეგ ყველაფერი ერთად შეკრა და ჩემოდანში ჩადო.



— გმადლობთ, კარგი რამ არის, ზუსტად მოერგება ჩემს ვაჟიშვილს მუსაიბს. მე კი მინდა ისევ სულეიმანად დავრჩე, ჩემი სახელი არ მინდა გავცვალო არც ტუფლებზე და არც კოსტუმზე. ჩემი წაღები გამიწყრებიან.

ასეთ მისწრაფებას თვითმყობადისადმი სულეიმანის ხასიათში თვით გარეგნობის მხრივაც კი — ძალიან აფასებდა მამაჩემი.

## მოგონება

ერთხელ, დაღესტანში მკაცრი ზამთარი დადგა. მოულოდნელად წამოვიდა თოვლი, რომელმაც დილამდე ლამის იყო ერთი მეტრის სიმაღლეზე დაფარა. ცხვრები და ბატკნები საკვების გარეშე დარჩნენ და უწყალოდ იღუპებოდნენ. გამომიძახეს პარტიის საოლქო კომიტეტში და მეუბნებიან:

— გაემგზავრე, რასულ, საძოვრებზე. ფარები უნდა გადავარჩინოთ.

— რით შემიძლია დავეხმარო მათ?



— ადგილზე ნახავ, მოიფიქრებ რასმე, საჭიროა რაღაც ვიღონოთ მათ გადასარჩენად.

ფარებისაკენ მიმავალი გზა კარგ ამინდშიც კი ხეირიანად არ ვიცოდი და ახლა ამ ქარიშხალში როგორღა უნდა გამეკვლია. მაგრამ პარტიული დისციპლინა ყველაზე მაღლა დგას და მე თოვლსა და ქარში ტაატით ვკვალავდი ბილიკებს. ბოლოს, როგორც იყო, ერთ ფარეხს მივადექი. დამწუხრებული მწყემსები შემომხვდნენ. ლოყებზე ცრემლები შემოჰყინოდათ. ცხვრები გასისხლიანებული დრუნჩებით ცდილობდნენ გაყინულ თოვლქვეშ ბალახამდე ჩაეღწიათ. მაგრამ ყინულის საფარის გარღვევა მათ არ შეეძლოთ და საწყალობლად ბღაოდნენ. ძაღლები მოფარებულ ადგილას გარიდებოდნენ ქარს და აღარც მგლებზე ფიქრობდნენ და აღარც ქურდებზე. ერთი სიტყვით, — უბედურება და უმწეობა — აი რა ვნახე იქ. როცა დამინახეს, მწყემსებმა მწარედ გაიცინეს:

— სწორედ ლექსები და სიმღერები-ღა გვაკლდა! შენ ხომ იმიტომ მოხვედი, რომ ლექსები წაგვეკითხო, ანდა სიმღერა გვითხრა, გამზატის ვაჟიშვილო! იქნებ ისა სჯობს, ტირილი წამოიწყო და ჩვენ მოსახილი გითხრათ!

სამი დღე ვიყურყუტე მწყემსების სადგომში. შემდეგ კი, — როცა დავინახე ჩემგან არავითარი ხეირი არ გამოდის და არც შეიძლება გამოვიდეს, მწყემსებს ჩემი ზურგი ვუჩვენე. გზა მახაჩყალისაკენ ავიღე.

— როგორ არის საქმე, გადაარჩინეთ ცხვარი? — მკითხეს საოლქო კომიტეტში.

— მე მხოლოდ სამი ცხვარი გადავარჩინე.

— როგორ მოახერხე, მოგვიყევი, გეთაყვა!

— სულ უბრალოდ. მწყემსებმა სამ დღეში ჩემს საპატივსაცემოდ სამი ცხვარი დაკლეს და ჩვენ ისინი გაახელით. მიმაჩნია, რომ ეს ცხვრები მე დაღუპვას გადავარჩინე.

— კეთილი! — შემომწყრნენ საოლქო კომიტეტში, — წადი, შენს ლექსებს მიხედე, ცხვრის გადარჩენა კი, როგორც ჩანს, უშენოდ მოგვიხდება. ხოლო იმისთვის, რომ უკეთესად წერო, მკაცრ საყვედურს გიცხადებთ.

ვშიშობ, ასეთი რამ არ შეემთხვეს ჩემს წიგნსაც. გადავარ ფარის გადასარჩენად და რით მოვბრუნდები უკან? დღე, რომელიც იწყება ალიონზე, ყოველთვის არ არის ისეთი, როგორიც ჩვენ გვინდა.

## როგორ გაქურდეს აბუთალიბის ბინა

არ ვიცი, როგორ მოხდა და როგორ გამოვიდა, რომ შინ არავინ იყო, მაგრამ ერთხელ აბუთალიბს ბინა გაუტეხეს. ეცნენ შესამოწმებლად: აღარსად იყო ქალიშვილის ოქროს საათი, აღარ იყო ბეჭედი, აღარ იყო საყურეები და სხვა სამკაულები. აღარ იყო ქურქები, აღარ იყო კაბები, ტუფლები, აღარ იყო ფული... აბუთალიბის ცოლს კინაღამ გული შეუღონდა, ქალიშვილი ტახტზე დაემხო და აქვითინდა. აბუთალიბი მეორე ოთახში გავიდა, იატაკზე ფეხები მოირთხა და ზურნაზე დაიწყო დაკვრა.

განრისხებული ცოლი აბუთალიბს ეცა:

— როგორ ბედავ! ასეთი უბედურება დაგვატყდა თავს, საჭიროა აბლავე გაიქცე მილიციაში და პროკურორთან...

— რა უბედურება? ჩემი ლექსები აქვეა. შეხედე, მთელი ჩემი ქაღალდები ისე დევს, როგორც იდო. ქურდები მათ არც კი შეხებიან. მაშ რატომ უნდა დავღონდე?

— ვის რათ უნდა შენი ლექსები, ისიც ლაკურ ენაზე დაწერილი?



— ო, შენ არაფერი არ იცი. არიან ადამიანები, პოეტებიც ჰქვიათ, მაგრამ იმის მეტს არაფერს აკეთებენ, რომ სხვის ლექსებს იპარავენ. ჩემი კი, დიდება ალაჰს, ხელუხლებელია. მთელი წელი ვშრომობდი მათზე და ისინი რომ მოეპარათ, ჩემთვის დიდი მწუხარება იქნებოდა; ჩემი ზურნაც ხელუხლებელია. მაშ, გეკითხები, ჟამსა სიხარულისასა, რატომ არ უნდა დავუკრა მასზე?

და აბუთალიბმა, რომელმაც ყურადღება აღარ მიაქცია ცოლისა და ქალიშვილის ქვითინს, საზეიმო ტუში დასცხო ზურნაზე.

თარგმნა ოთარ დემეტრაშვილმა

# როგორ იწერებოდა „ქეთო და კოტე“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო დოლიძე

ვიქტორმა კიევში კომერციული ინსტიტუტი დაამთავრა და საქართველოში ჩამოვიდა. ეს იყო პირველი მსოფლიო ომის ბოლოს. რუსეთი ბობოქრობდა რევოლუციურ ბრძოლებში. საქართველოში მენშევიკური „დამოუკიდებლობა“ გამოცხადდა.

ვიქტორი უკვე ისე იყო გატაცებული მუსიკით, თან ისეთი არეულობა იყო ირგვლივ, რომ არავითარ „ბანკის დირექტორობაზე“, ან თუნდაც მოხელეობაზე ლაპარაკი აღარ შეიძლებოდა.

ახლა ვიქტორი მთელი დღე მარტო მუსიკით იყო გართული: უკრავდა, მღეროდა რაღაც სულ ახალს, რაიც ჯერ არასდროს გამეგონა. წერდა კიდეც, გაჩნდა ჩვენ სახლში ნოტის ქაღალდის დასტები.

„ოპერას ვწერ, ოპერას“ — ამბობდა ვიქტორი და მართლა მთელი დღეები წერდა.

მე ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი და მართალი ვთქვა ეს „ოპერის“ წერა უფრო მის მორიგ ახირებად მიმაჩნდა. არც თუ ოჯახის სხვა წევრებს მიაჩნდათ ეს ამბავი სერიოზულ საქმედ.

როგორღაც ისე გამოდიოდა, რომ რახან ვიქტორმა უმაღლესი დაამთავრა, ის უკვე დამოუკიდებელი კაცია, მისთვის ძალის დატანება უხერხულიცაა და შეიძლება საძნელოც იყოს. აღარც მამა გაიძახოდა თავის ამოჩემებულ „ბანკის დირექტორობაზე“.

მახსოვს, ზის დედა ღუმელთან. ღუმელის კარი ოდნავ შეღებულია, რომ ბუხრის ილუზია შექმნას, მისი სიამე მოაგონოს ადამიანს. დედა, როგორც ყოველთვის, რაღაცას კერავს, ან ქსოვს. სულ უსაქმოდ ხომ არასდროს დაჯდებოდა. ეს კერვა და ქსოვა კი დასვენებად ითვლებოდა. ბიცოლაჩემი ოლღა, ცნობილი რევოლუციონერის სოლომონ დოლიძის მეუღლე, უზის გვერდით. დედა ჩუმად ჰყვება:

— რა ვიცი, ჩემო ოლღა, დაიჩემა, ოპერას ვწერო. ოპერის დაწერა ხომ ხუმრობა საქმე არაა, შეძლებს ვითომ? ოპერებს აგერ იმხელა მუსიკოსები, უკვე სახელმოხვეჭილები, წლობით წერენ, და ჯერაც ვერ დაუწერიათ, მაგი ვითომ ასე უცებ შეძლებს?

— რა იცი, იქნებ დასწეროს, — სუსტად ეკამათება ბიცოლა, — ხომ იცი, როგორი ნიჭიერია. სულ მუდამ უკრავს და მღერის. ხომ გახსოვს პირველი პრიზი მიიღო მანდოლინისტების კონკურსში, მეტად ნიჭიერია...

— ეხ, ჩემო ოლია, სად მანდოლინისტების კონკურსი, დიდი ამბავი, რაცახა დაუკრა ბალანამ, და სად ოპერის დაწერა!

— იქნებ როგორ დახელოვნდა მერე, — არ თმობს ბიცოლაჩემი აქაც, — კიევში თურმე უფრო მეტს მუსიკას სწავლობდა, ვიდრე ამ თქვენ კომერციას. ტყუილად დააკარგვინეთ დრო ბიჭს იმ ინსტიტუტში. თავიდან მუსიკა უნდა გესწავლებინათ...

— ოხ, ჩემო ოლია, მამამისმა დაიჩემა, გინდა თუ არა ბანკის დირექტორი უნდა გამოვიდესო. ჩემსავით გაჭირვებული არ უნდა იყოსო. სად კომერსანტი და სად ოპერის წერა! ისე მე ხელს არ ვუშლი. რა უჭირს. ახლა მაინც რა საქმიანობა, ან რა სამსახურია, სულერთია ყველაფერი. გულს მაინც გადააყოლებს ამ მუსიკას, გაერთობა. თანაც დაისვენებს, ხუთი წელიწადი იმ ყინვებში გაატარა (დედის წარმოდგენაში რა კიევი, რა ციმბირი — სულ ერთი იყო), მარტო, მოუვლელი, ხომ ხედავ როგორი გამხდარია. დაისვენოს, მოიკეთოს, გაერთოს ამ თავისი ოპერით, მერე დალაგდება ალბათ დრო და ვნახოთ.

ასე ფიქრობდა დედა, ასე ვფიქრობდით ჩვენ ყველა. ვიქტორი კი იცინოდა თავისთვის და წერდა. ასე „ერთობოდა“, დედის სიტყვით რომ ვთქვათ, მთელი დღეები ან მაგიდას უჯდა, ან უკრავდა როიალზე, ვიოლინოზე, ან ამღერებდა. მარტო საღამო ხანს თუ გამოვიდოდა გარეთ, უფრო ხშირად, ოპერის თეატრში. ბოლოს ოპერის თეატრში დადიოდა უკვე ყოველ საღამოს. როგორც სამსახურში, შინაურულად. ასე იწერებოდა პირველი ქართული კომიკური ოპერა.

რატომ და როდის დაებადა ვიქტორს აზრი მაინცდამაინც ავქს. ცაგარლის „ხანუმას“ სიუჟეტზე დაეწერა ოპერა? ბევრი მიფიქრია ამ საკითხზე. დაბეჯითებით თქმა ძნელია. ზოგიერთი მომენტი კი ოდნავ მაინც ანათებს საკითხს. ვიქტორს უყვარდა ძველი თბილისი. ჯერ კიდევ ბავშვობისას მამას ხშირად მიჰყავდა ბიჭები აბანოში. მაშინდელი აბანო ხომ უფრო სამკურნალო ან სალხინო ადგილი იყო, ვიდრე ჰიგიენური. შევიდოდნენ, გაიხდიდნენ, აუცილებლად აიყვანდნენ მექისეს. ის კი ისეთ მასაჟს გაუკეთებდა, სულ დახტოდა მთელ ტანზე. ზელდა, ხელ-ფეხს უტრიალებდა, გეგონებოდათ ეს არის დაამტვრიაო. მაგრამ ეს, ერთი შეხედვით შიშის მომგვრელი მანიპულაციები, სინამდვილეში მეტად საამო იყო. საოცრად გამოცოცხლდებოდა და თითქოს ამჩატდებოდა ადამიანი. შემდეგ საპნის ბუმბულა ქაფით დაფარავდნენ მთელ სხეულს, მერე ერთ-ორ ვედრო ცხელ წყალს შეასხამდნენ აჭარხლებულ სხეულს, თავზე სპარსულ ჩალმასავით შემოახვევდნენ ერთ პირსახოცს, მეორეს თეძოებზე და გამოცოცხლებული, მადაზე მოსული „პაციენტი“ ახლა მეორე დარბაზში გადავიდოდა დასასვენებლად. ეს „დასვენება“ უფრო ლრეობას ჰგავდა. წამოწვებოდნენ ახალდაბანილნი თბილ ქვის სკამლოგინზე, იყო ერთი ხუმრობა, სიცილი, ანეკდოტების მოყოლა, ჭორები. აქვე მსახურებს შეკვეთით შემოჰქონდათ საჭმელ-სასმელი: ლულა-ქებაბი, აშიშხინებული ცხვრის მწვადები, ღვინო. დანაყრდებოდნენ, დაისვენებდნენ, მერე ისევ წყლის აუზს მიაშურებდნენ, ხშირად მთელი დღე გრძელდებოდა ეს „ბანაობა“. სანამ მამა თავის დოსტებთან დროს ატარებდა, და ღვინოს თუ პილპილმოყრილ ანეკდოტებს შეექცეოდა, აბა ბიჭებს რა უნდოდათ მათთან. აჭმევდნენ, თითო ჭიქა კაი ღვინოს დაალევინებდნენ და გარეთ გაუშვებდნენ. გამოდიოდნენ ბიჭები, დადიოდნენ გოგირდის სუნით გაჟღენთილ აბანოების უბნის მიკიბულ-მოკიბულ ქუჩებში. რომელიმე დუქანთან შეჩერდებოდნენ, და ბანაობით მადაზე მოსული თავადების თუ ყარაჩოღელების ქეიფს შესცქეროდნენ, იქვე, ხალხით გაჭედილ მოედანზე წითლად წვერშეღებილი სპარსელები უცხო ხილს ჰყიდდნენ; თვალს იტაცებდა ჭრელ-ჭრელი ქოშები, წითელი, მწვანე, მჟახელურჯი ფერებით ნაქსოვი წინდები. აქა-იქ მოჩანდნენ ქალები ალისფერ. ლურჯ ხავერდის კაბებზე მოხვეული თეთრი ხილაბანდებით, დიდ-დიდი ბოხჩებით რომ მიიჩქაროდნენ აბანოებში, ან უკვე აჭარხლებული სახეებით რომ გამოდიოდნენ.

საზოგადოდ, ვიქტორი ძველ თბილისში გაიზარდა. ჩვენები რომ პირველად ჩამოვიდნენ თბილისში, ცხოვრობდნენ მაშინდელი ვორონცოვის მოედანთან. რიყეში. შემდეგ პლეხანოვის ქუჩაზე გვქონდა ბინა, ხოლო ბოლოს, ახლანდელ კლარა ცეტკინის და ჩელუსკინელების ქუჩის კუთხეში, სადაც ყველაზე მეტ ხანს ვცხოვრობდით. აქ დაიწერა ვიქტორის პირველი ოპერები „ქეთო და კოტე“ და „ლეილა“.

ჩემი ძმა ვასო იგონებს: ვიქტორი უკვე სიმწიფეში შესული, ერთხელ, არდადეგების დროს კიევიდან ჩამოსულა თბილისში, და აი, შემთხვევით მოუხდათ იმ ადგილებში გავლა. ბევრი რამ უკვე გამოცვლილიყო, ბევრი კი ისევ ძველებურად იყო. აქ კიდევ შეხვდებოდით ხილაბანდში გახვეულ, ჭრელქოშებიან ქალს, კინტოს, ხილის თაბახით თავზე, წამღერებით რომ აწონებს თავის საქონელს გამვლელს, ვინმე გადაქაჩულ თავადიშვილს, ჩოხაში გამოწკეპილს. ვიწრო გაპრიალებულ უძიროებში, ამაყად რომ დაუწყვია ორივე ხელი მოსირმული ხანჯლის ტარზე და მედიდურად იცქირება, შუბლზე ღრმად ჩამოცმულ კრაველის ფაფახის ქვემოდან, თუმცა ეტყობა, რომ მისი ჩოხა-ახალუხი კარგად გაცვეთილია, „უძირო“ მესტები ალბათ ჩქარა მართლა უძიროები გახდება და ჯიბეშიც ორი გროშიც არ გააჩნია, თუმცა პირველი შეხედვით მობრძანდება თავადი, მოაქვს მთა და ბარი.

— ეხ, — თქვა თურმე ვიქტორმა, — მიდის ეს ძველი თბილისი. ცოდვა არაა არ ალიბეჭდოს და მეხსიერებაში მაინც არ დარჩეს!.. — ვფიქრობ, ამ სურათებს, რომელნიც ისე ღრმად ჩაჭრილიყვნენ მის შთამბეჭდავ მეხსიერებაში. ბოლოს აუცილებლად უნდა ენახათ გამოსავალი და რეალური ფორმა მიეღოთ. ხოლო ეს ფორმა კომიკური ოპერის სახით ეხატებოდა ვიქტორს.

რაც შეეხება „ხანუმას“, ვიქტორს უსათუოდ უნახავს სცენაზე ავქს. ცაგარელის ეს შესანიშნავი კომედია, და შეიძლება თვითონ გაბუნიას შესრულებით, რომელმაც პირველმა შექმნა ეს როლი და კლასიკურად გახადა იგი, ისე რომ ყველა სხვა შემსრულებლები მარტო მისი წამბაძველები თუ იყვნენ. ნატო გაბუნიას იუბილე 1909 წელს გაიმართა და სწორედ „ხანუმა“ დაიდგა; ვინ იცის იქნებ სწორედ ეს წარმოდგენა ნახა ცხრამეტი წლის ვიქტორმა? სიტყვა „ხანუმა“ ხშირად გამიგონია ჩვენს ოჯახში. როცა რომელიმე ნათესავი თუ ნაცნობი ძალიან ჭრელად, უგუნებოდ მოირთვებოდა იტყოდნენ: „ნამდვილი ხანუმა არისო“! როცა ვინმეს ცოლის შერთვა დაუგვიანდებოდა, ან რომელიმე ქალიშვილი მეტად შეუხედავი, თანაც უმზითვო იყო, იტყოდნენ: „მაგას ხანუმა თუ უშველის, თორემ სხვა არაფერიო“. ასე თუ ისე, ვიქტორი უსათუოდ ბავშვობიდანვე იცნობდა „ხანუმას“ და ძალიან მოსწონდა ეს კომედია, თვითონ მისი მთავარი პერსონაჟი, ხოლო როცა კომიკური ოპერის დაწერის სურვილი ჩაესახა, და რაც მთავარია, ძველი თბილისის თემაზე, აბა მაგაზე უკეთესს რაღას მოძებნიდა? მე ბუნდოვნად მახსოვს კიდეც ჩვენს სახლში, იქ, სადგურის ქუჩაზე ერთი წიგნი, მომცრო, ასე თაბახის მერვედის ზომის, მორუხო რბილ ყდაში, რომელზეც სადად ეწერა: „ა. ცაგარელი — „ხანუმა“, თუ „ა. ცაგარელი — პიესები“, ეს კი აღარ მახსოვს, მაგრამ თვითონ წიგნი მაგონდება, ხან როიალის პრიალა ზედაპირზე, ზევით აშლილი ფურცლების კუთხით, თითქო აი, ახლა კითხულობდა ვიღაცა და უცებ მიაგდო, ხან ხავერდისპირიან ბამბუკის მაგიდაზე, ხან კიდევ ტახტზე.

ასე თუ ისე, ვიქტორი იცნობდა „ხანუმას“, მოსწონდა იგი და როცა კომიკური ოპერის დაწერა გადაწყვიტა, მით უფრო ძველი თბილისის თემაზე, აბა ამაზე უკეთეს სიუჟეტს სადღა იპოვნიდა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პიკასო



ღარიბების სუფრა.



ილუსტრაცია ოვიდიუსის მეტა-მორფოზებისათვის''

ესკიზი პანოსათვის „გერნიკა''





1949 წელს, პარიზში, მშვიდობის მომხრეთა პირველი მსოფლიო კონგრესის დღეებში, მორიგი სხდომა რომ დამთავრდა, პაბლო პიკასომ მეგობრები თავის სახელოსნოში მიიწვია. ის იყო, ფოსტალიონმა ახალი გაზეთები მოიტანა. ერთ მათგანში გამოქვეყნებული იყო წერილი „ჩერჩილი და პიკასო". წერილი, პიკასოს თხოვნით, ხმამაღლა წაიკითხეს. მასში მოთხრობილი იყო ასეთი ამბავი: თურმე იმავე ხანებში ინგლისის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტმა ალფრედ მენიგსენმა საუზმე მოაწყო ჩერჩილისა და მარშალ მონტგომერის პატივსაცემად. საუზმის დროს მასპინძელმა ჯერ ჩერჩილის ნახატები შეაქო (სხვათა შორის, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი, მოცალეობის ჟამს, ხანდახან ფუნჯსაც ჰკიდებდა ხელს) და მერე შეუტია თანამედროვე მხატვრობას, განსაკუთრებით პიკასოსა და მატისს: „მათ არ შეუძლიათ დახატონ ხე ისე, რომ ხეს ჰგავდეს, — თქვა მენიგსენმა და განაგრძო, — სხვათა შორის, ბ-ნი უინსტონ ჩერჩილიც ამ აზრისაა. ამის წინათ ერთად ვსეირნობდით, იგი შეჩერდა და მითხრა: „მომისმინე, ალფრედ! ახლა უცებ პიკასო რომ შეგვხვდეს, არ დამეხმარებოდი ერთი მაგარი პანღური ამოგვეკრა მისთვის?" „რა თქმა უნდა, დაგეხმარებოდი", უპასუხა თურმე მენიგსენმა.

ჩერჩილს არ უყვარდა პიკასო. ეს გასაგებიც არის: პიკასო ეკუთვნის იმ დიდ ადამიანთა რიცხვს, ვინც მთელი სიცოცხლის მანძილზე ერთგულად ემსახურებიან ჰუმანიზმსა და კაცთმოყვარეობის გრძნობებს, ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ იმპერიალიზმის იდეოლოგები მას თავის მტრად მიიჩნევენ.

ფრიად თავისებური და რთულია პიკასოს გზა. მას ჰქონდა მძიმე სულიერი კრიზისები, გატაცებული იყო კუბიზმით, მაგრამ მისი შემოქმედება, აღებული მთლიანად, წარმოადგენს წინ გადადგმულ ნაბიჯს მთელი მსოფლიოს ხელოვნების ისტორიაში.

ვინ მოსთვლის რამდენი ქალაქი დასწვეს და ნაცრად აქციეს ჰიტლერელმა მფრინავებმა. ბასკთა პატარა ქალაქი გერნიკა პირველი იყო ამ ქალაქთა შორის; 1937 წლის 26 აპრილს გერმანულმა ავიაციამ ამ ქალაქში ქვა ქვაზე აღარ დასტოვა; პიკასო იმ ადამიანთა შორის იყო, ვინც პირველებმა აიმაღლეს ხმა ფაშიზმის მხეცური თარეშის დასაგმობად და ამხილეს. სწორედ ამ ხანებში შექმნა პიკასომ თავისი „გერნიკა". მეორე მსოფლიო ომის წლებში, როცა ჰიტლერელები ფეხქვეშ სთელავდნენ საფრანგეთის მიწაწყალს, ყველა ფრანგ მხატვარს, ვინც წინააღმდეგობის მოძრაობაში მონაწილეობდა და ჰიტლერელებს ებრძოდა, „გერნიკას" რეპროდუქცია უბეში ედო და თან დაჰქონდა, როგორც თილისმა. სწორედ იმ ქარიშხლიან დროს,



ქალის პორტრეტი.

მეორე მსოფლიო ომის წლებში პიკასო შედის საფრანგეთის კომუნისტური პარტიის რიგებში.

პიკასოს სურათების გამოფენამ მოსკოვსა და ლენინგრადში ნათელჰყო, რომ პიკასო ჩვენს ხალხს ძალიან უყვარს; პიკასოს სურათების რეპროდუქციები საბჭოთა კავშირში არაერთგზის გამოიცა თვით საფოსტო ღია ბარათებადაც კი მილიონიანი ტირაჟებით, მაგრამ სცადეთ და იშოვეთ სადმე! ვერ იშოვით, უმალ დაიტაცა ხალხმა.

ან კი როგორ შეიძლება არ გიყვარდეს მხატვარი, რომელიც კაცობრიობის ყველაზე დიდი განსაცდელის წლებში, მეორე მსოფლიო ომის დროს, გაბედულად ებრძოდა ჰიტლერელ ბარბაროსებს, კაცი, რომლის მარჯვენამ, ომის შემდეგ ერთი ხელის მოსმით დახატა მშვიდობის მტრედი, რომელიც ხალხთა უზარმაზარი მოძრაობის სიმბოლოდ იქცა.



ნატურმორტი წითელი ვაშლებით.



მოქანდაკე და მისი ქმნილება



დედა და შვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ციკლიდან „ტორო და ტორეროსი"



მტრედი.

# პიკასო

ციკლიდან „ტორო და ტორეროსი"



ქალი სავარძელში.



# კიდევ ერთი „უცხო ენა“

მეცნიერება დიდი ხანია დაინტერესებულია დელფინების ცხოვრების საიდუმლოებათა ამოხსნით; ამ ჭკვიანმა ცხოველებმა ყურადღება მიიქციეს ჯერ ისევ ანტიკურ ეპოქაში, და აი, დღეს მეცნიერებმა უკვე დაიწყეს მათი ენის გაშიფრვაც.

დელფინთა ენა! ნუთუ ეს შესაძლებელია? ნუთუ ასეთი რამ შეიძლება არსებობდეს ცხოველთა სამყაროში? ვინ იცის? რა ამოლევს და ამოსწურავს ბუნების საიდუმლოებებს?

ამერიკელმა პროფესორმა უ. ბატომ შეამჩნია, რომ დელფინებს შეუძლიათ გაიმეორონ აკუსტიკური სიგნალები, რომელსაც მათ ადამიანი მისცემს. ხოლო ადამიანის სამეტყველო ხმის გამეორება მათ არ ძალუძთ, ვინაიდან არა აქვთ ხმის იოგები; ბატომ მთელი რიგი ფილტრებისა და მოდულატორების მეშვეობით გარდაქმნა თავისი ხმა, მიიღო აკუსტიკური სიგნალი, რომელიც მნიშვნელოვანწილად უპასუხებს დელფინის შესაძლებლობებს, რადგან შეეფარდება მისი ხმისა და სმენის რეგისტრებს.

ჩატარებულმა ცდებმა დაამტკიცეს, რომ დელფინებს შეუძლიათ მეტად ზუსტად გაიმეორონ იმ ტიპის სიგნალები, რომლებიც მათ აპარატების მეოხებით მიიღეს. მათ იმიტაციას, სხვა ხელსაწყოების დახმარებით, კვლავ გარდაქმნიან ადამიანის მეტყველებად. გამოკვლევამ, გარდა ამისა, აჩვენა, რომ დელფინები არა მარტო ზუსტად იმეორებენ სიგნალებს, არამედ სწრაფადაც იმახსოვრებენ მათ — ამისათვის საკმარისია ორი ათეული „გაკვეთილის“ მიღება.

ამჟამად პროფესორი ბატო ასწავლის დელფინებს „სიტყვის“ ასოცირებას საგანთან ან მოქმედებასთან. და, როგორც იგი ამტკიცებს, უკვე მიიღო დამაიმედებელი შედეგები.

მართლაც, ბატოს ერთ-ერთმა თანამშრომელმა შესძლო იმის მიღწევა, რომ დელფინმა დაიწყო სიტყვის დაკავშირება განსაზღვრულ საგანთან. აუზთან მდგომი ექსპერიმენტატორი დელფინს უჩვენებს რაიმე საგანს — ბურთს, ქუდს ან ჯოხს, რომელსაც ხელში ათამაშებს. იგი აჩვევს ცხოველს ამ საგნის გარეგან სახეს და თან დროდადრო იმეორებს: „ბურთი“, „ქუდი“, „ჯოხი“. და დელფინიც საკმაოდ სწრაფად იწყებს ამ საგნის დაკავშირებას მის სახელწოდებასთან.

პროფესორი ბატო დელფინებთან ისევე ამყარებს ურთიერთობას, როგორც ამას დიდები აკეთებენ პატარა ბავშვებთან — ასოციაციების მეშვეობით. თუ მამას სურს ბავშვს შეათვისებინოს ცნება „ხის“ მნიშვნელობა, იგი უჩვენებს მას ხეს და წარმოთქვამს სიტყვას „ხე“. ამ გზით მდიდრდება ბავშვის მეტყველება.

მაგრამ საკმარისი კი არის ეს? მეტყველება სულაც არ არის მექანიკური პროცესი. ენა შეიცავს თუ აზროვნებას არა, უკიდურეს შემთხვევაში რაღაც უნარს მაინც, რაც საგნებსა და ცნებებს დააკავშირებს ერთი-მეორესთან. დელფინებში ასეთი უნარის აღმოჩენა იმის დასაბუთება იქნებოდა, რომ მათ გააჩნიათ ნამდვილი ენა, რაც თავის მხრივ უპრეცენდენტო მოვლენა იქნებოდა ცხოველთა სამყაროში.

განსაცვიფრებელი შედეგები გამოიღო მეორე ამერიკელი მეცნიერის ჯ. ბასტიანის ცდებმა. პროფესორი ბასტიანი ვარაუდობდა: თუ დელფინებს აქვთ რთული აკუსტიკური კავშირი, მაშინ განსაზღვრულ სიტუაციაში, როცა ერთ დელფინს სჭირდება რაიმე არჩევანის გაკეთება, იგი შესძლებს გადასცეს მეორე დელფინს ინფორმაცია ამის თაობაზე. ყოველივე ამას იგი გადასცემს იმგვარად, რომ სიგნალის მიმღები დელფინი, გაშიფრავს რა მიღებულ ინფორმაციას, მოიქცევა ისე, როგორც მისგან მოითხოვენ. მოკლედ რომ ითქვას, საქმე ეხებოდა იმის მტკიცებას, რომ დელფინებს აქვთ ნამდვილი ენა.

ამისათვის პროფ. ბასტიანმა ჩაატარა ასეთი ცდა. ორ დელფინს, დედალსა და მამალს, რომლებიც დიდხანს ცხოვრობდნენ ერთად და კარგად იცნობდნენ ერთმანეთს, ცალ-ცალკე შეასწავლეს თანმიმდევრულად შეესრულებინათ ერთნაირი მოქმედება, თუ მოძრაობა. შემდეგ აუზი ბადით გაყვეს ორ თანაბარ ნაწილად და ისე, რომ დელფინები ერთმანეთისგან იზოლირებული აღმოჩნდნენ. თვითეულ განყოფილებაში დადგეს ელექტრონათურა და ორი პედალი, რომლებიც ერთმანეთისგან დაშორებული იყვნენ 1 მეტრი მანძილით. როცა ნათურა ხანგრძლივად განათდებოდა, დელფინს უნდა დაეწია მარჯვენა პედალი, თუ ნათურა ციმციმს დაიწყებდა — მარცხენა პედალი. დელფინები სწრაფად მიხვდნენ რას მოითხოვდნენ მათგან და ჩინებულად ასრულებდნენ ამ სამუშაოს. ამის შემდეგ ბასტიანმა შეწყვიტა შუქსიგნალების მიცემა მამალი დელფინის განყოფილებაში. ამ წუთიდან მამალ დელფინს ორიენტაცია უნდა აეღო იმ სიგნალებზე, რომელსაც მისი მეგობარი დელფინი იღებდა და რომელსაც ხედავდა ბადიდან. დედალ დელფინს „დავალება“ უნდა შეესრულებინა სიგნალის მიღებიდან ხუთი წამის განმავლობაში. მამალს კი უნდა დაეცადა, სანამ დედალი თავს არ გაართმევდა თავის პედალს და მხოლოდ ამის შემდეგ დასწევდა იმ პედალს, რომელიც მის განყოფილებაში იყო. ორივე დელფინმა ასიდან ოთხმოცდაჩვიდმეტ შემთხვევაში შესძლეს უშეცდომოდ გაერკვიათ სამივე განსხვავებული სიგნალი — ცალკეული, ხანგრძლივი და მოციმციმე.

ამის შემდეგ ელნათურა დედალი დელფინის განყოფილებაში ისე შენიღბეს, რომ მამალი მის სიგნალს ველარ ხედავდა. მაგრამ მამალი დელფინი კვლავინდებურად განაგრძობდა ამოცანის ზუსტად შესრულებას თითქმის ისეთივე წარმატებით, როგორც ასრულებდა დედალი დელფინი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთი დელფინი მეორისაგან იღებდა საჭირო ინფორმაციას; რა ხასიათისა იყო ეს ინფორმაცია? ან მხედველობითი ან აკუსტიკური.

ამის დასადგენად ბადე დაფარეს გაუმჭვირვალი ფირით, ისე რომ მამალი დელფინი ველარ ხედავდა დედალს. მიუხედავად ამისა, მან კვლავინდებურად 100 შემთხვევიდან 97-ჯერ ბრწყინვალედ შეასრულა თავისი ამოცანა და ამით დაამტკიცა, რომ იგი ინფორმაციას რაღაც სხვა გზით იღებდა.

მრავალმა ახალმა ცდამ დაამტკიცა, რომ დელფინებს შორის ინფორმაციის გადაცემის სისტემა ატარებს აკუსტიკურ ხასიათს. იმისათვის, რომ ეს დებულება შემოწმებულიყო, აუზის გამყოფ შუქგაუმტარ ფირს ზემოდან დააფინეს ხმაგაუმტარი ფირფიტები. და მაშინვე მამალმა დელფინმა 100-დან მხოლოდ 54 შემთხვევაში გასცა დადებითი პასუხი, რაც სტატისტიკურად დაახლოვებით იმ შედეგის ფარდია, რაც შეიძლებოდა შემთხვევით მიღებულიყო.

მაშინ ამ ფირფიტებში გააკეთეს ხვრელი, რომელიც ხმოვან სიგნალებს აუზში გავრცელების საშუალებას მისცემდა. მაშინვე დადებითმა პასუხმა 86 პროცენტს მიაღწია.

ამრიგად, დელფინებმა უკვე დაამტკიცეს, რომ მათ უნარი აქვთ აღიქვან ვიზუალური სიგნალი და გარდაქმნან იგი აკუსტიკურ სიგნალად. დღემდე კი ითვლებოდა, რომ ამგვარი გააზრებული გარდაქმნა წარმოადგენდა მხოლოდ ადამიანის თვისებას.

# ლექსები

**აგნესა როშკა**
მოლდაველი პოეტი

## საქართველოს

შენ ხარ ნიჟარა, ზღვის ზვირთცემით
გადმოსროლილი,
მკერდმოჭედილი უთვალავი სადაფის თვლებით.
შენი მაღალი, ლურჯი ჭერი რეკავს ბროლივით
და ჭერს ბურჯებად შესდგომიან ზვიადი მთები.

ვით ზღვის ტალღაზე, წამოქოჩრილ
მთებზე მოცურავს
მზე — ეს ვეება ჩიტ-ბატონა წითელფრთიანი,
გაჩენისთანვე ის პირველად აქ თუ მოსულა
ასე ბრდღვიალა, ასე სავსე, ასე მთლიანი.

მთისხელა ტალღა ეხეთქება კლდეებს ჯახანით,
მტვრადქცეულს უკან დაბრუნება ეუცხოება:
ამ ტალღებმა თუ დაარწიეს შოთას აკვანი,
ამ ტალღებმა თუ შთააგონეს ვეფხვის პოემა...

ველთა სივრცეებს მწვერვალების
დარდი აყვირებთ,
მწვერვალს მწვანეზე წამოწოლა მონატრებია,
მთათა კალთებზე წვიმა სწუწავს
ტყეებს აყრილებს,
ველზე ვარდები მზის პირსავსე თასით თვრებიან.

შენი თითები გვირილების გვირგვინს მიწნავენ,
დამწვი, მამღერე, შენი და ვარ და ნათესავი!..
თავზე დღის ღიმი ახურია, ტანზე სიმწვანე,
მზეჩაუსვლელი საქართველო მოდის მზესავით.

## 13 ივნისი

ამ მიწის ნამდვილ მოყმედ გიცანი,
გაგიმხელ — მხიბლავს სილაღეც შენი,
როგორც დაჭიმულ მშვილდზე ისარი
დგახარ, საუბრობ მშობლიურ ენით.

გისმენ — გრგვინავენ ცადშემართული
შენი თბილისი, მცხეთა, ვარძია,
ეგ შენი ენა, ენა ქართული
ამ დედამიწის დიდი განძია.

ის ბილიკია, მთით რომ ეშვება
ბედნიერების ცისფერი ზღვისკენ...
გისმენ, მითრთიან გულის ფესვები,
ალამპრებული ვდგავარ და გისმენ.

* * *

მშვიდობით! — შენ და სამშობლოს შენსას
გეტყვით და გლოცავთ გულით და ლექსით,
ამ ლექსს ვარსკვლავად ჩავტოვებ მთებში
და განშორების სიმწარეს შევსვამ.

განსაშორებლად სულს ემძიმებით
შენ, შენი მთები, შენი რიონი,
ველად გაჭრილი სხივთ მაყრიონი,
ვერცხლის მთვარე და ბროლის წვიმები.

მზეს ნუ მიჩრდილავ! მთელი სიგანით
ისეც დაეცა ჩემს თვალებს ჩრდილი —
განშორების დღე ამ მზიან დილით,
მოვიდა როგორც ზღვაზე გრიგალი.

თარგმნა თ. ჯანბულაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მწერალი და მოქალაქე



### თედო სახოკიას დაბადებიდან 100 წლისთავის გამო

რუსთაველის პროსპექტზე, იქ, სადაც ამჟამად ქვანახშირის კომბინატის ხუთსართულიანი ლამაზი შენობა აღმართულა, ძველად იდგა ორსართულიანი სახლი. თითქმის ოთხი ათეული წლის წინ ამ სახლის პირველ სართულზე მოთავსებული იყო სილიბისტრო თავართქილაძის წიგნის მაღაზია „განათლება“, მაღაზიის პატრონს თავისი გამომცემლობაც ჰქონდა. თავის დროზე ამ კაცმა სასახელო თაოსნობა გამოიჩინა, გამოსცა ბევრი საინტერესო წიგნი ქართული კულტურის ისტორიიდან. ამ გამომცემლობასა და წიგნის მაღაზიაში ხშირად ნახავდით ქართველ მწერლებს, მსახიობებს, მეცნიერებსა და პედაგოგებს; აქ მოდიოდნენ ივ. ჯავახიშვილი, ვ. ბარნოვი, შ. დადიანი, შიო მღვიმელი, თ. სახოკია, ივ. გომართელი, ზ. ჭიჭინაძე, ი. აბულაძე, ვ. აბაშიძე, ვ. გუნია და სხვები. იმ ხანებში მე ვმუშაობდი ყოფილ პოლიტკატორღელთა საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, მაღაზია მოთავსებული იყო იქ, სადაც ამჟამად მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრია. გასაგებია, რომ ხშირად მიხდებოდა გადასვლა მოპირდაპირე მხარეს, თავართქილაძის მაღაზიაში. სწორედ იქ გავიცანი თედო სახოკია.

ამის შემდეგ თედოს ძალიან დავუახლოვდი. ამ დაახლოებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ის ყოფილ პოლიტკატორღელთა საზოგადოების წევრი იყო და თითქმის ყოველდღე შემოდიოდა ჩვენს მაღაზიაშიც. იმავე ხანებში მას გამოსაცემად გამზადებული ჰქონდა ვრცელი მოგონებები „ციმბირში“; იმ ხანებში ამ წიგნის გამოცემა რატომღაც არ მოხერხდა.

მოგვიანებით, როდესაც სახელმწიფო გამომცემლობაში დავიწყე მუშაობა, თედომ იქ გამოსაცემად მოიტანა მოპასანის მოთხრობის „ფუნთუშას“ თარგმანი. ამის შემდეგ თედო უფრო ხშირად მოდიოდა გამომცემლობაში, ზოგჯერ მე თვითონ მიმქონდა მასთან ბინაზე წიგნის კორექტურა. თედოს სახლი მოსკოვის ქუჩაზე — ეს ნამდვილი სამხარეთმცოდნეო მუზეუმი იყო, სავსე არქეოლოგიური ნივთებით, კაჟიანი დამბაჩებით და უძველესი მონეტებით. ეს ძვირფასი ნიმუშები თედოს მაშინ მოეგროვებია, როდესაც ის, როგორც ეთნოგრაფი, საქართველოს შორეულ კუთხეებში მოგზაურობდა. ხსენებულ წიგნის გამოცემის პერიოდში თედო უკვე მძიმე ავადმყოფი იყო.

თედო სახოკიას რაღაც განსაკუთრებული და ულრმესი სიყვარულით უყვარდა ილია ჭავჭავაძე; დღე არ გავიდოდა, რომ მისი სახელი არ ეხსენებინა. ერთხელ თედომ ჩამომიწერა 1897 წლის გაზეთ „ივერიის“ ნომრები (№ 53, 56, 61, 67, 75, 78, 80, 85, 86, 88, 89, 90, 91, 93) და მითხრა — აქ ხელმოუწერლად დაბეჭდილი მოწინავე წერილები ილიას ეკუთვნის, წაიკითხე და გაიგებ ვინ იყო ილია ჭავჭავაძე; ყოველი მისი მოწინავე წერილი, გარდა თავისი მებრძოლი საზოგადოებრივი მნიშვნელობისა, წარმოადგენს უბადლო მხატვრულ შედევრს, ქართული ენის მთავარი ძარღვი აქა სცემსო. ილიას დიდი ადამიანური გულისხმიერების დასახასიათებლად ის კიდევ ერთ ასეთ ამბავს გაიხსენებდა ხოლმე:

— ერთხელ „ივერიაში“ არტემ ახნაზაროვმა დაბეჭდა წერილი, რომელშიც მე უსამართლოდ გამკიცხა. თურმე ილია მაშინ თბილისში არ იყო და არც იცოდა, თუ ეს წერილი იბეჭდებოდა. მე რედაქციას სასამართლოში ვუჩივლე, მეგონა რედაქციის მდივანს და იმ წერილის ავტორს ახნაზაროვს გამოიძახებდნენ. როგორ გავოცდი და შევკრთი, როცა დარბაზში დიდი ილია დავინახე. გამაცია და გამაცხელა, აღარ ვიცოდი საით გავქცეულიყავი. მაგრამ კიდევ უფრო მეტი იყო ჩემი გაოცება, როცა ილიამ სასამართლოს განუცხადა: რედაქცია სწორად არ მოიქცა და ახალგაზრდა მწერალს ტყუილ-უბრალოდ შეურაცხყოფა მიაყენაო. სასამართლომ შეგვარიგა, შემდეგ მე თვითონ „ივერიის“ თანამშრომელი გავხდი და ილიას მხრიდან სიყვარულისა და გულთბილი დახმარების მეტი არაფერი მახსოვს.

მეტად დიდია თედო სახოკიას ღვაწლი ქართული ლიტერატურის წინაშე. ის იყო შესანიშნავი მწერალი, ეთნოგრაფი, ლექსიკოგრაფი, მთარგმნელი, ფოლკლორისტი — შემკრები ანდაზებისა, იგავებისა და ხალხური ლექსებისა. მისი ეთნოგრაფიული ნარკვევები იბეჭდებოდა ქართულ, რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ და იტალიურ ენებზე. თედო სახოკიამ თავის ეთნოგრაფიულ წერილებში გამოამზეურა ამბები, რომლებიც მანამდე ჩვენს ლიტერატურაში ცნობილი არ იყო. ეს ნაშრომები უძვირფასესი მასალაა ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის ისტორიისათვის. აქვე უნდა მოვიხსენიოთ თედო სახოკიას ვრცელი სამტომიანი ნაშრომი „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“ — ეს არის ავტორის ოცდაათი წლის გამუდმებული შრომის ნაყოფი. ამ წიგნის შესახებ პროფ. გ. ჩიტაია აღნიშნავს: „განმარტებითი მასალის ხაზით უნდა აღინიშნოს, რომ საყურადღებოა არა მარტო ხალხში დამოწმებული განმარტებანი, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში ისინიც, რომლებიც ავტორს ეკუთვნის. ისინი იმითაც იმსახურებენ ყურადღებას, რომ თვით შეიცავენ ხატოვან სიტყვა-თქმებს“. საინტერესოა თედო სახოკიას შრომები „მოგზაურობანი. გურია, აჭარა, სამურზაყანო და აფხაზეთი“. „როგორ ვიზრდებოდით ძველად“, „ეთნოგრაფიული ჩანაწერები“ და სხვ.

თედო სახოკია, იმავე დროს, შესანიშნავი მთარგმნელი იყო. მან იტალიურიდან თარგმნა ბოკაჩიოს „დეკამერონი“ და გარიბალდის „კლელია“, ფრანგულიდან — ვოლტერის, მოპასანის, ოქტავ მირბოს, ემილ ზოლას, ბარბიუსის ნაწარმოებები, ბულგარულიდან ივანე ვაზოვის „დამონებულნი“, რუსულიდან ბოროზდინის „სამეგრელო“ და მისივე „ბატონყმობა სამეგრელოში“.

თედო სახოკია მეფის ხელისუფლების მიერ დევნილი იყო, როგორც რევოლუციონერი; მრავალი წელი გაატარა მან ციმბირის გადასახლებაში, აქედან ის გაიქცა საზღვარგარეთ და იქ სორბონის უნივერსიტეტში ჩაირიცხა.

**თეიმურაზ აბულაძე**

**მივიწყებული მე ვარ ტაძარი,**
**მივიწყებული მე ვარ სინათლე,**
**ჩემს ირგვლივ დღეებს გააქვთ ზანზარი**
**და ვწუხვარ, ცაო, ვერ გაგიმართლე.**

**ვერ გაგიმართლე, ცაო, იმედი**
**და შენს ზვირთამდე ვერ მოვაღწიე...**
**რა ვქნა, ეს მიწა ვერ გავიმეტე,**
**ფიქრმა ორ ნაპირს შუა მარწია.**

**მოუსვენრობა სულში გამებნა,**
**უბედობით თუ ბედის კარნახით...**
**მე ვინგრეოდი და ნანგრევებზე**
**ამოდიოდა მწვანე ბალახი.**

**ამოდიოდა მწვანე ბალახი,**
**როგორც საშველი, როგორც იმედი,**
**ამიტომ ზღვარი ვერ გადავლახე,**
**ამიტომ მიწა ვერ გავიმეტე.**

**მივიწყებული მე ვარ ტაძარი,**
**ჩემს თაღზე ჩუმი ჩრდილი დაცოცავს**
**და ჩემს გარშემო გააქვთ ზანზარი**
**დღეებს, რომლებმაც უნდა მაცოცხლონ.**

**და სიშორიდან მე ვყვირი: — „ჩქარა,**
**ო, ჩქარა, თორემ ცეცხლი ნელდება“...**
**და ყოველდღიურ ლხინსა და ვარამს**
**იხმობენ ჩემი თეთრი კედლები.**

თედო სახოკია იყო მეტად გულისხმიერი ადამიანი, ამ ქვეყნად ის იმისთვის იყო დაბადებული, რომ ყველასათვის კარგი და კეთილი საქმე გაეკეთებინა.

ახლახან ასი წელი შეუსრულდა თედო სახოკიას დაბადებიდან. ჩვენმა საზოგადოებრიობამ სიყვარულით აღნიშნა ამ უანგარო მწერლისა და მოღვაწის, შესანიშნავი მოქალაქისა და პატრიოტის ხსოვნის თარიღი (თედო სახოკია გარდაიცვალა 1956 წელს); აქვე ვსარგებლობთ შემთხვევით და ვბეჭდავთ მის ერთ გამოუქვეყნებელ შენიშვნას, რომელიც ავტორმა თავის დროზე გაუგზავნა სიძველეთა დაცვის კომიტეტს. მოგვყავს ეს შენიშვნა მთლიანად.

„ნოქალაქევში (სამეგრელოში) მდ. ტეხურის მარცხენა ნაპირას, იქ, სადაც ცნობილი ნოქალაქევის ციხე თავდება, დღემდე დარჩენილია ქვითკირის ეკლესია, გაშენებული XI საუკუნეში. ამბობენ, მარტვილისა, ნოქალაქევის და ხობის ტაძრები ერთსა და იმავე დროს არის გაშენებულიო. დღევანდელი მდგომარეობა ამ ჩვენის ხუროთმოძღვრების საინტერესო ნიმუშისა მეტად სავალალოა: პატაკს ქვები აყრილი აქვს, სახურავი სრულებით არ შერჩენია და თაღის ქვითკირზე ამოსულია ხეები, რომლის ძირები თაღს ქვემოთაა ჩასული და ჰაერშია დაკიდებული. წვიმის დროს წყალი რუებრ ჩამოდის, მოსალოდნელია მალე თაღი სულაც ჩამოიქცეს. საჭიროა დაუყოვნებლივი გადახურვა. ჯერჯერობით ესეცა კმარა. ამას კი, სულ ბევრი, ოთხას-ხუთასი თუმანი დასჭირდება“.

ეს პატარა შენიშვნაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს, თუ რაოდენ ძლიერად შესტკიოდა თავისი კეთილი გული ჩვენს დაუვიწყარ თედოს, როცა საქმე ეხებოდა ქართული კულტურის ძეგლების დაცვის საქმეს.

**ალ. სიგუა**

# წყაროები და ანოტაციები

## აზიის ხალხთა ინსტიტუტის ქართული დოკუმენტები

საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აზიის ხალხთა ინსტიტუტმა ახლახან გამოსცა საურმაგ კაკაბაძის ნაშრომი: „აზიის ხალხთა ინსტიტუტის ქართული დოკუმენტები“ (რუს. ენაზე, რედაქტორი — რ. ორბელი, ნაშრომი შეიცავს 512 გვერდს). წიგნში წარმოდგენილია 720 წყაროს ანოტაცია. ძეგლები ეკუთვნის XI-XIX საუკუნეებს (1020-1850 წ. წ.); ნაშრომს წამძღვარებული აქვს საურმაგ კაკაბაძის გამოკვლევა. ავტორი მასში მართებულად აღნიშნავს, რომ ჩვენამდე ძლიერ მცირე რაოდენობის წყაროებმა მოაღწია, მაშინ, როდესაც საქართველოში უძველესი პერიოდიდანვე ექნებოდათ სათანადო არქივები საბუთების შესანახად. ყოველ შემთხვევაში, VI საუკუნეში, ეგრისის მეფის ელჩის სიტყვებიდან სპარსეთის მეფისადმი, ჩანს, რომ კოლხეთში ამ დროს სახელმწიფო არქივი ყოფილა. XII საუკუნეში გიორგი III-მ (1156-1184 წ. წ.) ორბელები მოღალატეებად გამოაცხადა. მეფის ამ აქტის მოსპობა შესთხოვეს ორბელებმა საქართველოს მთავრობას თამარის დროს. ცხადია, ეს აქტი სამეფო არქივში ინახებოდა (გვ. 7-8).

„ხელმწიფის კარის გარიგებაში“ არის პირდაპირი ცნობა, რომ მეფის საბუთები ინახებოდა სამეფო სალაროში, საბუთების შესანახს „გოდორი“ ეწოდებოდა, ხოლო საბუთების შემნახავს — „მეგოდრე“ — (პარაგრ. 14). ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვითაც სამართლის წიგნი „მდივანბეგისაგან დაბეჭდილ სალაროში“ ინახებოდა (მუხ. 205). რასაკვირველია, სახელმწიფოს ყოველთვის ჰქონდა არქივი, რომელშიაც ინახავდა სხვადასხვა საბუთებს. მაგრამ ქართველი ხალხის ისტორიის ბედუკუღმართობის შედეგად სახელმწიფო არქივები დროთა განმავლობაში ნადგურდებოდა.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ გასარკვევი და გასარჩევი შეიქნა საკითხები: მამულების საკუთრების უფლებისა, ქართველ მეფეთა დროინდელი სახელოებისა, წოდებრივ პრივილეგიათა, გადასახადებისაგან თავისუფლებისა, სენიორულ-ვასალურ ურთიერთობისა, ყმა გლეხთა სხვადასხვა კატეგორიათა უფლებრივ მდგომარეობისა, ვაჭართა კლასის იურიდიული რეჟიმისა და სხვ. ახალ, რუსულ მმართველობას ესაჭიროებოდა ყველა ამ საკითხის გარკვევა. ამის გამო ხელისუფლებამ მოითხოვა მოსახლეობისაგან სათანადო დოკუმენტები. ეს დოკუმენტები 1817-1828 წლებში შეაგროვეს და გადაწერეს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში. აღმოსავლეთ საქართველოში შეგროვებულ იქნა 14 ათასი, ხოლო დასავლეთ საქართველოში 30.000 საბუთი; ეს უკანასკნელი ერთიანად დაიღუპა 1906 წელს, ხანძრის დროს ქუთაისში.

მიუხედავად იმისა, რომ ეკლესია-მონასტრების არქივებიც განადგურდა. შედარებით მაინც სწორედ ეკლესია-მონასტრებში იქნა შემონახული უფრო კომპაქტურად ქართული საბუთები.

ნაშრომში აღნიშნულია, რომ მცხეთის სვეტიცხოველში შემონახულია საბუთები ძირითადად XV საუკუნიდან (თემურმა სვეტიცხოველი დაანგრია და, როგორც ჩანს, მაშინ დაიღუპა მისი წიგნთსაცავი და არქივი), გელათის მონასტერში შემონახულია საბუთები XII საუკუნიდან, შიომღვიმის მონასტერში — X საუკუნიდან და სხვა. საერთოდ კი ეკლესია-მონასტრებიდან შემონახულია უმთავრესად XVII-XVIII საუკუნეების საბუთები (გვ. 6-10).

1915 წელს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს საბუთები, შეგროვებული ორ არქივად, საქართველოში ოსმალეთის შემოჭრის შიშით, ჩრდილოეთ კავკასიაში იქნა გახიზნული. ჩრდილოეთ კავკასიაში, სამოქალაქო ომის ქარცეცხლში, 1920 წელს, თითქმის მთლიანად დაიღუპა ქართული საბუთების დედნები, რომლებიც საქართველოს რუსეთთან შეერთების წინანდელ პერიოდს განეკუთვნებოდნენ (გვ. 9).

ასეთ ვითარებაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ლენინგრადის აზიის ხალხთა ინსტიტუტში შემონახულ საბუთებს, რომელთაგან მრავალი წარმოადგენს აწ უკვე დაკარგული ძეგლების ასლს. ამჟამად მხოლოდ ეს ასლები გვიწევს დედნის მაგიერობას. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ მრავალი ამ საბუთთაგან ფრიად მნიშვნელოვანია თავისი შინაარსით, მაშინ ცხადი გახდება, თუ რაოდენ დიდ განძს წარმოადგენს საქართველოს ისტორიისათვის ლენინგრადში დაცული ეს საბუთები და ამდენად, რამდენად დროული, საჭირო და სასარგებლოა ჩვენი მეცნიერებისათვის ამ საბუთების მეცნიერული აღწერილობა, რომელსაც სარეცენზიო ნაშრომი წარმოადგენს.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში ინახება 720 დოკუმენტი, მათ შორის, 18 დედანია. დედნები შემოსულია არქივში პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრის თეიმურაზ ბაგრატიონისა და ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძისაგან. დანარჩენი დოკუმენტები ხანგრძლივი დროის განმავლობაში გროვდებოდა აკადემიკოს მარი ბროსეს მიერ. ბროსეს მიერ შეგროვებული დოკუმენტები შევსებული იქნა 1963 წელს აკადემიკოს ნიკო მარის კოლექციიდან რვა დოკუმენტით (გვ. 6-7).

XIX და XX საუკუნეების მოღვაწეებიდან საქართველოს ისტორიის წყაროების მოგროვებაში განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვით მ. ბროსეს გარდა, დ. ფურცელაძეს, თ. ჟორდანიას, ალ. ხახანაშვილს, ექ. თაყაიშვილს, ს. კაკაბაძეს, ნ. ბერძენიშვილს. მათს გამოცემებს, გარდა ნ. ბერძენიშვილის გამოცემისა, არ ახლავს საძიებლები; ეს კი აძნელებს საბუთებით სარგებლობას, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ხსენებულმა მოღვაწეებმა დიდი ამაგი დასდეს საქართველოს ისტორიის მეცნიერების განვითარებას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პროფ. გ. ჟორდანიამ და პროფ. შ. ხანთაძემ თ. ჟორდანიას „ქრონიკების“ III წიგნი გამოსცეს და ამ III წიგნს დაურთეს პირველი ორი წიგნის საძიებლები, რითაც გააადვილეს ამ ძვირფასი გამოცემით სარგებლობა.

სარეცენზიო წიგნში საბუთები დაყოფილია სიგელის ან საბუთის შინაარსის მიხედვით დარგებად. საბუთები დაყოფილია სამ ძირითად დარგად: პირველი — სახელმწიფოებრივი ე. ი. საჯარო შინაარსის დოკუმენტები; მეორე — კერძო ხასიათის და მესამე — საეკლესიო. ნაშრომის IV განყოფილებაში დაწვრილებით არის განხილული ხელნაწერები, რომლებშიაც დოკუმენტებია შე'ული. წიგნს დართული აქვს საძიებლები. ამასთან, ნაშრომში წარმოდგენილია რაოდენიმე, მეტად მნიშვნელოვანი ძეგლის რუსული თარგმანი.

თავის გამოკვლევაში ავტორი მართებულ მოსაზრებას გამოთქვამს იმის შესახებ, რომ სასისხლო სიგელებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიისათვის; ასეთ სიგელებში მოცემულია ქართული სისხლის სამართლის სხვადასხვა ინსტიტუტების დახასიათება. სასისხლო სიგელის მნიშვნელობა მაშინაც კი დიდია, როცა ის ნატყუარია, რადგანაც სიგელის შემდგენელი ყოველთვის შეეცდებოდა იმ ეპოქის ინსტიტუტების წარმოდგენას, რომელი ეპოქისადაც საბუთი თავს აცხადებდა (გვ. 24-28).

ფრიად საყურადღებოა ძეგლი, რომელიც შეიცავს თავისუფალ სვანეთის მცხოვრებთა და ფეოდალ ჯაფარიძეების შორის სასისხლო საქმეების სასამართლო ხასიათის გარჩევას. სვანებს ფეოდალი ჯაფარიძეები ბაჟის გარეშე არ ატარებდნენ ბარში. შევიწროებულმა სვანებმა მოკლეს ერთ-ერთი ჯაფარიძე. ამის შემდეგ მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვავდა. ძეგლში აღწერილია ის დიდი გაჭირვება, რომელშიაც სვანები იმყოფებოდნენ: მათ მარილის შოვნაც გაუჭირდათ, ჯაფარიძეები სვანებს აღარ ატარებენ ბარში საქირაო სამუშაოებზე, რომლის გარეშე სვანებს არსებობა არ შეეძლოთ. ბოლოს, სწერია ძეგლში, სვანები იძულებული შეიქნენ ერთად შეყრილიყვნენ: სხვადასხვა საქონლით დატვირთული 400 ცხენით გამოემართნენ ისინი ლეჩხუმში თავიანთი საქონლის გასასყიდად და მათთვის საჭირო ნივთების შესაძენად, მაგრამ უკან დაბრუნებულებს თავს დაესხნენ ჯაფარიძეები, ჯაფარიძეებმა რვაასი კაციდან თითქმის ნახევარი მოკლეს და ყველანი გაძარცვეს. სვანებმა დადიანს სთხოვეს საქმის მოგვარება; დადიანმა ჭყონდიდელი მიუგზავნა მეფე ალექსანდრეს, რომელმაც სვანებს შეუთვალა: ჯაფარიძისთანა თავადი მე არა მყავს, ე. ი. ჯაფარიძე დიდი გვარისაა, თუ ჯაფარიძის სისხლს გადაიხდით (სვანებმა ხომ ერთ-ერთი ჯაფარიძე მოკლეს), მაშინ გზას გაგიხსნითო.

სვანები დადიანმა წაიყვანა ალექსანდრე მეფის კარზე, გეგუთში. მეფე ალექსანდრე, მამია დადიანი, ზვიად ფალავანდიშვილი, ლომკაცი ჰილაძე, კახაბერ ერისთავი, რამინ ამირეჯიბი და ფალავანდ ფალავანდიშვილი დასხდნენ სამსჯავროდ და გაარიგეს თავისუფალ სვანთა და ჯაფარიძეების საქმე. მოკლული სვანების სისხლი ჯაფარიძეებს დააკისრეს, ხოლო მოკლული ჯაფარიძის სისხლი სვანებს.

ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოება: მეფე სავსებით გარკვევით იჩენს ჯაფარიძეთა სასარგებლო მიკერძოებას. გარდა ამისა, ერთის მხრივ შეფასებულია 300 მოკლული სვანის სისხლი, მეორე მხრივ ერთი ჯაფარიძის სისხლი. ერთი ჯაფარიძის სისხლი გაცილებით უფრო ძვირად არის შეფასებული, ვიდრე 300 სვანის სისხლი (ვახტანგის სამართლის წიგნით დიდებულ თავადის სისხლის ფასს და გლეხის სისხლის ფასს შორის ასეთი დიდი განსხვავება არ არის, მუხ. 26-33). აქედან ჩანს, რომ ფეოდალური სამართალი აშკარად პრივილეგიურია. ამასთანავე, ძეგლში მოცემულია ფეოდალური კლასისა და მისი სახელმწიფო ორგანიზაციის ბრძოლა თავისუფალი სვანეთის წინააღმდეგ, მის დასამორჩილებლად.

შეიძლება ზოგიერთ რამეში არ დავეთანხმოთ ავტორს, მაგალითად, შურტა უფრო გზირს ჰგავს, ვიდრე პირად მცველს (გვ. 42), საკუთარ სახელებში არ იყო შესატანი ისეთი სახელები როგორიც არის ეპისკოპოსი, მდივანი, ყულარალასი, მოურავი, მდივან-მწიგნობარი, სუფრაჩი (გვ. 419) და სხვა ამისთანები.

საერთოდ კი ნაშრომი შესრულებულია მაღალ დონეზე. ავტორმა გამოამზეურა საქართველოს ისტორიის მრავალი დოკუმენტი და ის გასაგები გახადა რუსულ ენაზე მკითხველისთვისაც.

ავტორს ხანგრძლივი და სკრუპულოზური შრომა ჩაუტარებია, დიდი ენერგია დაუხარჯავს. სიგელები დამუშავებულია დიდი ცოდნით, საქმისადმი სიყვარულით და მეცნიერების განვითარების დღევანდელი დონის შესაბამისად.

პროფ. ივ. სურგულაძე

# კორჩნოი, ფიშერი, ლარსენი

მომავალ წელს მსოფლიო ჩემპიონმა ტ. პეტროსიანმა უნდა დაიცვას თავისი წოდება. ვინ იქნება მისი მეტოქე, ამას მხოლოდ 15 სექტემბრისათვის შევიტყობთ, როდესაც დასრულდება პრეტენდენტთა ფინალური მატჩი. შეხვედრები მსოფლიო პირველობაზე ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა. ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ მომავალი ბრძოლების წინ შეიქმნა უაღრესად მძაფრი ვითარება. ერთი მხრივ, საჭადრაკო სამყაროში ახლა იმდენი დიდოსტატია, როგორც არასდროს. მეორე მხრივ კი თვითონ მსოფლიო ჩემპიონი ფრიად მარცხიანად თამაშობს.

ამას წინათ იუგოსლაველი ჟურნალისტი დ. ბელიცა ესაუბრა ვ. კორჩნოის, ბ. ლარსენსა და რ. ფიშერს. ვფიქრობთ, ეს საუბარი ჩვენი მკითხველების ინტერესსაც გამოიწვევს.

**ვინ ითამაშებს, თქვენის აზრით, პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში? ვინ იქნება შემდგომი მსოფლიო ჩემპიონი — პეტროსიანი, თუ პრეტენდენტთა ასპარეზობაში გამარჯვებული?**

**ლარსენი.** პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში შევხვდებით მე და ტალი. მწამს, რომ ამ ორთაბრძოლას მე მოვიგებ. მსოფლიოს ჩემპიონიც მე გავხდები.

**კორჩნოი.** მე ასე მინდა ვუპასუხო ლარსენს: თქვენ მხოლოდ მაშინ გახდებით მსოფლიო ჩემპიონი, თუ გზაზე მე არ შეგხვდებით. მაგრამ მე თვით არა ვარ დარწმუნებული, რომ მსოფლიოს ჩემპიონობას მოვიპოვებ. იმიტომ, რომ ადრე უკეთესად ვთამაშობდი და ღირსიც ვიყავი მატჩში შევხვედროდი საჭადრაკო „გვირგვინოსანს".

**ფიშერი.** მე არ მიყვარს ასეთი კითხვები.

**რატომ ხართ ყველანი ასეთი ოპტიმისტები?**

**ფიშერი.** ამას თხოულობს ჭადრაკი.

**კორჩნოი.** გამოჩენილ მოჭადრაკეებს შორის მხოლოდ ერთი პესიმისტი იყო — კარლ შლეხტერი. ყველა დანარჩენი კი — ოპტიმისტი.

**ლარსენი.** ოპტიმიზმი ჩემი საჭადრაკო ძალის შემადგენელი ნაწილია.

**რას ფიქრობთ ერთმანეთზე?**

**ფიშერი.** კორჩნოი შედის საბჭოთა კავშირის უძლიერეს დიდოსტატთა სამეულში; მის შემდეგ, რაც ლარსენმა ბრწყინვალედ ითამაშა ჰავანაში, მაინც არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ იგი უძლიერესია მსოფლიოში (საბჭოთა მოჭადრაკეების ჩაუთვლელად), როგორც ეს ზოგიერთს ჰგონია.

**კორჩნოი.** ფიშერი გამოთვლითი მანქანაა, რომელსაც გამარჯვების პროგრამა აქვს, მაგრამ შემოქმედებითი ელემენტი აკლია. სპორტული თვალსაზრისით იგი ძლიერია, რადგან, როგორც ცნობილია, მანქანას შეცდომები არ მოსდის. ლარსენი ბრწყინვალე მოჭადრაკეა, ყველა დიდოსტატისათვის სახიფათო.

**ლარსენი.** ვფიქრობ, ფიშერს სუსტი ნერვები აქვს. მინდა, რომ იგი უფრო ნორმალურად იქცეოდეს. კორჩნოიზე, როგორც ყოველთვის, ვიტყვი, რომ იგი კარგი მოჭადრაკეა.

**როგორ დამთავრდება თქვენი დუელი, ვთქვათ, ათი პარტიისაგან?**

**ფიშერმა** უარი განაცხადა ეპასუხა ამ კითხვაზე.

**კორჩნოი.** მატჩის მოგება რამდენადმე სტილზეცაა დამოკიდებული. ჩემთვის, მაგალითად, მისაღებია ლარსენის სტილი. მწამს, რომ მას მატჩს მოვუგებდი. ფიშერის თამაშის სტილს კი ვერ ვეგუები.

**ლარსენი.** მწამს. რომ, როგორც ფიშერს, ისე კორჩნოისაც დავამარცხებდი ანგარიშით 5,5:4,5.

**პეტროსიანი ამბობს, რომ დღეს მსოფლიოს ჩემპიონი პირველია თანასწორთა შორის. ეთანხმებით თუ არა ამას?**

**ფიშერი.** მე ვერ დავეთანხმები ასეთ თვალსაზრისს. მსოფლიოში არის უძლიერესი მოჭადრაკე, არიან უფრო სუსტებიც.

**კორჩნოი.** მსოფლიოს პირველობა რომ მორიგეობით მატჩებისაგან და ტურნირებისაგან შედგებოდეს, მაშინ ის, ვინც ორივე შემთხვევაში გაიმარჯვებდა, უდავოდ უძლიერესი იქნებოდა. პეტროსიანი მართალია. და თუ ბობი მას არ ეთანხმება, დაე საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში ითამაშოს და იქ პირველი ადგილი დაიჭიროს.

**ლარსენი.** იმას, რაც პეტროსიანმა თქვა, ტალიც ამბობს. ამ აზრს მეც ვიზიარებ.

**რომელმა საჭადრაკო შეჯიბრებებმა დასტოვეს თქვენზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება?**

**ფიშერი.** ვფიქრობ, რომ დღეისათვის არც ერთი ტურნირი არ შეიძლება იყოს განსაკუთრებით საინტერესო ჩემი მონაწილეობის გარეშე.

**კორჩნოი.** ჭადრაკის ისტორიაში უდიდესად მიმაჩნია 8 დიდოსტატის მატჩ-ტურნირი, რომელიც ჰოლანდიაში მოეწყო 1938 წელს.

**ლარსენი.** ჩემზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა საერთაშორისო ოლიმპიადამ მოსკოვში 1956 წ. მასში მე პირველად ვითამაშე იმაზე უკეთესად, ვიდრე მოველოდი.

**რა გიყვართ ჭადრაკის გარდა?**

**ფიშერი.** მსუბუქი მუსიკა, ჩოგბურთი.

**კორჩნოი.** ძალიან მიყვარს უცხო ენების შესწავლა. ესაა ჩემი გართობა თავისუფალ დროს. მიყვარს მსუბუქი მუსიკაც.

**ლარსენი.** მე მაინტერესებს პოლიტიკა, თუმცა მასში აქტიურ მონაწილეობას არ ვღებულობ. მიყვარს კლასიკური მუსიკა.

**რას გრძნობთ, როდესაც აგებთ?**

**ფიშერი.** ძალიან ვბრაზობ, როდესაც უბრძოლველად ვაგებ. ამასთან იმედით ვუცდი შემდეგ პარტიას.

**კორჩნოი.** მეტისმეტად ვბრაზდები.

**ლარსენი.** ჩემთვის ეს ნორმალური ამბავია. მე ხომ ბევრს ვიგებ და უნდა წავაგო კიდეც. ამიტომ შეიძლება ამასთან შეგუება.

ჩვენ გავეცანით მსოფლიოს 3 უძლიერესი დიდოსტატის შეხედულებებს. საინტერესოა, რომ ბევრ რამეში ისინი ერთმანეთს არ ეთანხმებიან. ორი მათგანი, კორჩნოი და ლარსენი, შეიძლება პეტროსიანის მეტოქეც გახდეს. რაც შეეხება ფიშერს, მას, ყოველ შემთხვევაში, უახლოეს წლებში, არა აქვს ამის შესაძლებლობა...

მაშ ასე, მსოფლიოს ჩემპიონი უცდის თავის მეტოქეს. ვინ იქნება იგი?!

**ბივი ბამრეკელი**



# უჩვეულო ჯარიმა

ოთარის საგუშაგო რუსთაველის პროსპექტისა და ჭავჭავაძის ქუჩის კუთხეში იყო. როცა ვაკისა და საბურთალოს მიმართულებით დაუსრულებელ მდინარედ მიედინებოდნენ მანქანები, ამ დროს იგი მართლაც ყოვლის შემძლე ჯადოქრად გვევლინებოდა. მხოლოდ მას ჰქონდა უფლება შეეჩერებინა სწრაფად მქროლავი ნაკადი.

ოთარი თავისებურ სიხარულს განიცდიდა, როდესაც მისი შუქნიშნის მწვანე ან წითელი ფერი მძლავრ მოძრაობას თვალის დახამხამებაში ადგილზე გააქვავებდა ხოლმე. თუ ვინმე წითელ შუქზე გზაჯვარედინს გადაჰკვეთდა და მოძრაობის წესებს დაარღვევდა, ოთარის გულისწყრომას ვერ აცდებოდა. მხოლოდ ერთი შემთხვევა ახსოვს ისეთი, კინაღამ დამნაშავე ხელიდან რომ წაუვიდა.

ეს მოხდა ნაშუადღევს. ოთარმა ის იყო წითელი შუქი ჩართო, რომ იმავე წამს „მოსკვიჩის" მარკის მანქანამ გზაჯვარედინზე სწრაფად გადაიქროლა. ოთარი ისე გაოცდა, რომ მხოლოდ საჭესთან მჯდომ შუახნის ქალს მოჰკრა თვალი და სულ გადაავიწყდა მანქანის ნომერი ჩაეწერა. უზომოდ აღშფოთდა. მთელი დღის განმავლობაში ფიქრობდა იმ მანდილოსანსა და მის მანქანაზე. ამ ქალს საიდანღაც იცნობდა, სადღაც ენახა.

ერთი კვირის შემდეგ, საგუშაგოდან შინ რომ ბრუნდებოდა, ოთარმა დაინახა, რომ ის „მოსკვიჩი" პატრონს აკრძალულ ადგილას გაეჩერებინა.

ოთარს კვლავ საშინლად ეწყინა. მიუახლოვდა და ნომერი ჩაიწერა. ცოტა ხნის შემდეგ მანქანის მფლობელს მოჰკრა თვალი. წესრიგის დამცველმა იცნო წესრიგის დამრღვევი.

— ეს თქვენი მანქანაა? — ჰკითხა ოთარმა.

ქალმა თავი დაუქნია.

— უნდა დაგაჯარიმოთ. იმ დღეს თქვენ რუსთაველის პროსპექტისა და ჭავჭავაძის ქუჩის გზაჯვარედინზე წითელ შუქზე გადახვედით. დღესაც წესრიგს არღვევთ. აქ მანქანის დაყენება არ შეიძლება.

ქალმა მიმოიხედა, თითქოს უნდოდა დარწმუნებულიყო ნამდვილად დაარღვია თუ არა მოძრაობის წესები და მილიციელს უთხრა:

— კეთილი. რამდენი უნდა გადავიხადო?

ოთარმა მშვიდად მიუგო:

— დილის ოთხ საათამდე ასჯერ დაწერეთ წინადადება: „მე ყურადღება უნდა მივაქციო შუქნიშანს და მანქანა აკრძალულ ადგილას არ გავაჩერო..." თქვენ მნახავთ რუსთაველის პროსპექტისა და ჭავჭავაძის ქუჩის გზაჯვარედინზე.

მერე ხელი მიიდო ქუდთან და წავიდა.

მეორე დღეს, ზუსტად დილის ოთხ საათზე, ოთარის წინ ის ქალი იდგა; მას მართლაც ასჯერ დაეწერა ზემოთ მოყვანილი წინადადება. ქალს ხელში მოსწავლის ლურჯი რვეული ეჭირა.

— მითხარით, გეთაყვა, — ჰკითხა ქალმა, ვიდრე ოთარი მკაცრი გამომეტყველებით რვეულს სინჯავდა, — ასე უცნაურად რატომ დამაჯარიმეთ?

— თქვენ ხომ მასწავლებელი ხართ, ქალბატონო ელენე?

— დიახ, — მიუგო ქალმა გაკვირვებით, — საიდან მიცნობთ?

— თქვენი ყოფილი მოსწავლე გახლავართ, — უთხრა ოთარმა ღიმილით, — ერთხელ თქვენც დამაწერინეთ წინადადება, მაგრამ, მხოლოდ ორმოცდაათჯერ.

— მერე, ცოტათი მაინც არ გამოგადგათ რამეში? — ჰკითხა მასწავლებელმა ოდნავ ირონიულად.

— მგონი გამომადგა... — მიუგო ოთარმა.

— რა წინადადება იყო, რომელიც მაშინ დაგაწერინეთ?

— „მე არასოდეს აღარ ვიცელქებ, კლასში წესრიგს დავიცავ და მასწავლებელს ხელს არ შევუშლი" — აი ეს წინადადება დამაწერინეთ ორმოცდაათჯერ, მასწავლებელო! — მიუგო ოთარმა.

**შოთა ამირანაშვილი**

# ბურთი და მოედანი

## ლიტერატურული პაროდიები

რომან მიმინოშვილი

### კონსტანტინე გამსახურდია

ვინც ჩემი ცხოვრების გზას დაჰკვირვებია, შეამჩნევდა უთუოდ: ცალ ხელში კალამი მჭერია, მეორე ხელით შემართული მქონია სმიტ-ვესონის სისტემის კარაბინი. მაგრამ წესად მქონდა დღენიადაგ: გარეულ ტახს კალამს არ ვესროდი და კრიტიკოსისთვის თოფი არ დამიხლია. ამიტომაც არ ვაცდენდი მიზანს უთუოდ.

ამასწინათ პროფესორმა შემომჩივლა ერთმა: „თურმე ფეხბურთზე არ დაბრძანდებითო, კონსტანტინე ბატონო!“ მე ის ასპარეზი შემირცხვენია, სადაც თერთმეტი ქართველი ოცდათერთმეტს მაინც ვერ მოერევა!

ბაგრატ მეოთხეს რომ ფეხბურთი ეთამაშა, კარგი გარემარბი იქნებოდა უთუოდ. მაგრამ მას ცალ ხელში ორლესული სჭერია და მეორეში სახარების ფოლიანტები. ფეხბურთიო? მე თუ ფეხი რამისთვის გამიკრავს, ჰიალუა მჭლაბნელების მტვერი ყოფილა მხოლოდ.

მე ძალიან არ მომწონს, ჩვენი ახალგაზრდები რომ დიფერენციალებისა და ინტეგრალების მაგივრად ბრაზილიურ სისტემას ელაციცებიან ხოლმე.

მე სასტიკი წინაალმდეგი ვარ ბარბარიზმების, ამიტომ არც თუ ნეოლოგიზმებს მოვრიდებივარ ხოლმე. ბევრ ქართულ სიტყვას ავაცალე ჟამთა რონინის ხავსი და ვალირსე ცარგვალი. მაინც ვერ მიპატიებია ჩვენი კომენტატორებისთვის, რომ მათ მშვენიერი ინგლისური სიტყვა „კორნერი“ შეცვალეს „პირით ხაზად“. ანგლო-საქსები და ძველი ბრიტანელები არა ერთგზის აღნიშნავდნენ: არ არისო საძრახისი კორნერშიო გადატყორცნა ბურთის.

მთელი ევროპა ფეხით შემომივლია, ამერიკაცა, და მექსიკაშიც არ მინახავს მსგავსი კორიდა.



### ერნესტ ჰემინგუეი

— უკან ჩამოდი, — მითხრა მან.

— შენ გითამაშია დუბონოსოვის წინაალმდეგ? — ვკითხე მე.

— მარტო ამხანაგური.

— მარცხნიდან უყვარს გასვლა, ცალფეხაა.

— უკან ჩამოდი.

— ტექნიკა აკლია, მაგრამ სწრაფია.

— ვიცი, — მოიღუშა იგი, — უკან ჩამოდი ხოლმე.

— ნუ გეშინია, მე წინ შევუტევ, — დავამშვიდე მე.

— მოწინაალმდეგის კარებს?

— ხო.

— უკან ჩამოდი, — იმეორებდა იგი, — უკან.

ჩვენ ბუცებიდან ვიცილებდით თოვლიან ტალახს და ხელებით გაყინულ ყურებს ვისრესდით.

— გახსოვს, შარშან თავის ფინტზე რომ წამოეგო ბეგულეცი?

— ბეგულეცი, — თქვა კარლომ, — თხუნელაა!

— თხუნელა? — გაწყრა მსაჯი, — თხუნელა?

— არა, თქვენზე არ მითქვამს, — უთხრა კარლომ.

— უკანასკნელად გაფრთხილებთ, — თქვა მსაჯმა.

მე მარჯვენა გარემარბი ვარ და ჩვენს მარჯვენა მცველს ვიცავ, მარჯვენა მცველი კი მოწინაალმდეგის კარებს უტევს. ასეთია ახლა ფეხბურთი. მე მოწინაალმდეგის გარემარბს ფეხებში ვურტყამ. კარლო მცველია და მას უფლება აქვს წინ წავიდეს. ამიტომ მას არავინ ურტყამს.

— მარცხნიდან არ გაგექცეს, ცალფეხაა, — მასწავლის კარლო.

— კარგი.

## მარცხენამ არ იცის...

— მუდმივ ბილეთს ხომ არ ინებებთ? — შემომთავაზა ტროლეიბუსის კონდუქტორმა და ბილეთების დასტა ამოიღო ჩანთიდან.

— ეს ხომ მოწაფის ბილეთია, — გამეღიმა, — მე კი, როგორც მხედავთ, მოწაფეობის ასაკს დიდი ხანია გადავცილდი.

— შეიძინეთ, თქვენც გამოგადგებათ. სამმართველოში გვითხრეს, რომ ამ ბილეთებით მოზრდილებიც ისარგებლებენო, ძალიან ბევრი დაუბეჭდავთ და ველარ გავასაღეთ — მეუბნებოდა კონდუქტორი.

— კეთილი და პატიოსანი, თუკი ვინმე არ შეგვედავება, — ფული გავუწოდე კონდუქტორს, — მომეცით ერთი ბილეთი.

— რას ბრძანებთ, ვინ შეგედავებათ?! — ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს სახელით ოფიციალურად განმიცხადა კონდუქტორმა.

ბილეთები სხვებმაც შეიძინეს.

ეს მოხდა მიმდინარე წლის 27 თებერვალს, № 2 ტროლეიბუსში.

№ 4 ტროლეიბუსში კი 6 მარტს იმ ბილეთის გამო საკმაოდ ყიამყრალად გამლანძღა კონდუქტორმა.

— დაკარგე სინდის-ნამუსი? გათახსირებულო! ჩაუდია ჯიბეში მოწაფის ბილეთი და... ფუი, უსვინდისო!

კონდუქტორი ხალხს მუჯლუგუნებით მიარღვევდა და ჩემი მისამართით კიდევ ილანძღებოდა.

მივმართე ტროლეიბუსის მძღოლს, ვაჩვენე ჩემი მუდმივი ბილეთი.

— რა გვარია თქვენი კონდუქტორი? — ვკითხე მძღოლს.

— რას გაიგებ მაგათ გვარს. დღეს ერთია, ხვალ მეორე.

— ამ ბილეთის თაობაზე რას მეტყვით? იქნებ მართლა დამნაშავე ვარ! თქვენმა კონდუქტორმა გამლანძღა.

— თქვენ მაგას ყურს ნუ უგდებთ. მაგან ეგრე იცის. მეც ბევრი ვინმე მლანძღავს.

კარგი ნუგეშია, მე და ჩემმა ღმერთმა! მიდიხარ სამსახურში, დილით მხიარულ გუნებაზე გამოსულხარ შინიდან, გსურს მთელი დღე მშვიდად, ნაყოფიერად გაატარო და ამ დროს...

— იქნებ თქვენი მანქანის ნომერი მითხრათ.

— № 455.

მოწამლული ჩამოველ ტროლეიბუსიდან. სულ რაღაც ნახევარი საათის შემდეგ ისევ ტროლეიბუსში მომიხდა ასვლა. ისევ № 4 (მანქანის № 454). შევხედე კონდუქტორს. ფული გავუწოდო და ვიყიდო ბილეთი, თუ მუდმივი ბილეთი ვუჩვენო? — გავივლე გუნებაში, — მოდი, რაც იქნება იქნება. ვცდი ბედს და თვიურ ბილეთს ვუჩვენებ, იქნებ სამმართველოს მუშაკებმა ეს კონდუქტორი მაინც გააფრთხილეს...

— ჰი? — ჩაიცინა ირონიულად კონდუქტორმა, როცა ჩემი ბილეთი დაინახა. — ამხელა კაცი და ვის ბილეთს ატარებს!

კონდუქტორის გვერდით ქალი იდგა. იგი კონდუქტორს რაღაცას ეტუტუნებოდა. მანაც ქვეშქვეშ დამცინავად შემავლო თვალი. ავიწურე. ცეცხლი მომედო. მე ახსნა-განმარტება დავუწყე კონდუქტორს. მან არც აცია, არც აცხელა, მითხრა:

— დიახ, ჩვენი კონდუქტორები ყიდიდნენ ასეთ ბილეთებს. უბრძანეს გაყიდეთ, როგორც გინდათო. თუ არა და თქვენს ფულს დადებთო. ჰოდა, ისინიც ყიდიდნენ, აბა რა ექნათ?

ასე ხდება, როცა მარცხენამ არ იცის რას აკეთებს მარჯვენა. მაგრამ ჩვენ, ჩვენ რაღა ვქნათ, ასე ტყუილ-უბრალოდ გალანძღულებმა? ვიცი, რომ ჩემს მდგომარეობაში სხვაც ჩავარდა იმ უტიფარი კონდუქტორების გამო. თანაგიგრძნობთ, მეგობრებო, აპრილისა და მაისის მუდმივ ბილეთს ნუღარ ვიყიდით და ლანძღვა-გინებასაც გადავურჩებით!

თ. გაგოშიძე

## ყოფის წვრილ-წვრილები



# მიდიოდა ჩვენი ავტობუსი

მოთხრობა

იოსებ ჯაბადარი

პირდაპირ ავტოსადგურთან მიმაგდო ტაქსმა, შოფერს ფული გადავუხადე და ჩემი ავტობუსი მოვძებნე.

თავისუფალი სკამები ჯერ ბლომად იყო, გავითვალისწინე გზაში მზე საით იქნებოდა, იმის მიხედვით შევარჩიე ადგილი და ფანჯარასთან დავჯექი. ცოტა ხნის მერე მანქანაც დაიძრა. მე ახალ გაზეთს ვათვალიერებდი და ისე გავერთე კითხვით, არც შემინიშნავს ვინ როდის შემოგვემატა. ერთი ეს იყო, ვიგრძენი, ჩემს გარდა ვიღაც იცქირებოდა ჩემსავე გაზეთში და თავი ავწიე. ხანდომიანი შესახედაობის ტანკენარი ქალი მომჯდომოდა გვერდით, გაზეთს ჩასჩერებოდა. შევკრთი, შევიშმუშნე მისი დანახვისას და უფრო მაგრად მივეკარი მანქანის კედელს, არ შევაწუხო-მეთქი. ხანდახან გადავხედავდი ხოლმე. ის კი კვლავ იმ უხილავ წერტილს მისჩერებოდა, ვერ ამჩნევდა, რომ ხელი ჩამომივარდა და გაზეთი მუხლებზე გადამეფინა.

...და აი, ერთ წერტილს მიშტერებული მისი თვალები თანდათან მიილულა, წინა სკამის საზურგეს ჩაბღაუჭებული ხელი მოდუნდა და ქალმა ქანაობა დაიწყო, კინაღამ წინ წავარდა. ერთი წამით გაახილა თვალები, თავით ფეხთამდე ჩამათვალიერა და კვლავ მილულა თვალი; მილულა უკვე ჩემს მკერდზე მოყრდნობილმა, თითქოს ვინმე შინაური ვეჯექი გვერდით, თითქოს ვინმე ახლობელს მინდობოდა იგი ალალათ და მეც, აუტანელი სიცხის მიუხედავად, ვიჯექი გაუნძრევლად, უგრძნობელი მანეკენივით. ჩემს გადასწვრივ მჯდომი ცოლ-ქმარი ეჭვის თვალით გვიყურებდნენ, გვითვალთვალებდნენ სხვებიც.

— იმ, ქაა, ტატეს ცოლივით არ მიიძინა?! — უკანა რიგიდან ისროლა ვიღაცამ და ხალხი გააცინა.

ვიჯექ მონუსხულივით და ოფლში ვცურავდი, მას კი ეძინა მშვიდად, ხანდახან შეათამაშებდა მარცხენა წარბს.

ბოლოს იმ კაცის ცოლმა ველარ მოითმინა, ქალურმა ცნობისმოყვარეობამ წასძლია და მკითხა:

— ძალიან დაღლილია თქვენი... — სიტყვა გაუწყდა, — ნათესავი... — ძლივს დაამთავრა იმ კილოთი, რომ შეკითხვას უფრო ჰგავდა — რა არის ეგ ქალი თქვენიო.

მე ჯერ ქალს დავხედე. რა მშვიდი, როგორი სათნო იყო მისი ფერმკრთალი სახე.

— არა, წარმოიდგინეთ, პირველად ვხედავ...

ის ქალიც თითქოს ამას ელოდა, უცებ აფეთქდა.

— ზოგი როგორ დაჰკარგავს ხოლმე მორიდებას?! — დაუნდობლად გაკიცხა ქალმა ჩემი მეზობლის სითამამე.

— აბა, რას ამბობ, ქალო, — ფიცხლად წამოდგა მეორე სკამიდან თალხებიანი დედაკაცი, — განა ყველა ქალზე ითქმის აუგი! მე ვიცნობ, ნიკას რძალია, აი, მყვირალა ნიკასი. მაგ ქალის ქმარი მოსკოვში გაგზავნეს ამ წინებზე, რაღაც მევენახეების შეკრებაზე. მაგ საწყალს კი, ალბათ, ოთხი-ხუთი ღამე იქნება, თვალი არ მოუხუჭავს. ქალაქს მიდენილიყო, გზაში გოგო გახდომოდა ავათ, ნაწლავები გადაეხლართათ, სასწრაფოდ გაუკეთებიათ ოპერაცია. შინ კიდევა ორი ვაჟი ჰყავს და დედამთილი... — დედაკაცი დაჯდა, ენას კი არ აყენებდა,— ვიცნობ, როგორ არ ვიცნობ, ჩემი მეზობელი სოფლიდან არიან, — ეგ ისეთი ქალი არ არი რომა...— დედაკაცი ნელ-ნელა დამშვიდდა.

გაზეთი ხელიდან გამეშვა და ძირს ჩაცურდა. ავტობუსს თვალი მოვავლე, ყველა ჩემსკენ იყურებოდა. არ მინდოდა, დამეხედა მისთვის, არ მინდოდა, ოდნავ მაინც შევრხეულიყავ, რომ არ გამეღვიძებინა სამი შვილის დედა, მხოლოდ თანამგზავრებს ვათვალიერებდი.

თანდათან გაიფანტა მგზავრთა ყურადღება. ოღონდ ყველა ჩუმად იყო, ან ჩურჩულით ლაპარაკობდა. ისევ მძინარეს დავხედე, თავი ჩემი მკერდის მარცხენა მხარეს მიედო და გამოცდილი თერაპევტივით უსმენდა ჩემს გულისცემას, მარჯვენა ხელი უძრავად ჩამოედო, ჩემი მუხლის ზემოთ დაეყრდნო იდაყვი, სახეზე მელამუნებოდა მისი წაბლისფერი თმები. ისე შევებორკე თავისდაუნებურად, რომ ველარ ვინძრეოდი.

ის თალხებიანი დედაკაცი ჩურჩულით რაღაცას უამბობდა ახლომყოფებს.

დავცქეროდი ქალის სათნო, უძილობით მოქანცულ სახეს, ლაწვისთავებზე რომ ალმური მოსდებოდა, მის გრძელ წამწამებს, მოშვილდულ წარბებს, წაბლისფერ თმას და ვფიქრობდი: „ვინ იცის აი ახე, რამდენი უწვალნია დედაჩემს ჩემი გულისთვის“...

უცებ შევქანდით. ავტობუსი გაჩერდა.

წყლის დასალევად ჩავიდნენ მგზავრები.

მეც მომეძალა წყურვილი. თავისუფალი მარჯვენა ხელით ცხვირსახოცი ამოვიღე და სახეზე ოფლი შევიმშრალე. ის შეიშმუშნა, ერთხელ კიდევ გავახსენდით მგზავრებს მე და ის. წინა სკამზე მჯდომმა ქალიშვილმა ბოთლით ამოიტანა წყალი, ლითონის საკეცი სასმისი გახსნა და გამომიწოდა:

— მიირთვით, მასწავლებელო!

მიხვდა, რომ განძრევა არ შემეძლო. მე კი ერთხანს მეუხერხულა, შევყოყმანდი, მერე სასმისი ჩამოვართვი, მადლობა გადავუხადე და დავლიე. დავასხმევინე მეორედ და მესამედაც. ძლივს მოვიკალი წყურვილი. ჩემს უკან მჯდომმა ახალგაზრდამ გახსნილი კოლოფით პაპიროსი მომაწოდა:

— მოსწიეთ, დავით მასწავლებელო!

სიგარეტის კოლოფი მარცხენა ჯიბეში მედო, მაგრამ...

პაპიროსი ჩამოვართვი, ჯერ პირთანაც არ მიმეტანა, რომ იმ გამკილავი ქალის ქმარი წამოდგა და ასანთი გაჰკრა.

პაპიროსი მოვქაჩე, ღია ფანჯარაში გავაბოლე და მშვიდად ამოვისუნთქე, თითქოს არც მცხელოდა, არც მწყუროდა, არც რამე მაღონებდა. მეგონა, ჩემი ნანა იყო ავად, მან ხომ ამას წინათ გადაიტანა ფილტვების ანთება, და ის ესვენა ჩემს მკერდზე. ის მიმყავდა ექიმთან, რომ ავადმყოფობას შევბრძოლებოდით და პატარა სიცოცხლე გადაგვერჩინა.

...მიდიოდა ჩვენი ავტობუსი.

მდუმარედ დავცქეროდი მძინარეს, ფშვინავდა ნელა, რიტმულად აუდ-ჩაუდიოდა მკერდი, მარცხენა ხელის თითებს ხშირად ატოკებდა, თითქოს რაღაცას მისინჯავდა გულთან. იღიმებოდა, ალბათ უხაროდა რაღაც. იქნებ თავის გოგონას ჰხედავდა ჯანსაღსა და ბედნიერს?!

...მიდიოდა ჩვენი ავტობუსი. ხან გაჩერდებოდა, ზოგნი ჩადიოდნენ, ზოგნი ამოდიოდნენ, ამოსულებს მაშინვე აფრთხილებდა ის თალხებიანი დედაკაცი, არ გაალვიძოთო, და ჩურჩულით, ვინ იცის მერამდენედ ჰყვებოდა მის ამბავს.

...მიდიოდა ჩვენი ავტობუსი.

ერთხელ კიდევ დავდექით წყაროსთან.

ერთხელ კიდევ დავლიე სამი პატარა ჰიქა წყალი.

ერთხელ კიდევ მომაწოდა პაპიროსი, მხოლოდ მეორე ახალგაზრდამ და... ერთხელ კიდევ ამინთო ასანთი იმ გამკილავი ქალის ქმარმა.

...მიდიოდა ჩვენი ავტობუსი.

მიდიოდა...

მიდიოდა...

— აგერ იმ ხიდს რომ გადახვალ, ერთი გზა ჩადის, იქ გააჩერე, შოფერ! — ხმამაღლა შესძახა თალხებიანმა დედაკაცმა და წამოდგა. წამოდგა და ჩვენსკენ წამოვიდა, თან სკამების საზურგეებს ეჭიდებოდა, ხვნეშით მოდიოდა.

მოგვიახლოვდა, ქალს მარცხენა მაჯაში ხელი წაავლო და შეანჯღრია.

— გაიღვიძე, გოგო, გაიღვიძე, შვილო! ეხლა შენი ჩამოსვლის დროა.

ქალი შეიშმუშნა.

...ნელა გაახილა თვალები და შემომაშუქა. დავცქეროდი ისეთი ღიმილით, როგორც ახლად გაღვიძებულ ბავშვს, როცა დასცქერი და მოელი, როდის ამოიღებს ხმას. კვლავ მილულა თვალი.

— გაიღვიძე, გოგო! — შეუძახა დედაკაცმა, — გაიღვიძე, უნდა ჩამოხვიდე!

...თვალები გაახილა და შემომხედა.

შემომხედა და მისი სახიდან უცებ გაქრა ღიმილი.

გაქრა და გაკვირვება გამოეხატა, ალმურმა გადაურბინა სახეზე.

უცებ წამოდგა სკამიდან.

ერთი წუთით მოვავლე თვალი ავტობუსს; ყველას სახეზე ღიმილი ეფინა, მეც ვიღიმებოდი. მხოლოდ ის ქალი და დედაკაცი იმზირებოდნენ კუშტად.

— ჩადი, შვილო, ჩადი, — გაიღიმა დედაკაცმა და მხარზე ხელი მოუთათუნა, — ჩადი და ბაბალეს უთხარ, ჰროლაანთ სალომე შემხვდა-თქო და მომიკითხე.

ქალი გამოერკვა, გაკვირვება გაქრა და დაუბრუნდა ღიმილი.

— მითხარით მაინც ვინა ბრძანდებით?

— ჩვენი მასწავლებელია, დათიკო ქვლივიძე,— გამცა იმ ქალიშვილმა, წყალი რომ მომაწოდა. მე თავის დაქნევით დავუდასტურე.

ქალს აღარაფერი უთქვამს.

სკამთან მიდგმული ჩანთა აიღო და კარებისაკენ გაემართა ალმურმოდებული და თავდახრილი. ჩასვლისას კიდევ ერთხელ გადმომხედა მადლიერი თვალებით. შოფერმა წარბებქვემოდან ცერად გახედა გზაზე მიმავალს და თავით ფეხთამდე ჩაათვალიერა. დანარჩენების ღიმილიანი მზერა მიჰყვა ჩასახვევამდე. ქალი თვალს მიეფარა.

ავტობუსი დაიძრა.

მე ძირს ჩამოვარდნილ გაზეთს დავწვდი, ჩემი ჯიბიდან სიგარეტი ამოვიღე, მოვუკიდე და კითხვა დავიწყე.

...მიდიოდა ჩვენი ავტობუსი.

მიდიოდა...

ხანდახან გაჩერდებოდა; ჩამსვლელები ჩადიოდნენ და ახალი მგზავრები ამოდიოდნენ. ჩასულებს თან მიჰყვებოდათ თავიანთი წუხილი და საფიქრალი, ამოსულებს თან მოსდევდათ თავიანთი ფიქრი, ოცნება და სიხარული.

# მაჰმუდი და აიაზი

ჯალალ ედ-დინ რუმი



ერთხელ თურმე მაჰმუდ ღაზნელს.
ხორასანის მორჭმულ მეფეს
უჭდა ნაზირ-ვეზირები,
გაეშალა სუფრა სეფე.
უცბად მეფემ მარგალიტი
ამოიღო მსხვილზე მსხვილი,
თავის ვეზირს ხელში მისცა.
მიანათა თეთრად სხივი.
უთხრა: — ჩემი ვეზირი ხარ.
შემიფასე, რა ღირს ესო?
— ას საპალნე ოქროდ გავა
რა დღეს იტყვი, იმავ დღესო.
— აბა მიდი, დაამტვრიე,
ვითომ კენჭი დაგემტვრიოს!
ვეზირს ფერი წაუვიდა:
— რა შეგცოდე აგეთიო!
ეს ობოლი მარგალიტი,
ფასით ძლივს რომ დავაფასე,
როგორ უნდა დაგიმტვრიო,
როგორ უნდა გიმტრო ასე!
მეფემ ვეზირს დაუმადლა
და უბოძა საჩუქარი,
გამოართვა მარგალიტი
ბნელი ღამის მაშუქარი.
კვლავ გააბეს მასლაათი,
ერთურთს თასით ღვინო ასვეს,
ილხინეს და იბაასეს
და გაერთო სუფრა ასე.
შემდეგ იგივ მარგალიტი
მეფემ ეჯიბს მისცა ხელში:
— თქვი მართალი, რა ღირს ეგა,
მიპასუხე, ნუ კი ხვნეში!
— ნახევარი სახელმწიფო
ეღირება, თუ არ მეტი.
— აბა მიდი, დაამტვრიე,
ქვა აიღე ანდა კეტი!
— ნუ, მეფეო, გევედრები,
ნუ მიბრძანებ ასეთ საქმეს.
ან ეს ცოდვა არ ამკიდო,
ან მომკალი ახლავ აქვე.
მარგალიტის დასამტვრევად
ვით აღვმართო, მეფევ, ხელი.
ხელი არ ვარ, თუმცა იქნებ
გეჩვენები ჭკუათხელი.
მეფემ მასაც დაუმადლა
და ხალათი მისცა მასაც,
ჯამაგირი გაუდიდა,
სამსახური დაუფასა.
მარგალიტი ამის შემდეგ
ერთ ამირას გაუწოდა
და უბრძანა, ეპასუხა,
იმის ფასზე რა უწყოდა.
ამირამაც იმ მარგალიტს
დიდი დასდო მეტად ფასი,
დამტვრევაზე უარი თქვა
და გაგრძელდა საქმე ასე.
სათითაოდ მიჰყვა მეფე
და სუყველამ ასე უთხრა,

მეფემ ყველას დაუმადლა,
განიკითხა ყველა უხვად.
მარგალიტი ხელით ხელში
აგოგმანეს აი, ასე
მანამ, სანამ ბოლოს ჯერი
არ მივიდა აიაზზე.
მარგალიტი მან აიაზს
გაუწოდა, თავის მონას:
— თავად ხედავ, ამ მარგალიტს
ფასი დადეს ქვეყნის წონა,
შენ რას იტყვი, მეგობარო,
რა ღირს იგი შენი ფიქრით?
— რაც უნდა ვთქვა, მასზე მეტი
ეღირება, მეფევ, იგი.
— აბა მიდი და ახლავე
დაამტვრიე აქვე, ჩქარა!
... არ მოტყუვდა აიაზი,
არ დაიბნა, არა, არა.
ხალათმა და საბოძვარმა
ვერ აუბა თვალი მონას,
მეფის ნათქვამს არ გარდახდა,
თავის მეფეს გაუგონა,
აიღო და მარგალიტი,
ვერ მიუსწრო ვერვინ, ისე
მეფისა და ხალხის თვალწინ
დაამტვრია იქვე მყისვე.
ამისთანა მძიმე საქმეს
განა მშვიდად ემზირება.
ჩოჩქოლი და მიხლა-მოხლა
შექმნეს ნაზირ-ვეზირებმა:
— ეს რა ქნაო ამ ვერაგმა,
მეფე როგორ აზარალა,
თვისი მეფის ერთგულების
არა ესმის მას არა-რა!



ნაზირ-ვეზირთ აიაზმა
შეუძახა: — ფუჭად ბრაზობთ,
განა მეფის ბრძანებაზე
მარგალიტი უფრო ფასობს!
ეს რას შვრებით, დაუფიქრდით,
მიცემიხართ რა ვნებასა:
თქვენ მარგალიტს არჩევთ, ბრიყვნო,
მეფის თქვენის ბრძანებასა!
გზას ამცდარხართ, უბედურნო,
აჰყოლიხართ ავსულს ვერაგს,

თქვენ მარგალიტს ხედავთ მარტო,
ხოლო მეფეს თქვენსას — ვერა.
მე თვალს მეფეს არ ვაშორებ,
აღსავსე ვარ მეფით ერთობ,
როგორ, განა წარმართი ვარ,
ქვის ნატეხი გავაღმერთო!
ეს იგავი დაისწავლეთ,
ეს გახსოვდეთ მაგალითი:
უკეთურნო, მხოლოდ მეფის
ბრძანებაა მარგალიტი!
დიდებულებს ეს სიმართლე,
როგორც ციდან აიაზმა,
როცა ასე დააფრქვია
გულით წმინდა აიაზმა,
მრისხანება გაუნელდათ,
დაცხრა ყალბი ალტაცება,
ძირს ჩაქინდრეს მძიმედ თავი
სახელმწიფო თავკაცებმა.
მაშინათვე შაჰ-მაჰმუდმა
თავის ერთგულ ჯალათს უხმო:
— წაიყვანე ეს წუპაკნი
და თავები დასჭერ უხმოდ!
ეჭვი არ მაქვს, არ ვუყვარვართ,
მატყუებენ კბილის კრეჭით,
ჩემი ნების შესრულებას
ურჩევნიათ თეთრი კენჭი.
როცა მეფემ მათ სიცოცხლე
ასე მოკლედ დაუვადა,
წამოვარდა აიაზი
და ფეხებში დაუვარდა,
ელმერთა და ეთაყვანა:
— ჰე მეფეო მეფეთაო,
ვერ გადარჩა ვერვინ, ვისაც
შენი რისხვა ეფეთაო.
ხოლო ვისაც ფრთათა შენთა
ჩერო ფარავს, იგი ხარობს.
შენა ხარო ბედის წყარო,
შვების სარო შენა ხარო.
ახლა ამათ მხოლოდ შენი
იმედი ლა აბადიათ.
აპატიე, გევედრები!
...და მეფემაც აპატია.

სპარსულიდან თარგმნა მაგალი თოდუამ



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა







ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი მეხანძრეები

მათზე იშვიათად წერენ, იშვიათად თუ გაიხსენებენ ჟურნალები და გაზეთები მათს კეთილ საქმეებს, უძილო ღამეებს, დაძაბულ შრომასა და ბრძოლას.

დიდი სიმამაცეა აქ საჭირო, გამბედაობა, თავგანწირულება, მოხერხება და ოსტატობა.

სწორედ ამით გამოირჩევიან ჩვენი მეხანძრეები.

აი ერთი მათგანი, ქალაქის ოპერატიული მორიგე ოთარ ჭაბუკიანი (სურათი 1). ბევრჯერ შებრძოლებია იგი ცეცხლის საშინელ სტიქიას და ამ ბრძოლიდან ყოველთვის გამარჯვებული გამოსულა.

ოთარიც და მისი უმცროსი ძმა ავთანდილიც დაჯილდოებულნი არიან მამაცი მეხანძრის მედლებით.

მამაც მეხანძრეთა შორის ხშირად ახსენებენ ვ. კოზინს (სურათი 2); ეს იყო სულ ახლო ხნის წინათ. კვამლისაგან გაგუდული ადამიანი უკვე გონებას ჰკარგავდა, როცა ცეცხლმოდებულ ოთახში შეიჭრა ორი მეხანძრე — ვ. კოზინი და ვ. წიკლაური. ისინი ამჯერადაც გაუმკლავდნენ სტიქიას — იხსნეს ადამიანი.

. როგორც ყველა სხვა დარგში, არც აქ უჩერდებათ შინ გული პენსიაზე გასულ ადამიანებს. როცა პენსიონერმა მეხანძრემ შ. კუჭავამ (სურათი 3) თავზარდაცემული ადამიანის ხმები გაიგონა, იგი ყველაზე ადრე მივიდა შემთხვევის ადგილზე და ცეცხლმოდებულ ოთახში შეიჭრა. გონებადაკარგული ქალის გადარჩენის დროს შ. კუჭავას ცეცხლი მოედო ტანსაცმელზე, მამაცი მეხანძრე მაინც არ შედრკა, მან ბოლომდე მიიყვანა თავისი საქმე.

ჩვენი მეხანძრეები მუდამ მზად არიან; გაისმება თუ არა განგაშის ხმა, ისინი უმალ მიაშურებენ თავიანთ მანქანებს (სურათი 4).

მომდევნო ფოტოებზე აღბეჭდილია ხანძართან ბრძოლის ეპიზოდები (სურათები 5, 6).

საბჭოთა სახანძრო დაცვა შეიქმნა სოციალისტური რევოლუციის პირველსავე დღეებში, დიდი ლენინის მითითებით.



საბჭოთა საქართველოში ლენინური დეკრეტი ძალაში შევიდა 1921 წლის 31 აგვისტოს, როდესაც დაარსდა სახანძრო დაცვის რესპუბლიკური განყოფილება.

თანამედროვე სახანძრო დაცვა — ეს არის ორგანიზაციული და ტექნიკური საშუალებების ჩამოყალიბებული სისტემა, რომელიც მიმართულია იქითკენ, რომ თავიდან ავიცილოთ ხანძრები, და თუ მოხდება, უმნიშვნელო იყოს მათგან მოყენებული ზარალი. პროფილაქტიკა, ხანძრის თავიდან აცილება, ავარიებისა და აფეთქებების არიდება — სახანძრო დაცვის მუშაობის უპირველესი ამოცანაა.

ახალმა ტექნიკამ, რომელიც მეხანძრეების დასახმარებლად მოვიდა, შეუმსუბუქა მათ მძიმე და საშიში მუშაობა, გახდა მათი ერთგული და შეუცვლელი მეგობარი. მუდმივ ვახტზე ახლა საიმედოდ დგანან ავტომატები — სახანძრო რაზმის უტყუარი თვალი და ყური. მათი დახმარებით დაუყოვნებლივ შეიძლება დავადგინოთ ხანძრის შემთხვევა, მაშინვე შეიძლება ავამოქმედოთ ხანძარჩასაქრობი უაღრესად ეფექტური საშუალებები.

ასე მოვიდა სახანძრო დაცვის დასახმარებლად მეცნიერება და ტექნიკა, რომელთა მიღწევებმა საშუალება მოგვცა ფართო მასშტაბით გაგვეხორციელებინა ხანძრის თავიდან აცილებისა და მისი ჩაქრობის ავტომატიზაცია.

სახანძრო კავშირის ცენტრალურ პუნქტში თავს იყრის ყველა ცნობა ხანძრისა და სხვა სტიქიური უბედურების შესახებ; როგორც კი ცნობილი ხდება მისამართი, კავშირის პუნქტის დისპეტჩერი იძლევა განგაშის ნიშანს იმ ნაწილში, რომლის რაიონში მოხდა ხანძარი.

ცნობის გადაცემა ჯერ არ დამთავრებულა, სახანძრო მანქანები კი უკვე გადიან ნაწილიდან. განგაშის მიცემიდან — გამოსვლამდე, მხოლოდ რამდენიმე წამია საჭირო. დანარჩენ საჭირო ცნობებს მეხანძრეები გზაში იგებენ რადიოს მეოხებით. მთელი





საუბარი ავტომატურად იწერება მაგნიტოფონზე გამოძახებისა და გასვლის დროის ზუსტი აღნუსხვით.

სტაციონარული დანადგარები, კავშირის სისტემა, აგრეთვე სახანძრო მანქანებზე დადგმული რადიო, მეხანძრეებს საშუალებას აძლევს იმოქმედონ ოპერატიულად. საჭიროების შემთხვევაში დაუყოვნებლივ გამოიძახონ დამატებით ძალები და სხვადასხვა ადგილზე გადაისროლონ ისინი.

ბრძოლა ხანძრის თავიდან ასაცილებლად იწყება ამა თუ იმ ნაგებობის პროექტის შედგენიდან, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს ხანძარსაწინააღმდეგო ყველა დეტალი. ცოტა როდი იშრომეს სახანძრო დაცვის სპეციალისტებმა, რომ სასტუმრო „ივერიის", პანორამული კინოთეატრის, რუსთავის ხისგადამუშავების, კურორტ „ბიჭვინთას" კომპლექსისა და სხვა უმნიშვნელოვანესი ობიექტების დაპროექტება და აშენება სახანძრო-ტექნიკური ნორმების მოთხოვნილების სრული დაცვით განხორციელებულიყო.

ჩვენი სახანძრო დაცვის ისტორია მდიდარია ცეცხლის ფრონტის ადამიანების თავგანწირვით, მათი მოხერხებულობით, მუდამ მზადყოფნით, რათა გადაარჩინონ ჩვენი ადამიანების სიცოცხლე და სახალხო დოვლათი.

**ამირან მამულაშვილი**

ფოტო თ. არჩვაძისა

**ფ. ი. ტიუტჩევი**

## გ ზ ა შ ი

ნათელგამქრალი თავზე დანათის
ზეცის კამარა მიწას დანაცრულს
და ღრმად ჩაძირულს ძილში სადათის
სძინავს ბუნებას დაღლილს, დაქანცულს.
მხოლოდ აქა-იქ, დაცალებული
ეხმიანება ეწერი არყებს
და, ვით ოცნება გაცხარებული,
სამარისებურ სიჩუმეს არღვევს.

* * *

ის დღე ცხოვრების ნათელ განთიადს
ჰგავდა და სულში ახლაც ანთია:
უჩუმრად იდგა ქალი ჩემს გვერდით
და ტალღასავით უთრთოდა მკერდი,
ეწვოდა ლოყა დილის სადარი,
მეუფეს მზერის შეუსადარის...
უცბად, მკერდიდან, ლამაზთვალებას,
ზღვა სიყვარულის აღიარება
აღმოხდა... იქცა სხივად სულმნათის
და განადიდა ზეცის გუმბათი.

* * *

მიიძინა ბგერამ ლაღმა
და ჩრდილების უკუნმა
სიცოცხლის ხმა გარდასახა
ზეშორეულ გუგუნად...
ფარვანას ერთა აშრიალდა
ბნელი ღამის ჰაერში,
ყველაფერი ჩემშია და
მე ვარ სულ ყველაფერში!
ბინდო წყნარო და მთვლემარევ,
სურნელების მთოველო,
მოდი სულში ჩამეღვარე
და დაფარე ყოველი.
გაოგნებას ნუ აკმარებ
გრძნობას, ხვედრის მადლიერს!
მაცამტვერე და მთვლემარე
სამყაროსთან აღმრიე!

თარგმნა **ვაჟა ჟუზუსიძემ**



## ნინო ქუთათელაძე-მაჭავარიანის ხსოვნას

როცა ჟურნალის ეს ნომერი ავაწყეთ, კორექტურა ნინო მაჭავარიანმა წაიკითხა. ჟურნალი მზად იყო დასაბეჭდად და ნინოს სტამბაში უკანასკნელადღა უნდა გადაევლო თვალი, ერთხელ კიდევ გულდასმით შეემოწმებინა წაკითხული. მაგრამ ნინო იმ დღეს აღარ მოსულა სტამბაში, არ მოვიდა რედაქციაშიც. სამაგიეროდ, სამწუხარო ცნობა მოვიდა შინიდან: გარდაიცვალაო.

მოულოდნელი იყო მისი სიკვდილი. რედაქციაში ყველას უყვარდა, როგორც უწყინარი, თავმდაბალი, ოჯახისა და ჩვენი სარედაქციო კოლექტივის მოსიყვარულე, მოამაგე.

მის გამოსამშვიდობებლად ეს ორიოდე სტრიქონი დავწერეთ და ნინოს მიერ უკანასკნელად წაკითხულ ჟურნალშივე მოვუძებნეთ ადგილი.

ჩვიდმეტი წელი უმწიკვლოდ ემსახურებოდა იგი ჟურნალ „დროშას", ჩვიდმეტი წელი არც თუ მცირე დროა; ნინო მაჭავარიანს ამ ცოტა ხანში უსრულდებოდა საპენსიო ასაკი, მაგრამ ის ყოველთვის ახალგაზრდული ენერგიით, სიყვარულით მოდიოდა რედაქციაში, დიდის გულისყურით ჩაჰკირკიტებდა თვითეულ სტრიქონს, თვითეულ სიტყვას.

მის შრომას ჩვენ ვხედავდით, ვინც მის გარშემო ვტრიალებდით, მკითხველთა მრავალათასიან კოლექტივისათვის კი უჩინარი იყო. მაგრამ გვწამს, რომ ისინი კარგად გრძნობდნენ კორექტორის, ჩვენი უანგარო მუშაკის მახვილ თვალს.

გულისტკივილით ვეთხოვებით ჩვენს ძვირფას, დაუვიწყარ მეგობარს, თავმდაბალსა და კეთილ ქართველ ქალს, რომელმაც მთელი სიცოცხლე ჩვენი პრესის საქმეს შეალია.

ჟურნალ „დროშის" რედაქცია

# მეცენატი

შალვა დადიანისაგან ხშირად გამიგონია: ძველ ქართულ თეატრს მეცენატები რომ არ ჰყოლოდა, ვერ იარსებებდაო. ერთი ასეთი მეცენატი იყო მამანტი კანდელაკი.

მამანტი კანდელაკი პროვიზორი იყო. ცხოვრობდა აბაშაში და იქვე ჰქონდა აფთიაქი. მდიდარი ბიბლიოთეკა შეეგროვებინა. ამ ბიბლიოთეკაში ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიასაც კი ნახავდით.

„ვეფხისტყაოსნის" ქართველიშვილისეული გამოცემა დარბაზში, მაგიდაზე იდო და სტუმარს პირველად ეს წიგნი ხვდებოდა თვალში. სტუმარი კი გამოულეველი იყო ამ ოჯახში.

მამანტიმ თავის ხარჯზე დაიქირავა ერთი დარაბა და სამკითხველო გახსნა. რაც მაშინ ჟურნალ-გაზეთები გამოდიოდა საქართველოში, ყველა თავისი ხარჯით გამოუწერა სამკითხველოს. დიდძალი წიგნებიც შესწირა. მეფის რეჟიმის მძიმე პირობებში ასეთ მოღვაწეობას დიდი საგანმანათლებლო მნიშვნელობა ჰქონდა.

ხალხში რომ კოოპერატივის იდეები გაევრცელებინა, მამანტიმ ცნობილი კოოპერატორი იასონ გაბილაია მოიწვია, ლექციები წააკითხვინა და ასე გამოაცხადა:

— ვინც კოოპერატივში ჩაეწერება, წამალს ათი პროცენტის დაკლებით მივცემო.

მამანტის უყვარდა თეატრი და დიდ დახმარებას უწევდა რეჟისორებსა და მსახიობებს. შალვა დადიანისაგან გამიგონია: სამეგრელოში რომ ჩავდიოდით მე ან ვალერიან გუნია, მამანტი კანდელაკის იმედით ჩავდიოდითო. მამანტი გასწევდა აგიტაციას მოსახლეობაში და მაყურებელს დაგვასწრებდაო.

ერთხელ, თურმე, აი, რა მოხდა: შალვა დადიანის დასი ჩავიდა აბაშაში, გამოაკრეს აფიშა, ჩაატარეს რეპეტიცია. რეპეტიციის შემდეგ სალაროს რომ მიაკითხეს, სულ ათიოდე ბილეთი დახვდათ გაყიდული. დაღონდნენ, მაგრამ სპექტაკლი არ მოხსნეს. სალამოს ფარდის ახდის წინ თეატრი უცბად გაივსო. გაეხარდათ მსახიობებს და სპექტაკლი ზარ-ზეიმით გაითამაშეს... თურმე რა მომხდარა? მამანტის გაუგია თეატრის გასაჭირი, მთლიანად უყიდია ბილეთები და ახალგაზრდობის მეშვეობით იმ სალამოსვე დაურიგებია მოსახლეობაში. მოსახლეობა კი აბაშის ცენტრში კომპაქტურია, და უცბად გაივსო თეატრი.

მამანტიმ ბევრს ჩაუნერგა გულში თეატრის სიყვარული, მათ შორის, თავის შვილს, პავლეს, რომელიც შემდგომში ცნობილი თეატრალური მოღვაწე გახდა.

საერთოდ, მამანტი კანდელაკი იყო შესანიშნავი ადამიანი, და ამ ორიოდე სტრიქონით, მეც მინდა ჩემი შვილური მადლობა გადავუხადო ამ კეთილ კაცს.

**როდიონ ქორქია**

# [illegible]




ხელფასის მიღების დღე! ეს არის დიდებული დღე, ამ დღეს შესანიშნავი ფილმი მიუძღვნა გამოჩენილმა მსახიობმა ჩარლი ჩაპლინმა.

მეც მიყვარდა ეს დღე. ამ დღეს სახლში გამარჯვებული სარდლის იერით შევდიოდი.

მაგრამ ამ ბოლო დროს მე დამარცხებული სარდლის იერი მაქვს. ამ ცვლილების მიზეზი ჩვენი მოლარე ტატიანა აღმოჩნდა. მან ხელფასის მიღების დღეს ოფიციალურ უწყისზე ხელის მოწერის შემდეგ წინ დამიდო თანამშრომელთა არაოფიციალური სია და თან განმიმარტა:

— ბატონ თეოფილეს იუბილეს ვუხდით. სამოცდახუთი უსრულდება. ადრესთან ერთად გვინდა მაცივარიც მივართვათ. ხუთ-ხუთ მანეთს ვაგროვებთ, წინააღმდეგი ხომ არ იქნებით?

— თეოფილე ხომ ორი წელია პენსიაზე გავიდა?

— დიახ, მაგრამ სამოცდახუთი წელი საიუბილეო თარიღია და ადამიანს პატივი უნდა ვცეთ.

— კარგი, კარგი...

ტატიანა მეორე სიას მაწვდის.

— ეს სიაა იმ თანამშრომლებისა, რომლებმაც სამგლოვიარო განცხადება გამოაქვეყნეს გაზეთში ბატონ პოლიკარპეს სიდედრის გარდაცვალების გამო, იქ თქვენი გვარიც იყო მოხსენებული.

— რამდენია საჭირო?

## იუმორესკა

— სამი მანეთი. იმედია თქვენ, როგორც შეგნებული...

— კარგი, კარგი.

ცხვირსახოცი ამოვიღე, ოფლიანი შუბლი მოვიწმინდე და ის იყო წასვლას ვაპირებდი, როცა მოლარემ მომაძახა:

— არ დაგავიწყდეთ, ქორწილში ხართ დაპატიჟებული.

— ვისთან? — ვკითხე ხმის კანკალით და ტანში გამაჟრჟოლა.

— ბატონი ქაიხოსროს შუათანა ქალიშვილი თხოვდება.

მან ნეფე-დედოფლის ფოტოსურათებით დამშვენებული და მაგარ ყდაში ჩასმული მოსაწვევი ბარათი გადმომცა. ჩემი გვარი გაკრული ხელით ჩაეწერათ, საერთოდ კი ტექსტი სტამბური წესით იყო დაბეჭდილი.

— ჰო, მაგრამ ჩვენ ხომ შევკრიბეთ ერთხელ...

— უიმე, მაშინ უფროსი ქალიშვილი გათხოვდა. ახლა კი შუათანას ქორწილია. ამბობენ, ბიჭი მილიონერი არისო.

— ქალო, თუ მილიონერია, მოეშვას ამ ჩემს საცოდავ მანეთიანებს.

— სირცხვილია ბატონო! ამაზე რომ უარი თქვათ...

— კარგი, ოღონდ ეს მითხარით: ქაიხოსროს რამდენი ქალიშვილი დარჩა კიდევ გასათხოვარი?

— მხოლოდ ერთი, ამბობენ მინისტრის შვილს მოსწონსო!

— კეთილი, კეთილი.

— დიახ, მოსწონს. აი აქ მოაწერეთ ხელი და ხუთი მანეთი დამიტოვეთ.

ჩემი ხელფასის პირველ ნახევრიდან ცამეტი მანეთი ამ „საზოგადოებრივ ღონისძიებებს“ მოხმარდა. მაგრამ ეს იყო თვის თხუთმეტი რიცხვი, ნეტარებით ველოდი თვის ბოლოს.

მოვიდა სანატრელი რიცხვი — ოცდაათი!

ტატიანამ ნაზი ღიმილით მომაწოდა უწყისი და მითხრა:

— გენაცვალე, ამ სიაზეც მოაწერეთ ხელი, „მოსკვიჩი“ უნდა ვიყიდოთ!

კინაღამ ინფარქტი დამემართა.

— ჰო, მაგრამ ვისთვის?

— არა, თქვენ ვერ გამიგეთ, — დამამშვიდა მოლარემ, ქალბატონ ეფროსინეს შვილიშვილი შეეძინა და უნდა ვინახულოთ, პატარას საჩუქარიც უნდა მივუძღვნათ — „მოსკვიჩი“. ეს საბავშვო მანქანაა, სულ რაღაც გროშები ღირს, ოცდახუთი მანეთი. თქვენ კი მხოლოდ სამ მანეთს შემოიტანთ.

— ეს კი ფეხბურთის აბონემენტია. თორმეტი მანეთი ღირს. როგორც ვიცი, თქვენ ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი ხართ. მოაწერეთ ხელი აი აქ...

— ჰო, მაგრამ მე „ა“ კლასის გულშემატკივარი ვარ.

— ვინც თქვა „ანი“, მან უნდა თქვას „ბანიც“... — შემახსენა მოლარემ ბრძნული ანდაზა, — მეტი გზა არაა, უნდა გახდეთ „ბ“ კლასის გულშემატკივარი.

— ჰო, მაგრამ რა დავაშავე ბატონო, რატომ მიკეთებთ დისკვალიფიკაციას, როგორც გულშემატკივარს, ჩემს სიცოცხლეში წესრიგი არ დამირღვევია სტადიონზე, მსაჯისთვის ცუდი სიტყვა არ მიკადრებია ტრიბუნიდან, ვზივარ ხოლმე ჩუმად.

— როგორ გეკადრებათ, ბატონო. ეს საზოგადოებრივი ღონისძიებაა.

ხელი მოვაწერე და ოფლიანი სახე ცხვირსახოცით მაგრად შევიმშრალე.

—კიდევ სამი მანეთი თქვენგან მანქანის საფასურად.

— რომელი მანქანის?

— ექვთიმეს სიმამრი გარდაეცვალა რაიონში, შაბათს მივემგზავრებით ავტობუსით.

ხველა ამივარდა, მაგრამ ხელი მაინც მოვაწერე.

ახლა გულისთრთოლვით ველოდები ხელფასის მიღების დღეს და წინასწარ გაზეპირებული კითხვებით მივმართავ ხოლმე მოლარეს:

— ვისი იუბილეა?

— ხომ არავინ დაქორწინებულა?

— ხომ არავინ გარდაცვლილა?

— ვინ იხდის ძეობას?

ბ. მათითაშვილი

## გულთბილი შეხვედრები

მაიმუნების მოყვარულმა ერთმა ლონდონელმა არისტოკრატმა, რომელსაც შინ გაწვრთნილი გორილა ჰყავდა. გადაწყვიტა ოთხფეხების „ადამიანური“ შეკრება მოეწყო.

თავისი მაიმუნის სახელით მან ხუთი საათისათვის ჩაიზე მიიპატიჟა ყველა მაიმუნი, რომლებიც ლონდონსა და მის ახლომახლო რაიონებში ცხოვრობდნენ.

120 მაიმუნი, მოდურ კოსტუმებში გამოწყობილი, დაუგვიანებლად გამოცხადდა დანიშნულ ადგილზე. სუფრაზე ჩაისთან ერთად მოიტანეს თხილი და კამფეტები. ღრეობის შემდეგ ორმა მაიმუნმა გაითამაშა სცენები „ადამიანთა ცხოვრებიდან“. მაყურებლები აღტაცებით უკრავდნენ ტაშს თავიანთ ოთხფეხა თანამოძმეებს.

მაიმუნების პატრონებმა, რომლებიც მოწმენი გახდნენ ასეთი უჩვეულო ღრეობისა, გადაწყვიტეს ყოველწლიურად მოაწყონ ოთხფეხთა „ადამიანური შეხვედრები“.

გარეკანის მეოთხე გვერდზე: თბილისის პეიზაჟი. ფოტო ოთარ თურქიასი.

რედაქტორი გ. ნატროშვილი.
პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე.
სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. სააკაშვილი, ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექრედაქტორი დ. ხეფიაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ.—რედაქტორის—99-54-66, პ/მგ. მდივნის—99-82-69, განყოფილებების—93-28-42, 99-01-39

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/III-68 წ. გამომც. № 20 ქაღ. ზომა 70×108 1/8. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. სააღრიცხვო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 42.300. შეკვ. № 1079 უე 01992

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14,



სამთავისი. ფოტო შ ჩხეტიანისა

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ИНДЕКС 76056



ეროვნული ბიბლიოთეკა